

ადამიანის უფლებათა
ევროპული სასამართლოს
გადაწყვეტილებების
თემატური საძიებელი

EUROPEAN COURT OF
HUMAN RIGHTS
CASE-LAW
(Factsheets)

საქართველოს უზენაესი სასამართლო

The Supreme Court of Georgia

ადამიანის უფლებათა
ევროპული სასამართლოს
გადაწყვეტილებების თემატური
საძიებელი

საქართველოს უზენაესი სასამართლო
ადამიანის უფლებათა ცენტრი

თბილისი

2016

EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS

CASE-LAW

(Factsheets)

THE THEMATIC DIRECTORY OF THE

DECISIONS

The Supreme Court Of Georgia

Human Rights Centre

Tbilisi

2016

კრებული თარგმნეს და დაამუშავეს:

ნინო შონიამ

საქართველოს უზენაესი სასამართლოს
ანალიტიკური განყოფილების ადამიანის უფლებათა ცენტრის
მთავარი კონსულტანტი

ეკა მამალაძემ

საქართველოს უზენაესი სასამართლოს
ანალიტიკური განყოფილების ადამიანის უფლებათა ცენტრის
მთავარი სპეციალისტი

კრებულის რედაქტორი

მარინა კვაჭაძე

სამართლის დოქტორი, პროფესორი
ანალიტიკური განყოფილების უფროსი

სტილისტი

თეა მაისურაძე

ტექნიკური რედაქტორი და ყდის დიზაინი

მარიკა მაღალაშვილი

The Collection was translated and elaborated by:

Chief Consultant of Human Rights Centre,
Analytical Department of the Supreme Court of Georgia

Nino Shonia

Chief Specialist of Human Rights Centre,
Analytical Department of the Supreme Court of Georgia

Eka Mamaladze

Editor

The Head of Analytical Department

Prof. Dr. Marina Kvachadze

Style Editor

Tea Maisuradze

Graphics Editor and Design

Marika Maghalashvili

წინასიტყვაობა

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ანალიტიკური განყოფილების ფარგლებში მომზადდა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების თემატური საძიებელი, რომელშიც თავმოყრილია 2015-2016 წლების განმავლობაში ევროპული სასამართლოს მიერ განხილული საქმეები.

წინამდებარე კრებულის მიზანია მკითხველს გააცნოს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა, ახალი მიდგომები და პრეცედენტული სამართალი. კრებულში შესულ საქმეებში განხილულია ის საკითხები, რომლებიც აქამდე ნაკლებად ან საერთოდ არ იყოს განხილული ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ: თანამედროვე ტექნოლოგიები; სპორტი და ადამიანის უფლებები; პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება; მობილური ტელეფონების კომუნიკაციის მონიტორინგის სისტემასთან, ფარული კამერების გამოყენებასა და პერსონალურ მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებული საკითხები; გარემოს დაცვა და ადამიანის უფლებები და სხვა.

კრებულში შესული ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებები საინტერესო იქნება მოსამართლეებისთვის, ადვოკატებისთვის, პროკურორებისთვის, ფართო პროფილის იურისტებისთვის, უმაღლესი სასწავლებლების იურიდიული ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლებისა და სტუდენტებისთვის, ასევე ადამიანის უფლებების საკითხებით დაინტერესებული ყველა პირისათვის.

მარინა კვაჭაძე

ანალიტიკური განყოფილების უფროსი

PREFACE

Within the framework of the Analytical Department of the Supreme Court was prepared the compilation of the European Court of Human Rights Case-Law (Factsheets), comprising by the latest cases of European Court of Human Rights for 2015-2016.

The aim of the aforementioned compilation is to introduce the practice of the European Court of Human Rights, new approaches and the case-law of the Court. The compilation includes those issues, which were not raised or less discussed by the European Court of Human Rights so far: Modern technologies; Sport and human rights; The right to privacy; Issues related to monitoring systems of mobile phone communications, use of hidden cameras and aspects of personal data protection; Protection of the environment and human rights, etc.

Case law of the European Court of Human Rights included in this compilation will be of particular interest for judges, barristers, prosecutors, general lawyers, university law school professors, students and to all other interested persons in human rights issues.

MARINA KVACHADZE

Head of Analytical Department

ბავშვები და მშობლები

ბავშვთა საერთაშორისო მოტაცება

Lopez Guio v. Slovakia

(განაცხადი N10280/12; 03/06/2014)

2009 წლის მაისში განმცხადებელს წარმოშობით სლოვაკი ბავშვი ჰყავდა. ისინი 2010 წლის ივლისამდე ერთად ცხოვრობდნენ ესპანეთში, ვიდრე დედამ ბავშვი ესპანეთიდან სლოვაკეთში წაიყვანა, უკან დაბრუნების პერსპექტივის გარეშე. მისი გამგზავრების შემდეგ მომჩივანმა სლოვაკეთში ცოლის წინააღმდეგ სამართალწარმოება დაიწყო. აღნიშნული პროცესი, 1980 წლის 25 ოქტომბრის ჰააგის კონვენციის შესაბამისად, ეხებოდა ბავშვის ესპანეთში დაბრუნების შესახებ ბრძანების გაცემას. აპლიკანტი დავობდა, რომ ამ სამართალწარმოებებში განხორციელდა სლოვაკეთის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების თვითნებურად ჩარევა, შედეგად განმცხადებელს წაერთვა ბავშვთან ურთიერთობის უფლება ხანგრძლივი დროის პერიოდში.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლი (პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება). ასევე აღნიშნა, რომ აპლიკანტს არ ჰქონდა პროცესზე გამოსვლის უფლება საკონსტიტუციო სასამართლოს წინაშე, რაც იწვევდა ესპანეთში ბავშვის დაბრუნების შესახებ საერთო სასამართლოების საბოლოო და აღსრულებადი ბრძანების ბათილად ცნობას. განმცხადებელი არ იყო ინფორმირებული საკონსტიტუციო სამართალწარმოებების შესახებ, რომ აღარაფერი ვთქვათ, მასში აპლიკანტის მონაწილეობის შესაძლებლობაზე. მიუხედავად იმისა, რომ გააჩნდა ლეგიტიმური ინტერესი ამ საკითხზე. გარდა ამისა, სტრასბურგის სასამართლომ მხედველობაში მიიღო, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს ჩარევა ზემოხსენებულ საქმეში მოხდა მას შემდეგ, რაც ყველა სხვა საშუალება ამოიწურა; აღნიშნული ფაქტი წარმოადგენდა მინიშნებას სისტემური პრობლემის შესახებ არსებობაზე იმის გათვალისწინებით, რომ არსებული დაცვის საშუალებები ხელმისაწვდომი იყო სლოვაკეთში ბავშვის დაბრუნების სამართალწარმოებებთან მიმართებით.

Hromadka and Hromadkova v. Russia

(განაცხადი N22909/10; 11/12/2014)

2003 წელს ეროვნებით ჩეხი - პირველი აპლიკანტი დაქორწინდა ეროვნებით რუს ქალზე. წყვილი დასახლდა ჩეხეთის რესპუბლიკაში და 2005 წელს შეეძინათ ქალიშვილი - მეორე აპლიკანტი. ორი წლის შემდეგ ცოლმა დაიწყო განქორწინების პროცედურები. ორივე მშობელი ცდილობდა ბავშვზე მეურვეობის მოპოვებას. 2008 წელს, სამართალწარმოებების მიმდინარეობის დროს, ცოლმა ბავშვი რუსეთში წაიყვანა, პირველი აპლიკანტის თანხმობის გარეშე. ეს უკანასკნელი ჩიოდა, რომ რუსეთის ხელისუფლებამ ვერ შეძლო მიეღო სათანადო ზომები, რათა დახმარებოდა მას ქალიშვილთან ურთიერთობის აღდგენაში.

ევროსასამართლომ აღნიშნა, რომ დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლი (პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება), დაადგინა, რომ სათანადო სამართლებრივი ჩარჩოს არარსებობის პირობებში, რუსეთმა ვერ უზრუნველყო ბავშვთა საერთაშორისო გატაცების საკითხებზე დროული რეაგირება; შესაბამისად, რუსეთმა ვერ შეასრულა მე-8 მუხლიდან მომდინარე, მასზე დაკისრებული პოზიტიური ვალდებულება. სტრასბურგის სასამართლომ დამატებით აღნიშნა, რომ 2008 წლიდან ბავშვი დასახლდა ახალ გარემოში, რუსეთში და მისი დაბრუნება მამასთან ეწინააღმდეგებოდა ბავშვის ინტერესებს; რადგან, როგორც პირველმა განმცხადებელმა აღიარა, ევროსასამართლომ მიიჩნია, რომ რუსეთის სასამართლოების გადაწყვეტილება, არ ეცნო და არ აღესრულებინა ჩეხეთის სასამართლოს 2011 წლის გადაწყვეტილება - პირველი მომჩივნისთვის მეურვეობის მინიჭების შესახებ, არ წარმოადგენდა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევას. საბოლოოდ, სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევას რუსეთის ხელისუფლების მიერ, 2011 წლის ივნისის შემდეგ სხვა ღონისძიებების მიღებასთან დაკავშირებით; იმის გათვალისწინებით, რომ ამ უკანასკნელმა ვერ მიიღო ყველა შესაბამისი, გონივრულად მოსალოდნელი ზომა, რომელიც საშუალებას მისცემდა განმცხადებლებს შეენარჩუნებინათ და განეერთებინათ ერთობლივი ოჯახური ცხოვრება.

R.S. v. Poland

(განაცხადი N63777/09; 21/07/2015)

აპლიკანტი, რომლის შვილები დედამ პოლონეთში დაიტოვა, დავობდა, რომ პოლონეთის სასამართლოებმა მართლზომიერად ვერ გამოიყენეს 1990 წლის 25

ოქტომბრის ჰააგის კონვენცია, როდესაც საკითხი ეხებოდა მის მოთხოვნას - ბავშვების შვეიცარიაში დაბრუნებას. აღსანიშნავია, რომ სასამართლოებმა დააყრდნეს თავიანთი გადაწყვეტილებები პოლონეთში - განქორწინების პროცედურების დროს მიღებულ მეურვეობის გადაწყვეტილებებს. მათ მხედველობაში არ მიიღეს ის ფაქტი, რომ მომჩივანს არასდროს განუცხადებია თანხმობა პოლონეთში შვილების მუდმივად დარჩენის შესახებ. ასევე არ გაითვალისწინეს, რომ ბავშვების საცხოვრებელი ადგილი იმ დროს შვეიცარიაში იყო.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლი (პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება). საქმის მთლიანი გარემოებების გათვალისწინებით, პოლონეთმა ვერ უზრუნველყო მომჩივნის ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება. ევროსასამართლომ აღნიშნა, რომ იმ საკითხებზე, რომლებიც ოჯახის გაერთიანებას ეხებოდა, მიღებული ღონისძიების ადეკვატურობა უნდა შეფასებულიყო მისი სწრაფი განხორციელების კონტექსტში; ასეთი საქმეები მოითხოვენ დაჩქარებულ რეაგირებას, რადგან დროის გასვლას შეიძლება ჰქონდეს გამოუსწორებელი შედეგები ბავშვსა და იმ მშობელს შორის ურთიერთობაზე, რომელიც მასთან ერთად არ ცხოვრობს. აპლიკანტის საქმეში გამოჩნდა, რომ პოლონეთის სასამართლოების მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისთვის დახარჯული დრო ვერ აკმაყოფილებდა გადაუდებელი მდგომარეობის მოთხოვნებს. უფრო მეტიც, სადავო არ იყო ის ფაქტი, რომ როგორც შიდა სამართალწარმოების, ასევე ევროსასამართლოში საქმის განხილვის დროს, ბავშვების შვეიცარიაში დაბრუნება არ შეესაბამებოდა მათ საუკეთესო ინტერესებს.

G.S. v. Georgie

(განაცხადი N2361/13; 21/07/2015)

აღნიშნული საქმე ეხებოდა საქართველოში მიმდინარე სამართალწარმოებებს. კერძოდ, მომჩივნის 2004 წელს უკრაინაში დაბადებული ვაჟის საქართველოში დაბრუნებას. 2010 წლის ზაფხულის არდადეგების ბოლოს, განმცხადებლის ყოფილმა პარტნიორმა გადაწყვიტა მათი შვილი საქართველოში, ოჯახთან ერთად დაეტოვებინა; თვითონ რუსეთში ცხოვრობდა და ზოგჯერ სტუმრობდა თავის ვაჟს. აპლიკანტი დავობდა, საქართველოს სასამართლოების უარს განმცხადებლის ვაჟის უკრაინაში დაბრუნების ბრძანების გაცემის თაობაზე და დაბრუნების სამართალწარმოების ხანგრძლივობაზე.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლი (პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება). კერძოდ, დაადგინა, რომ ჰაავის კონვენციიდან გამომდინარე, ეროვნული სასამართლოების წინაშე გადაწყვეტილების მიღების პროცესი წარმოადგენდა არაპროპორციულ ჩარევას აპლიკანტის ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლებაში. ევროსასამართლომ მიიჩნია, რომ არსებობდა ხარვეზები საქართველოს სასამართლოების მიერ დაბრუნების სამართალწარმოების დროს საქსპერტო და სხვა მტკიცებულებების გამოკვლევის პროცესში. კერძოდ, როცა უნდა განსაზღვრულიყო ბავშვის საუკეთესო ინტერესები, სასამართლოებმა მხედველობაში არ მიიღეს სოციალური მუშაკებისა და ფსიქოლოგის ანგარიშები, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ ბავშვი განიცდიდა საკუთარ მშობლებთან ურთიერთობის ნაკლებობასა და მდგომარეობის ბუნდოვნად აღქმას. მართლაც, საეჭვო იყო ბავშვის, რომელმაც თავისი პირველი 6 წელი უკრაინაში გაატარა, საქართველოში მამის - მეურვეობის არმქონე პირის ოჯახში მშობლების გარეშე გაჩერება, წარმოადგენდა თუ არა ბავშვის საუკეთესო ინტერესებს.

Henrioud v. France

(განაცხადი N21444/11; 05/11/2015)

წინამდებარე საქმე ეხებოდა განმცხადებლის უუნარობას, უზრუნველყო საკუთარი შვილების დაბრუნება შვეიცარიაში, რომლებიც დედამ საფრანგეთში წაიყვანა. აპლიკანტმა განაცხადა, რომ საფრანგეთის ხელისუფლების წარმომადგენლებმა არ გამოამუღავნეს საჭირო გულმოდგინება სადავო სამართალწარმოების დროს, არც საკმარისი ან ადეკვატური ძალისხმევა, რათა უზრუნველყოთ მისი უფლება ბავშვების დაბრუნების შესახებ. მან ასევე აღნიშნა სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობის უფლების დარღვევა, სამართლებრივ საკითხებზე შეტანილი მისი სააპელაციო საჩივრის დაუშვებლობის გამო.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ არ დარღვეულა კონვენციის მე-8 მუხლი (პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება). ასევე აღნიშნა, რომ სააპელაციო სასამართლოს წინაშე, აპლიკანტს სამართალწარმოების არც ერთ ეტაპზე არ დაუფიქსირებია საკუთარი საჩივარი დედის მიერ შვეიცარიის ტერიტორიის დატოვების აკრძალვის გაუქმების წინააღმდეგ. შესაბამისად, ევროსასამართლომ მიიჩნია, რომ მომჩივანს, რომელიც წარმოდგენილი იყო ადვოკატით, სააპელაციო სასამართლოსათვის არ მიუწოდებია საკმარისი ინფორმაცია, რომ ედავა აღნიშნული მდგომარეობის

შესახებ. გარდა ამისა, სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი (სამართლიანი სასამართლოს უფლება), აღნიშნა რა, რომ მომჩივნის სამართლებრივ საკითხებზე სააპელაციო საჩივრის უარყოფა ფორმალური მიზეზების გამო, რომელიც პროკურორს შეეცდებოდა, განმცხადებელს ართმევდა სასამართლოსადმი მიმართვის უფლებას.

Rouiller v. Switzerland

(განაცხადი N3592/08; 22/07/2014)

წინამდებარე საქმე შეეხებოდა საფრანგეთიდან შვეიცარიაში ორი ბავშვის გადაყვანას დედის მიერ, რომელსაც ბინადრობის უფლება მიენიჭა განქორწინების შემდეგ. განმცხადებელი ჩიოდა, რომ მისი შვილების საფრანგეთში დაბრუნება, როგორც შვეიცარიის სასამართლოების მიერ იყო დადგენილი, წარმოადგენდა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის (პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება) დარღვევას. მისი შვილები დედასთან ერთად ცხოვრობდნენ შვეიცარიაში თითქმის ორი წლის განმავლობაში. აპლიკანტი აცხადებდა, რომ შვეიცარიის სასამართლოებმა არასწორი გადაწყვეტილება მიიღეს ბავშვების საფრანგეთში დაბრუნების საკითხთან მიმართებით ჰააგის 1980 წლის 25 ოქტომბრის კონვენციის „ბავშვთა საერთაშორისო მოტაცების სამოქალაქო ასპექტების შესახებ“ გამოყენების თაობაზე. განმცხადებელმა დასძინა, რომ ბავშვების თვალსაზრისი არ იყო საკმარისად გათვალისწინებული.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ არ დარღვეულა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლი (პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება). კანტონისა და ფედერალური სასამართლოების მსგავსად, რომლებმაც სააპელაციო საჩივარი განიხილეს, ევროსასამართლომ დაადგინა, რომ ბავშვების შვეიცარიაში დაბრუნება მათი დედის მიერ წარმოადგენდა „არასწორ გადაადგილებას“. ასევე, ჰააგის კონვენცია არ ანიჭებს ბავშვს არჩევანის თავისუფლებას, გადაწყვეტოს თუ სად ისურვებს იგი ცხოვრებას. ერთ-ერთი ბავშვის მიერ დასახელებული მიზეზები იმის შესახებ, თუ რატომ სურდა შვეიცარიაში დარჩენა, თავისთავად არ იყო საკმარისი იმისთვის, რომ გაემართლებინა ბავშვის დაბრუნებასთან დაკავშირებული იმ გამონაკლისი წესების გამოყენება, რომელიც ჰააგის კონვენციის მე-13 მუხლით არის დადგენილი. აღნიშნული გამონაკლისები მკაცრად უნდა იყოს აღქმული.

Gajtani v. Switzerland

(განაცხადი N43730/07; 09/09/2014)

აპლიკანტი, კოსოვოს რესპუბლიკის მოქალაქე, ცხოვრობდა „ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკა - მაკედონიაში“ ორ შვილთან და მამასთან ერთად. 2005 წლის ნოემბერში, განმცხადებელი დაშორდა ბავშვების მამას - თავის ქმარს და გაემგზავრა ბავშვებთან ერთად კოსოვოში, საკუთარ ოჯახში. იქ მომჩივანი ცოლად გაჰყვა ეროვნებით იტალიელს და წავიდა შვეიცარიაში მასთან ერთად საცხოვრებლად. 2006 წელს ბავშვების მამამ გარკვეული ნაბიჯები გადადგა შვილების „ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკა - მაკედონიაში“ დასაბრუნებლად. აპლიკანტი ჩიოდა, ბავშვების იძულებით გადაადგილებაზე აღნიშნულ ქვეყანაში. მისი განცხადებით, ფედერალურმა სასამართლომ დაადგინა, რომ სააპელაციო საჩივარი ხანდაზმული იყო, მიუხედავად იმისა, რომ იგი შეტანილ იქნა ქვედა ინსტანციის სასამართლოს მიერ მითითებული ვადის ფარგლებში.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ადგილი არ ჰქონია კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევას (პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება), დაადგინა, რომ ბრძანება ბავშვების „ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკა - მაკედონიაში“ დაბრუნების შესახებ, არ მიიჩნეოდა არაპროპორციულად. კომპეტენტური ორგანოების მიერ ბავშვების მოსაზრებების გათვალისწინებასთან დაკავშირებით, ევროსასამართლომ მხედველობაში მიიღო რა საქმის გარემოებები, დაასკვნა, რომ სააპელაციო სასამართლო არ შეიძლება გაკრიტიკებულ იქნეს აპლიკანტის ვაჟის მიერ მისი დაბრუნების თაობაზე გაჟღერებული წინააღმდეგობრივი მოსაზრების გაუთვალისწინებლობასთან დაკავშირებით. ეროვნული კანონმდებლობის მიხედვით, გადაწყვეტილების მიღების პროცესი აკმაყოფილებდა კონვენციის მე-8 მუხლის პროცედურულ მოთხოვნებს. სტრასბურგის სასამართლომ მიიჩნია, რომ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის (სამართლიანი სასამართლოს უფლება) 1-ლი პუნქტი, სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობის არარსებობის გამო.

Phostira Efthymiou and Ribeiro Fernandes v. Portugal

(განაცხადი N66775/11; 05/02/2015)

საქმე ეხებოდა პირველი მომჩივნის - მეორე აპლიკანტის ქალიშვილის დაბრუნების პროცედურას თავის მუდმივ საცხოვრებელ ადგილას, კვიპროსში. აღნიშნული თხოვნა მამის მხრიდან იქნა დაყენებული და პორტუგალიის უზენაესი სასამართლოს მიერ დაკმაყოფილებული. სასამართლომ დაადგინა,

რომ პორტუგალიაში ბავშვის დარჩენა არ შეესაბამებოდა 1980 წლის 25 ოქტომბრის ჰააგის კონვენციის მიზნებს და ბავშვის კვიპროსში დაბრუნება არ წარმოშობდა სერიოზულ რისკს, კონვენციის მნიშვნელობიდან გამომდინარე. აპლიკანტები დავობდნენ მათი ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლების დარღვევის შესახებ ეროვნული სასამართლოების გადაწყვეტილების საფუძველზე, რომელიც კვიპროსში ბავშვის დაბრუნებას უზრუნველყოფდა.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვეოდა კონვენციის მე-8 მუხლი (პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება), თუ გადაწყვეტილება - ბავშვის კვიპროსში დაბრუნების შესახებ აღსრულდებოდა. ევროსასამართლომ აღნიშნა, რომ ეროვნულ სამართალში გადაწყვეტილების მიღების პროცესი არ აკმაყოფილებდა კონვენციის მე-8 მუხლისთვის დამახასიათებელ პროცედურულ მოთხოვნებს. აღნიშნული გარემოება ეფუძნებოდა კვიპროსში არსებული სიტუაციის შესახებ ინფორმაციის არარსებობასა და ბავშვის დედისგან დაშორების შემთხვევაში მის მიმართ არსებულ საფრთხეს.

მშობლის უფლებები

X and others v. Austria

დიდი პალატის გადაწყვეტილება

(განაცხადი N19010/07; 19/02/2013)

წინამდებარე საქმე ეხებოდა სტაბილური ჰომოსექსუალური ურთიერთობის მქონე ორი ქალბატონის მიერ წარდგენილ საჩივარს. აპლიკანტები ასაჩივრებდნენ ავსტრიის სასამართლოების მიერ ერთ-ერთი პარტნიორისთვის მეორე პარტნიორის შვილის, ბავშვთან დედის სამართლებრივი ურთიერთობის გაწყვეტის გარეშე, შვილად აყვანაზე უარის თქმას (მეორე მშობლის მიერ შვილად აყვანა). მომჩივნები ამტკიცებდნენ, რომ არ არსებობდა იმ ფაქტის გონივრული და ობიექტური გამართლება, რომ დაქორწინებული თუ დაუქორწინებელი ჰეტეროსექსუალი წყვილის შემთხვევაში ერთი პარტნიორის მიერ მეორე პარტნიორის ბავშვის შვილად აყვანა დასაშვები იყო, ხოლო ჰომოსექსუალი წყვილის შემთხვევაში აღნიშნული ფაქტი აკრძალული გახლდათ.

ევროსასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-14 მუხლი (დისკრიმინაციის აკრძალვა) მე-8 მუხლთან (პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება) ერთობლიობაში. სტრასბურგის სასამართლოს განცხადებით მომჩივანთა მიმართ, დაუქორწინებელ ჰეტეროსექსუალ

წყვილებთან შედარებით, რომელთაც სურდათ პარტნიორის ბავშვის შვილად აყვანა, ადგილი ჰქონდა განსხვავებულ მოპყრობას. გარდა ამისა, ევროსასამართლომ დაადგინა, რომ მომჩივანთა სიტუაციის დაქორწინებულ წყვილთან შედარებისას, სადაც ერთ-ერთ მეუღლეს მეორე მეუღლის ბავშვის შვილად აყვანა სურდა, კონვენციის მე-14 მუხლის დარღვევას მე-8 მუხლთან ერთობლიობაში ადგილი არ ჰქონია.

სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ მომჩივნებსა და დაუქორწინებელ ჰეტეროსექსუალ წყვილებს შორის განსხვავებული მოპყრობა ეფუძნებოდა პირველი და მესამე მომჩივნების სექსუალურ ორიენტაციას. დამაჯერებელი მიზეზები არ ყოფილა წარმოდგენილი იმის დასადასტურებლად, რომ ამგვარი განსხვავებული მოპყრობა ოჯახის ან ბავშვის ინტერესების დაცვისათვის აუცილებელი იყო.

ამავე დროს, სტრასბურგის სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ევროკონვენცია ხელშემკვრელ მხარეებს არ ავალდებულებს მეორე მშობლის მიერ შვილად აყვანის უფლება დაუქორწინებელ წყვილებზეც გაავრცელონ. გარდა ამისა, წინამდებარე საქმე განსხვავდება საქმისაგან *Gas and Dubois v. France* (იხ. ზემოთ), სადაც სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ დაუქორწინებელ ჰეტეროსექსუალ წყვილსა და ჰომოსექსუალ წყვილს შორის სექსუალურ ორიენტაციაზე დაფუძნებულ განსხვავებულ მოპყრობას ადგილი არ ჰქონია. ფრანგული კანონმდებლობის მიხედვით, მეორე მშობლის მიერ ბავშვის აყვანის შესაძლებლობა დაუქორწინებელ წყვილს არ ენიჭებოდა, მიუხედავად იმისა ჰეტეროსექსუალები იყვნენ ისინი თუ ჰომოსექსუალები.

Gozum v. Turkey

(განაცხადი N4789/10; 15/01/2015)

წინამდებარე საქმე ეხებოდა მომჩივნის მოთხოვნაზე უარის თქმას. აპლიკანტი, როგორც მარტოხელა მშვილებელი დედა, ითხოვდა, რომ შვილად აყვანილი ბავშვის პერსონალურ დოკუმენტებში ბიოლოგიური დედის სახელის ადგილზე მისი სახელი ყოფილიყო მითითებული. მომჩივანი ამტკიცებდა, რომ შესაბამის დროს გამოყენებადი სამოქალაქო სამართლის კანონმდებლობა არღვევდა მისი პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლებას.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლი (პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება), მიუთითა რა, რომ შესაბამის დროს არსებული სამოქალაქო სამართლით გათვალისწინებული დაცვითი მექანიზმები, კონვენციის მე-8 მუხლის მიხედვით თურქეთისთვის

დაკისრებულ ვალდებულებებთან მიმართებით, არაადეკვატური იყო. სტრასბურგის სასამართლომ აღნიშნა, რომ მარტოხელა მშვილგებელ დედასთან დაკავშირებით თურქეთის სამოქალაქო კანონმდებლობაში ვაკუუმი იყო. იმ დროს, როდესაც მომჩივანმა მოთხოვნა წარადგინა, არ არსებობდა მარეგულირებელი ჩარჩო, რომლის თანახმადაც შესაძლებელი იქნებოდა ბიოლოგიური მშობლის სახელის ადგილზე მარტოხელა მშვილგებელი მშობლის სახელი ყოფილიყო მითითებული. აღნიშნულმა ფაქტმა მომჩივანი დატოვა გაურკვეველ სიტუაციაში შვილთან ერთად მის პირად და ოჯახურ ცხოვრებასთან დაკავშირებით.

Nazarenko v. Russia

(განაცხადი N39438/13; 16/07/2015)

საქმე ეხებოდა მომჩივნისთვის ქალიშვილზე მეურვეობის ჩამოშორებას. მას შემდეგ რაც ცნობილი გახდა, რომ მომჩივანი არ იყო ქალიშვილის ბიოლოგიური მამა, მას შეუწყდა მამობის უფლება. მომჩივანი ასაჩივრებდა მამობის უფლების შეწყვეტას და ამტკიცებდა, რომ აღნიშნულმა ფაქტმა მას ჩამოართვა ქალიშვილთან კონტაქტისა და მისი ინტერესების სასამართლოში დაცვის შესაძლებლობა.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლი (პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება). სტრასბურგის სასამართლომ განაცხადა, რომ რუსეთის ხელისუფლებამ ვერ შეძლო უზრუნველყო მომჩივანსა და ბავშვს შორის ოჯახური კავშირის შენარჩუნება; მათ შორის, წლების განმავლობაში განვითარდა მჭიდრო ემოციური კავშირი და ისინი მიიჩნევდნენ, რომ მამა და ქალიშვილი იყვნენ. მომჩივნის სრული და ავტომატური ჩამოშორება ქალიშვილზე მეურვეობისაგან, ბავშვის საუკეთესო ინტერესების მხედველობაში მიღების გარეშე, შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის მოუქნელობის შედეგი იყო და წარმოადგენდა ოჯახური ცხოვრების უპატივცემულობას. სტრასბურგის სასამართლომ მიიჩნია, რომ სახელმწიფოები ვალდებულნი უნდა იყვნენ ყოველ კონკრეტულ საქმეში განიხილონ, შედის თუ არა ბავშვის საუკეთესო ინტერესში განსაზღვრულ პირთან კონტაქტის შენარჩუნება, მიუხედავად იმისა ბიოლოგიურად არის თუ არა ეს პიროვნება დაკავშირებული მასთან.

Ostace v. Romania

(განაცხადი N12547/06; 25/02/2014)

აღნიშნული გადაწყვეტილება ეხებოდა მომჩივნის მიერ მამობის დადგენის შესახებ გადაწყვეტილების გადასინჯვის მოპოვების შეუძლებლობას, მიუხედავად იმისა, რომ არსებობდა სასამართლოსგარეშე ექსპერტის დასკვნა, რომელიც საპირისპიროს ამტკიცებდა. გადაწყვეტილების გადასინჯვის თაობაზე მოთხოვნას უარი ეთქვა იმ საფუძველით, რომ სადავო დოკუმენტი თავდაპირველი საქმის წარმოების დროს არ არსებობდა.

სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლი (პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება). ევროსასამართლომ აღნიშნა, რომ გამოყენებადი შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის მიხედვით, მომჩივანს მამობის დადგენის თაობაზე სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრების შესაძლებლობა არ ჰქონდა. მიუხედავად იმისა, რომ სტრასბურგის სასამართლო მზად იყო ელიარებინა, რომ გასაჩივრების შეუძლებლობა აიხსნებოდა საზოგადოებრივი უსაფრთხოების, ოჯახური ურთიერთობების სტაბილურობისა და ბავშვის ინტერესების დაცვის ლეგიტიმური ინტერესით, ევროსასამართლოს მოსაზრებით, მამობის დადგენის თაობაზე სარჩელის ხელახლა განხილვის მოთხოვნის დაუშვებლად ცნობით, ხელისუფლებამ ვერ დაიცვა სამართლიანი ბალანსი სასწორის პინაზე მყოფ ინტერესებს შორის; განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ ბავშვის წარმოშობასთან დაკავშირებით დავის ყველა მონაწილეს სურდა სიმართლის დადგენა.

T. v. the Czech Republic

(განაცხადი N19315/11; 17/07/2014)

წინამდებარე საქმე ეხებოდა მომჩივნის განცხადებას, მოეპოვებინა ქალიშვილის მონახულებისა და შემდგომში მასთან ერთად ცხოვრების უფლება; აპლიკანტის ქალიშვილი მიმღებ ოჯახში დაბინავდა. ეროვნულმა სასამართლოებმა დაადგინეს, რომ მომჩივანი წარმოადგენდა სერიოზულ და გადაულახავ დაბრკოლებას ქალიშვილთან ცხოვრების უფლების მინიჭებისათვის. აპლიკანტი ასაჩივრებდა მისი ქალიშვილის მზრუნველობის ქვეშ ყოფნის თაობაზე გადაწყვეტილებას, აგრეთვე, სახელმწიფოს მიერ მასზე დაკისრებული

ვალდებულების, ხელი შეეწყო ოჯახური კავშირის შენარჩუნებისთვის, შეუსრულებლობას.

ევროსასამართლომ დაადგინა, რომ ბავშვის მზრუნველობის ქვეშ ყოფნის საფუძველზე, კონვენციის მე-8 მუხლი (პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება) არ დარღვეულა. სტრასბურგის სასამართლომ მიიჩნია, რომ სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო დაკისრებული ვალდებულების შესრულება, ხელი შეეწყო მომჩივნისა და მისი შვილის ოჯახური კავშირების შენარჩუნებისთვის. შედეგად დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლი.

I.S. v. Germany

(განაცხადი N31021/08; 05/06/2014)

მოცემულ საქმეში მომჩივანი დავობდა, რომ მას არ ჰქონდა შესაძლებლობა მუდმივი კავშირი ჰქონოდა და მიეღო ინფორმაცია მისი ბიოლოგიური ბავშვების შესახებ, რომლებიც სხვა ოჯახში იშვილა. იგი აცხადებდა, რომ გერმანიის სასამართლოების გადაწყვეტილება - შვილებთან კონტაქტისა და მათზე ინფორმაციის მიღების თაობაზე, არღვევდა კონვენციის მე-8 მუხლით (პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება) გათვალისწინებულ მის უფლებებს. აპლიკანტის მტკიცებით, მას დაპირდნენ, რომ გააშვილებას „ნახევრად ღია“ ხასიათი ექნებოდა, რომლის ფარგლებშიც მას შვილებთან კონტაქტისა და ინფორმაციის მიღების შესაძლებლობა ექნებოდა, თუმცა აღნიშნული დაპირება არ შესრულდა.

ევროსასამართლომ დაადგინა, რომ კონვენციის მე-8 მუხლი (პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება) არ დარღვეულა, მიიჩნია რა, რომ შვილების გააშვილებაზე თანხმობის განცხადებით, მომჩივანმა შეგნებულად დათმო ბიოლოგიურ შვილებთან დაკავშირებული ყველა უფლება. ბავშვების შესახებ მუდმივი ინფორმაციის მიღების უფლების რეალიზაციისთვის გარკვეული ღონისძიებების განხორციელების თაობაზე დაპირება ეფუძნებოდა მხოლოდ მშვიდებელი მშობლების განცხადებას. შესაბამისად, გერმანიის სასამართლოების გადაწყვეტილება - უპირატესობა მიენიჭებინათ ბავშვების ინტერესისთვის, განვითარებულიყვნენ შვილად მიმღებ ოჯახში, დედის პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლების შელახვის გარეშე, პროპორციული იყო.

არასრულწლოვანთა დაცვა

Nencheva and Others v. Bulgaria

(განაცხადი N48609/06; 18/09/2013)

1996 წლის დეკემბრისა და 1997 წლის მარტის პერიოდში თხუთმეტი ბავშვი და მოზარდი დაიღუპა ფიზიკური და გონებრივი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის განკუთვნილ სახლში, სოფელ ჟურკოვოში. მათი სიკვდილი განპირობებული იყო სიცივით, საკვების, წამლებისა და პირველადი საჭიროების მქონე ნივთების ნაკლებობით. აღნიშნული სახლის მენეჯერმა რამდენიმეჯერ წარუმატებლად სცადა გაეფრთხილებინა ყველა საჯარო ინსტიტუტი, რომელიც პირდაპირ იყო პასუხისმგებელი მათ დაფინანსებაზე.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-2 მუხლის (სიცოცხლის უფლება) დარღვევა, ვინაიდან ხელისუფლების წარმომადგენლებმა ვერ უზრუნველყვეს მზრუნველობის ქვეშ მყოფი მოწყვლადი ბავშვების დაცვა სერიოზული და მყისიერი საფრთხისაგან. ხელისუფლების წარმომადგენლებმა ასევე ვერ განახორციელეს ეფექტური ოფიციალური გამოძიება გარდაცვალებასთან დაკავშირებით.

Soderman v. Sweden

დიდი პალატის გადაწყვეტილება

(განაცხადი N5786/08; 12/11/2013)

წინამდებარე საქმე ეხებოდა მამინაცვლის მიერ 14 წლის გოგონას ფარულ ვიდეოგადაღებას იმ პერიოდში, როდესაც იგი შიშველი იყო. არასრულწლოვანი ჩიოდა, რომ შვედეთის სამართლებრივმა სისტემამ, რომელიც იმ დროისათვის პირის თანხმობის გარეშე გადაღებას არ კრძალავდა, ვერ დაიცვა იგი თავისუფალი თვითგანვითარების უფლების დარღვევისაგან.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ აღგილი ჰქონდა კონვენციის მე-8 მუხლის (პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლება) დარღვევა. სტრასბურგის სასამართლომ მიუთითა, რომ იმ დროს მოქმედი შვედეთის კანონმდებლობა არ უზრუნველყოფდა მომჩივნის პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლების დაცვას, სისხლისსამართლებრივი ან სამოქალაქო სამართლებრივი დაცვის მეშვეობით, იმგვარად, რომ კონვენციასთან შესაბამისი ყოფილიყო. მამინაცვლის მიერ განხორციელებული ქმედება არღვევდა მომჩივნის თავისუფალი თვითგანვითარების უფლებას. აღნიშნული ფაქტი კიდევ უფრო მძაფრდებოდა

იმით, რომ მომჩივანი არასრულწლოვანი იყო, ინციდენტი მის სახლში ხდებოდა და დამნაშავე ის პირი გახლდათ, რომლის მიმართაც მომჩივანს ნდობა უნდა ჰქონოდა.

M. and M. v. Croatia

(განაცხადი N10161/13; 03/09/2015)

წინამდებარე საქმე შეეხებოდა ბავშვის მეურვეობასთან დაკავშირებულ დავას, რომელიც მოიცავდა მამის მიმართ წარდგენილ ბრალდებას ბავშვზე ძალადობის განხორციელების შესახებ. მომჩივნები - დედა და შვილი ჩიოდნენ, რომ ხორვატიის ხელისუფლებამ ვერ უზრუნველყო ბავშვის მამისაგან ჩამოშორება. შესაბამისად, ვერ შეძლო შემდგომი ოჯახური ძალადობის პრევენცია.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ დამამცირებელ მოპყრობასთან დაკავშირებით დედისა და შვილის მიერ წარდგენილი ბრალდებების სახელმწიფოს მხრიდან დროულად გამოუძიებლობით, დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი (არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვა). რაც შეეხება ბავშვის არასათანადო მოპყრობისაგან დაცვის სახელმწიფო ვალდებულებას, სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ კონვენციის მე-3 მუხლი არ დარღვეულა. აღნიშნულთან დაკავშირებით, ევროსასამართლომ არ დაადგინა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა. მეურვეობასთან დაკავშირებული სამართალწარმოების გადაჭარბებული ხანგრძლივობისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში ქალიშვილის ნაკლებად ჩართულობის გამო, ევროსასამართლომ დაადგინა, რომ დედისა და ქალიშვილთან მიმართებით დაირღვა მე-8 მუხლი. კერძოდ, სტრასბურგის სასამართლომ მიუთითა, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა მნიშვნელოვნად გადააჭარბეს უფლებამოსილებას როგორც მამის წინააღმდეგ მიმართული სისხლისსამართლებრივი საქმის წარმოების დროს, აგრეთვე, მეურვეობასთან დაკავშირებულ სამართალწარმოებაში. ოთხი წლის შემდგომ კვლავ მიმდინარეობდა ორივე საქმის განხილვა და ბავშვი არც ერთ სამართალწარმოებაში არც ერთხელ დაკითხული არ ყოფილა. ევროსასამართლო გაოცდა იმ ფაქტით, რომ ბავშვი, რომელიც უკვე 13 წლის იყო, მეურვეობასთან დაკავშირებულ დავაში არ დაუკითხავთ. შესაბამისად, მისთვის არ მიუციათ შესაძლებლობა საკუთარი მოსაზრება გამოეთქვა და სასამართლოსთვის გაეზიარებინა, თუ რომელ მშობელთან ერჩია ცხოვრება. სამართალწარმოებების გაჭიანურებული ბუნება ამძაფრებდა ტრავმირებული ბავშვის მდგომარეობას, რომელიც მშობლებს შორის კონფლიქტური ურთიერთობის გარდა, განიცდიდა ფსიქოლოგიურ ტანჯვას, რაც გამოიხატებოდა თვითდაზიანებისაკენ მიმართული ქმედებებით.

O’Keeffe v. Ireland

დიდი პალატის გადაწყვეტილება

(განაცხადი N35810/09; 28/01/2014)

მოცემული საქმე უკავშირდებოდა სახელმწიფოს პასუხისმგებლობის საკითხს, რომელიც შეეხებოდა 1973 წელს ირლანდიის სახელმწიფო სკოლაში მასწავლებლის მიერ ცხრა წლის სკოლის მოსწავლეზე სექსუალური ძალადობის შემთხვევებს. მომჩივანი ჩიოდა, რომ ირლანდიის სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო დაწყებითი განათლების სისტემის ჩამოყალიბება იმგვარად, რომ იგი ძალადობისაგან დაეცვა, აგრეთვე, გამოეძიებინა ან სათანადო სამართლებრივი რეაგირება მოჰყოლოდა მის მიმართ გამოხატულ დამამცირებელ მოპყრობას. მომჩივანი ამტკიცებდა, რომ მან ვერ შეძლო მოეპოვებინა სახელმწიფოს მიერ მისი დაცვის განუხორციელებლობის სამართლებრივი აღიარება და აღნიშნული ფაქტის გამო კომპენსაციის მიღება.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-3 (არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვა) და მე-13 მუხლების (ეფექტური სამართლებრივი დაცვის საშუალება) დარღვევას, ვინაიდან ირლანდიის სახელმწიფომ ვერ შეძლო მომჩივანი სექსუალური ძალადობისაგან დაეცვა. ამასთანავე, მომჩივანმა ეროვნულ დონეზე ვერ მოიპოვა რაიმე აღიარება. სტრასბურგის სასამართლომ შემდგომში დაადგინა, რომ მომჩივნის სკოლაში სექსუალური ძალადობის თაობაზე საჩივრების გამოძიებასთან დაკავშირებით კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას ადგილი არ ჰქონია.

ევროსასამართლომ აღნიშნა, რომ მთავრობის ვალდებულება ბავშვების არასათანადო მოპყრობისაგან დაცვა იყო, განსაკუთრებით დაწყებითი განათლების სფეროში. აღნიშნული ვალდებულება არ შეასრულა ირლანდიის სახელმწიფომ, რომელსაც უნდა სცოდნოდა ბავშვებზე სექსუალური ძალადობის შესახებ, ვინაიდან 1970 წლამდე მსგავსი დანაშაულის გასამართლების მნიშვნელოვანი რიცხვი ფიქსირდებოდა. მიუხედავად ამისა, სახელმწიფო ირლანდიელი ბავშვების დიდი ნაწილის დაწყებითი განათლების მენეჯმენტს სახელმწიფო სკოლებს მიაწოდებდა. თუმცა, მსგავსი ძალადობის განხორციელების რისკების წინააღმდეგ რაიმე ეფექტური სახელმწიფო მექანიზმი შემუშავებული არ ყოფილა. უფრო მეტიც, პოტენციურ მომჩივნებს უფლების დარღვევის თაობაზე ხელისუფლების წარმომადგენლების ნაცვლად, სახელმწიფო სკოლის მენეჯერებისთვის (როგორც წესი, ადგილობრივი მღვდელი) უნდა მიემართათ. უდავოა, რომ ნებისმიერი სისტემა, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში მომჩივნის სკოლაში ძალადობის 400-მდე

ინციდენტის განხორციელებას დაუშვებდა, არაეფექტიანად უნდა ყოფილიყო მიხნეული.

Manuello and Nevi v. Italy

(განაცხადი N107/10; 20/01/2015)

აღნიშნული საქმის ეროვნულ დონეზე სისხლისსამართლებრივი წესით განხილვა 2002 წლის ივნისში დაიწყო, მას შემდეგ, რაც სკოლის დირექტორმა მამის მხრიდან ხუთი წლის ქალიშვილზე სექსუალური ძალადობის განხორციელების ეჭვის თაობაზე პოლიციაში განაცხადა. 2002 წლის პირველ აგვისტოს ბავშვის დედამ სასამართლოს მოსთხოვა, რომ მისი მეუღლისათვის ჩამოერთვათ მშობლის სტატუსი. ამ თარიღის შემდეგ მომჩივნებს - ბებიასა და ბაბუას, შვილიშვილი არ უნახავთ. ისინი ასაჩივრებდნენ იმ სამართალწარმოების გადაჭარბებულ ხანგრძლივობას, რომელსაც ბავშვის ნახვის ნებართვა უნდა გაეცა. აგრეთვე, სოციალური სერვისების უუნარობას - აღესრულებინათ 2006 წლის თებერვლის სასამართლო გადაწყვეტილება, რომელიც მათ ბავშვთან კონტაქტის უფლებას აძლევდა.

ევროსასამართლომ დაადგინა, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-8 მუხლით (პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება) დაცული ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლების დარღვევას. სასამართლომ შენიშნა, რომ ბების, ბაბუისა და მათი შვილიშვილის შეხვედრის აკრძალვა იმ საფუძველით, რომ ბავშვის ბებია და ბაბუა მამასთან და სავარაუდო სექსუალური ძალადობის შედეგად განცდილ ტკივილთან ასოცირდებოდა, გახლდათ იმგვარი ღონისძიება, რომლის გამოყენების უფლებაც ხელისუფლების წარმომადგენლებს არასათანადო მოპყრობის შემთხვევაში ჰქონდათ. მიუხედავად იმისა, რომ მსგავს სიტუაციებში დიდი ყურადღებაა საჭირო ბავშვის დაცვის ღონისძიებების მიმართ და შესაძლებელია, ოჯახის წევრებთან შეზღუდული კავშირის დაწესება, ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ ხელისუფლებამ არ გასწია აუცილებელი ძალისხმევა, რათა დაეცვა ოჯახური კავშირი ბებიას, ბაბუასა და შვილიშვილს შორის, რომელთაც ერთმანეთი თორმეტი წლის განმავლობაში არ უნახავთ.

რეპროდუქციული უფლებები

Hanzelkovi v. the Czech Republic

(განაცხადი N43643/10; 11/12/2014)

წინამდებარე საქმე ეხებოდა სასამართლოს მიერ დადგენილ დროებით ღონისძიებას, რომელიც მოითხოვდა ახალდაბადებული ბავშვისა და ახლად ნამშობიარები დედის სამშობიაროში დაბრუნებას, აგრეთვე, შიდა სამართლებრივი დაცვის საშუალების არარსებობას, რომლის მეშვეობითაც გასაჩივრებული იქნებოდა აღნიშნული ღონისძიება. მომჩივნები - დედა და შვილი დავობდნენ, რომ დაირღვა მათი პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება, მიუთითებდნენ რა, რომ ბავშვის სამშობიაროში დაბრუნების თაობაზე დადგენილი ღონისძიება, რომელიც მისი დაბადებიდან რამდენიმე საათში განისაზღვრა, არც კანონიერი იყო და არც აუცილებელი. ასევე, ისინი ჩიოდნენ ეფექტური სამართლებრივი დაცვის საშუალების ნაკლებობაზე, ვინაიდან მათ ვერ შეძლეს დროებითი ღონისძიების გასაჩივრება; იქედან გამომდინარე, რომ დროებითი ღონისძიება ვერ გააუქმეს, მათ არ შეეძლოთ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-8 (პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება) და მე-13 მუხლის დარღვევას (ეფექტური სამართლებრივი დაცვის საშუალების უფლება). ევროსასამართლომ მიუთითა, რომ ახალდაბადებული ბავშვის მოვლა განსაკუთრებით მნიშვნელოვან ღონისძიებას წარმოადგენდა და უნდა ყოფილიყო საკმაოდ მყარი მიზეზები იმისათვის, რომ ბავშვი, დედის სურვილის საწინააღმდეგოდ, დაბადებისთანავე ჩამოშორებოდა დედის მზრუნველობას, თან იმგვარი პროცედურის მეშვეობით, რომელშიც ჩართული არ იყო არც ბავშვის დედა და არც მისი პარტნიორი. მოცემულ საქმეში სტრასბურგის სასამართლომ აღნიშნა, რომ ეროვნულ სასამართლოს დროებითი ღონისძიების გამოყენების საკითხის განხილვისას უნდა შეეფასებინა, იყო თუ არა შესაძლებელი მომჩივნების ოჯახურ ცხოვრებაში ნაკლებად მკაცრი ჩარევის მეშვეობით შედეგის მიღწევა მათთვის ასეთ მნიშვნელოვან დროს. ევროსასამართლომ შენიშნა, რომ მომჩივნების ოჯახურ ცხოვრებაში სერიოზულ ჩარევასა და მისი იმპლემენტაციის პირობებს არაპროპორციული გავლენა ჰქონდა ბავშვის დაბადების შემდეგ ოჯახური ცხოვრებით ტკობასთან დაკავშირებულ მომჩივნების გეგმებზე. მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა, არსებობდეს ბავშვის ჯანმრთელობის დაცვისათვის პრევენციული ღონისძიებების გატარების აუცილებლობა, დროებითი ღონისძიებების შედეგად მომჩივნების ოჯახურ ცხოვრებაში ჩარევა დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებლად ვერ მიიჩნევა.

Parrillo v. Italy

დიდი პალატის გადაწყვეტილება

(განაცხადი N46470/11; 27/08/2015)

მოცემული საქმე ეხებოდა იტალიის 40/2004 კანონს, რომელიც მომჩივანს ინ ვიტრო განაყოფიერებით მოპოვებული ემბრიონების, არ იყო რა ორსულობისთვის გათვალისწინებული, სამეცნიერო კვლევისათვის გადაცემას უკრძალავდა. კონვენციის 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის (საკუთრების დაცვა) მიხედვით, მომჩივანი ჩიოდა, რომ მას არ შეეძლო სამედიცინო რეპროდუქციის შედეგად მოპოვებული ემბრიონების გადაცემა სამეცნიერო კვლევისათვის და იგი ვალდებული იყო მოეხდინა ემბრიონების კრიოკონსერვაცია მათ დაღუპვამდე. მომჩივანი მიიჩნევდა, რომ სადავო აკრძალვა წარმოადგენდა კონვენციის მე-8 მუხლით დაცული მისი პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლების დარღვევას.

ევროსასამართლომ, რომელიც პირველად განიხილავდა აღნიშნულ საკითხს, დაადგინა, რომ კონვენციის მე-8 მუხლი (პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება) „პირადი ცხოვრების“ ასპექტით მოცემულ საქმეში გამოყენებადი იყო, ვინაიდან ემბრიონები მომჩივნის გენეტიკური მასალები იყვნენ და, შესაბამისად, წარმოადგენდნენ მისი იდენტობის შემადგენელ ნაწილს. ევროსასამართლომ თავდაპირველად მიიჩნია, რომ ევროპული კონსენსუსისა და მოცემულ საკითხზე საერთაშორისო დოკუმენტების არარსებობის გათვალისწინებით, იტალიას აღნიშნულ სენსიტიურ საკითხზე შეფასების ფართო ზღვარი უნდა მინიჭებოდა. სტრასბურგის სასამართლომ აღნიშნა, რომ იტალიის 40/2004 კანონის მომზადების პროცესს მოჰყვა მნიშვნელოვანი განხილვები. შედეგად იტალიის კანონმდებლებმა გაითვალისწინეს ემბრიონების დაცვის სახელმწიფო და დაინტერესებული პირების ინტერესი თვითგამოხატვის უფლებით სარგებლობის თაობაზე. სტრასბურგის სასამართლომ შემდგომში აღნიშნა, რომ წინამდებარე საქმეზე აუცილებელი არ იყო სენსიტიური და სადავო საკითხის გამოკვლევა თუ როდის იწყება ადამიანის სიცოცხლე, ვინაიდან კონვენციის მე-2 მუხლი (სიცოცხლის უფლება) არ წარმოადგენდა განხილვის საგანს. მიუთითა რა, რომ არ არსებობდა რაიმე მტკიცებულება იმისა, რომ მომჩივნის გარდაცვლილი პარტნიორი ისურვებდა ემბრიონების სამედიცინო კვლევისთვის გადაცემას, ევროსასამართლომ დაადგინა, რომ სადავო აკრძალვა აუცილებელი იყო დემოკრატიულ საზოგადოებაში. საბოლოოდ, სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ ადგილი არ ჰქონია კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევას. რაც შეეხება კონვენციის 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის დარღვევას, ევროსასამართლომ მიიჩნია, რომ იგი მოცემულ საქმეში არ უნდა ყოფილიყო გამოყენებული, ვინაიდან აღნიშნული მუხლის

მიზნებისთვის ემბრიონები არ შეიძლება „საკუთრებად“ მიჩნეულიყო. შესაბამისად, საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

სისხლის სამართალი

ოჯახში ძალადობა

Rumor v. Italy

(განაცხადი N72964/10; 27/05/2014)

განმცხადებელი ჩიოდა, რომ ხელისუფლებამ ვერ უზრუნველყო მისი მხარდაჭერა 2008 წლის ნოემბერში, აპლიკანტის წინააღმდეგ განხორციელებული ოჯახში ძალადობის სერიოზული ინციდენტის დროს ან მისი დაცვა შემდგომი ძალადობისგან. მომჩივანი ამტკიცებდა, რომ მისი ყოფილი პარტნიორი არ იყო ვალდებული ფსიქიკური მკურნალობა ჩაეტარებინა. აღნიშნული ფაქტი წარმოადგენდა განგრძობით საფრთხეს, როგორც მისთვის, ასევე მისი შვილისთვის. აპლიკანტმა ასევე განაცხადა, რომ მიმღები ცენტრი, რომელიც მოძალადის შინაპატიმრობის ადგილი იყო, მდებარეობდა მხოლოდ 15 კმ-ის დაშორებით მისი სახლიდან, რაც არაადეკვატურად მიიჩნეოდა. განმცხადებლის მტკიცებით, იგი ორჯერ დააშინეს მიმღები ცენტრის თანამშრომლებმა, რაც არღვევდა სასამართლოს ბრძანებას, რომელიც კრძალავდა მის ყოფილ პარტნიორთან ნებისმიერი სახის კონტაქტს. და ბოლოს, აპლიკანტი აცხადებდა, რომ აღნიშნული ხარვეზები გამოწვეული იყო იტალიის არაადეკვატური საკანონმდებლო ბაზით - ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით. აღნიშნული ფაქტი წარმოადგენდა მისი, როგორც ქალის მიმართ დისკრიმინაციას.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ არ დარღვეულა კონვენციის მე-3 მუხლი (არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობის აკრძალვა) ცალკე და მე-14 მუხლთან (დისკრიმინაციის აკრძალვა) ერთობლიობაში. ასევე დაასკვნა, რომ იტალიის ხელისუფლების წარმომადგენლებმა გამოიყენეს ისეთი საკანონმდებლო ჩარჩო, რომელიც ნებას რთავდა შესაბამის ორგანოებს ოჯახში ძალადობის დანაშაულში ბრალდებული პირების წინააღმდეგ გამოეყენებინათ სათანადო ზომები. აღნიშნული ჩარჩო კანონმდებლობა ეფექტიანი იყო ისეთ დანაშაულში მხილებული დამნაშავეების დასასჯელად, რომელშიც აპლიკანტი დაზარალებულ პირს წარმოადგენდა;

ამასთან, აღნიშნული ღონისძიებები განმცხადებლის ფიზიკური ერთიანობის წინააღმდეგ ძალადობრივი თავდასხმების რეციდივის შესაძლებლობის გამორიცხვის პრევენციას უზრუნველყოფდა.

პოლიციის მიერ დაკავება და ადვოკატის დახმარება

Pakshayev v. Russia

(განაცხადი N1377/04; 13/03/2014)

2001 წლის იანვარში მომჩივანი მკვლელობაში დამნაშავედ ცნეს. მას სასჯელის სახით ათი წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა. 2006 წლის ოქტომბერში უმაღლესმა სასამართლომ აღნიშნული მსჯავრდება ძალაში დატოვა. აპლიკანტი ასაჩივრებდა, რომ 1997 წლის მაისში დაკითხვის დროს და პატიმრობის პირველი რამდენიმე დღის განმავლობაში მას უარი ეთქვა ადვოკატის ხელმისაწვდომობაზე. მან განაცხადა დაკითხვის დროს გამოძიებლის მიერ განხორციელებული მუქარის თაობაზე. კერძოდ, გამოძიებელი დაემუქრა მას, რომ თუ იგი არ აღიარებდა დანაშაულს, მას თანასაკნელები გააუპატიურებდნენ. ამრიგად, აპლიკანტმა აღიარა დანაშაული, თუმცა სასამართლო პროცესზე, სადაც იგი ადვოკატის მეშვეობით იყო წარმოდგენილი, მან უარყო ზემოთ ხსენებული აღიარება. ევროსასამართლოს წინაშე მომჩივანი დავობდა, რომ სისხლისსამართლებრივი საქმის წარმოების თავდაპირველ ეტაპზე მისთვის ხელმისაწვდომი არ იყო რაიმე სამართლებრივი დახმარება; იგი ასევე ჩიოდა, რომ იმ პერიოდში გაკეთებული აღიარება გამოყენებულ იქნა მის გასასამართლებლად.

ევროსასამართლომ კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი და მე-3 პარაგრაფების დარღვევა დაადგინა. სტრასბურგის სასამართლომ მიიჩნია, რომ აპლიკანტის აღიარებითი ჩვენების გამოყენება, როდესაც აღნიშნული ჩვენება მიცემულ იქნა მომჩივნის მიერ იურიდიული კონსულტაციის მიღების გარეშე, ეჭვქვეშ აყენებდა მთლიანად სამართალწარმოების სამართლიანობას.

Blaj v. Romania

(განაცხადი N36259/04; 08/04/2014)

აპლიკანტი, რომელიც ქრთამის აღებაში იყო ეჭვმიტანილი, საპოლიციო თვალთვალს დაექვემდებარა. მესამე მხარე, რომელიც პოლიციასთან თანამშრომლობდა, მომჩივანთან მივიდა შესახვედრად და მის მაგიდაზე დატოვა

კონვენტი, რომელშიც ფული იყო. პოლიციის თანამშრომლები დაუყოვნებლივ ჩაერთვნენ პროცესში და აპლიკანტი დანაშაულის ფაქტზე დაიჭირეს. ეროვნული კანონმდებლობის თანახმად, პოლიციამ დანაშაულის შესახებ ანგარიში შეადგინა. იმავე დღეს, მოგვიანებით, მომჩივანს მიეწოდა ინფორმაცია მის წინააღმდეგ არსებული ბრალდებებისა და დუმილის უფლების, აგრეთვე, ადვოკატის მონახულების უფლების თაობაზე. ამის შემდეგ, დაკითხვის დროს მას თან ახლდა ადვოკატი. აპლიკანტი დავობდა, რომ „დანაშაულის ფაქტზე დაჭერის“ დროს იგი არ იყო ინფორმირებული დუმილისა და იურიდიული წარმომადგენლობის უფლების შესახებ.

ევროსასამართლომ, პოლიციის მიერ მომჩივნის დაკითხვის დროს ადვოკატის დახმარების არარსებობასთან მიმართებით, კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი და მე-3 პარაგრაფების დარღვევა არ დაადგინა. სტრასბურგის სასამართლომ აღნიშნა, რომ რუმინული კანონმდებლობის თანახმად, როდესაც პირს „დანაშაულის ფაქტზე“ დაიჭერენ, საგამოძიებო ორგანოების კითხვები შემოფარგლული უნდა იყოს მხოლოდ დანაშაულის ადგილზე ნაპოვნნი მატერიალური მტკიცებულებით; ასეთ შემთხვევაში, საგამოძიებო ორგანოებმა შეკითხვები არ უნდა დასვან პირის სისხლისსამართლებრივ დანაშაულში ჩართულობასთან დაკავშირებით. აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, ევროსასამართლომ დაადგინა, რომ აპლიკანტის საქმეზე საგამოძიებო ორგანოებს დადგენილი ფარგლებისთვის არ გადაუბიჯებიათ. ამასთან, სტრასბურგის სასამართლომ აღნიშნა, რომ ანტიკორუფციული დანაშაულების პროკურორის მიერ დანაშაულთან დაკავშირებით დაკითხვისას აპლიკანტისთვის ადვოკატი ხელმისაწვდომი იყო. მომჩივანი ყველა განცხადებასა და მის მიერ მიცემულ ჩვენებაში ამტკიცებდა, რომ იგი უდანაშაულო იყო და არასდროს ასახივრებდა ვერბალური გამოკითხვის დროს წარდგენილ განცხადებებს. შესაბამისად, ევროსასამართლომ დაადგინა, რომ აღნიშნული განცხადებები სასამართლო პროცესის სამართლიანობას ეჭვქვეშ არ აყენებდა. დასკვნის სახით სტრასბურგის სასამართლომ აღნიშნა, აპლიკანტს არასდროს განუცხადებია, რომ ვერბალური გამოკითხვის დროს გაკეთებული განცხადებები ძალადობის ან არასათანადო მოპყრობის შედეგი იყო.

CarkÇi (no. 2) v. Turkey

(განაცხადი N28451/08; 14/12/2014)

აპლიკანტს საიუველირო მაღაზიის ყაჩაღობაში მონაწილეობისთვის, რომლის დროსაც დაიღუპა მაღაზიის მეპატრონე, სამუდამო პატიმრობა ჰქონდა მისჯილი. მომჩივანი დავობდა, რომ მის წინააღმდეგ მიმართული სისხლისსამართლებრივი

სამართალწარმოება არასამართლიანი იყო. კერძოდ, ის ამტკიცებდა, რომ ადვოკატის დახმარების გარეშე მისთვის ჩარმომეული ჩვენება, რომელსაც მისი ხელმოწერაც კი არ ჰქონდა, გამოყენებულ იქნა მისი მსჯავრდების გასამყარებელ მტკიცებულებად.

ევროსასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-6 მუხლის მე-3 პარაგრაფის „გ“ ქვეპუნქტის დარღვევა კონვენციის მე-6 მუხლის პირველ პარაგრაფთან ერთობლიობაში. სტრასბურგის სასამართლომ მიიჩნია, რომ პატიმრობაში მყოფი მომჩივნისთვის სამართლებრივი დახმარების ხელმისაწვდომობის არარსებობის საფუძველზე, აპლიკანტს დაერღვა კონვენციით უზრუნველყოფილი ზემოთ აღნიშნული უფლებები.

A.T. v. Luxembourg

(განაცხადი N30460/13; 09/04/2015)

წინამდებარე საქმე ეხებოდა აპლიკანტისთვის ეფექტური სამართლებრივი დახმარების მიუნიჭებლობას, როგორც მისი პოლიციის დაკითხვის დროს, აგრეთვე მეორე დღეს - გამომძიებელი მოსამართლის წინაშე მისი წარდგენისას, მას შემდეგ, რაც იგი დაპატიმრებულ იქნა ევროპული დაკავების ორდერის მიხედვით.

ევროსასამართლომ პოლიციის დაკითხვასთან დაკავშირებით დაადგინა, რომ იმ დროს მოქმედი საკანონმდებლო ნორმები ცალსახად გამორიცხავდნენ ადვოკატის დახმარებას იმ პირებისთვის, რომლებიც ლუქსემბურგში გამოცემული ევროპული დაკავების ორდერის მიხედვით იყვნენ დაკავებულნი. იქედან გამომდინარე, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა არ აანაზღაურეს ადვოკატის დახმარების არარსებობით გამოწვეული ზიანი, ვინაიდან ეროვნულმა სასამართლოებმა დასაბუთებისას არ გამოიყენეს აღნიშნული დაკითხვის დროს მიღებული ჩვენებები, ევროსასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-6 მუხლის მე-3 პარაგრაფის „გ“ ქვეპუნქტის დარღვევა კონვენციის მე-6 მუხლის პირველ პარაგრაფთან ერთობლიობაში. დარღვევის საფუძველი იყო პოლიციის მიერ აპლიკანტის დაკითხვისას მისთვის სამართლებრივი დახმარების მიუწოდებლობა. რაც შეეხება აპლიკანტის წარდგენას გამომძიებელი მოსამართლის წინაშე, სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ აღნიშნულ შეხვედრამდე საქმის მასალებზე წვდომის არარსებობა არ წარმოადგენდა კონვენციის მე-6 მუხლის მე-3 პარაგრაფის დარღვევას კონვენციის მე-6 მუხლის პირველ პარაგრაფთან ერთობლიობაში. თუმცა, ევროსასამართლომ დაადგინა, რომ სამართალწარმოებამდე მომჩივნის მიერ ადვოკატთან კონსულტაციის გავლის

შესაძლებლობა ლუქსემბურგის კანონმდებლობის მიხედვით არ იყო საკმარისად უზრუნველყოფილი. ვინაიდან მომჩივანმა გამოძიებულ მოსამართლესთან შეხვედრამდე ვერ შეძლო ადვოკატთან გასაუბრება, სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-6 მუხლის მე-3 პარაგრაფის დარღვევა კონვენციის მე-6 მუხლის პირველ პარაგრაფთან ერთობლიობაში.

Turbylev v. Russia

(განაცხადი N4722/09; 06/10/2015)

წინამდებარე საქმე ეხებოდა მომჩივნის საჩივარს, რომ იგი პოლიციის მეურვეობის ყოფნის ქვეშ დაექვემდებარა არასათანადო მოპყრობას და მის წინააღმდეგ მიმართული სისხლისსამართლებრივი სამართალწარმოება არასამართლიანი იყო, ვინაიდან საქმის განხილვისას მტკიცებულებად იქნა გამოყენებული აპლიკანტის „აღიარებითი ჩვენება“, რომელიც მიცემულ იქნა არასათანადო მოპყრობის შედეგად და ადვოკატის არყოფნის პირობებში.

ევროსასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი (არასათანადო და დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვა), როგორც მომჩივნის არასათანადო მოპყრობის, აგრეთვე, აღნიშნულ მოპყრობასთან დაკავშირებული საჩივრების არაეფექტურად გამოძიების საფუძველზე. სტრასბურგის სასამართლომ ასევე დაადგინა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფისა და მე-3 პარაგრაფის „გ“ ქვეპუნქტის დარღვევა, დასძინა რა, რომ „აღიარებითი ჩვენების“ მტკიცებულებად მიჩნევამ აპლიკანტის საქმის განხილვა არასამართლიანად აქცია. ევროსასამართლომ შენიშნა, რომ რუსული კანონმდებლობით მსგავსი ჩვენების მიცემის დროს ადვოკატის დასწრების მოთხოვნის არარსებობა გამოყენებულ იქნა მომჩივნის, როგორც ეჭვმიტანილის, სამართლებრივი დახმარების მიღების უფლების უგულვებელსაყოფად. აღნიშნული სიტუაცია შიდა სასამართლოს მიერ განმარტებული სამართლებრივი ნორმების სისტემატური გამოყენების შედეგი იყო. გარდა ამისა, ვერ უზრუნველყვეს რა აპლიკანტის განცხადების დამოუკიდებელი, ყოველმხრივი შესწავლა მტკიცებულების კონტექსტში და დაეყრდნენ საგამოძიებო ორგანოების დასკვნებს, ეროვნულმა სასამართლოებმა დააკანონეს პოლიციის თანამშრომლების მიერ მომჩივნის ბრალეულობის დამადასტურებლად აპლიკანტის აღიარებითი ჩვენების გამოყენება, რომელიც მოპოვებული იყო არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის შედეგად.

Dvorski v. Croatia**დიდი პალატის გადაწყვეტილება****(განაცხადი N25703/11; 20/10/2015)**

აღნიშნული საქმე ეხებოდა პოლიციის უარს, აპლიკანტის მშობლების მიერ დაქირავებული ადვოკატისთვის მიეცა განმცხადებლის ინტერესების დაცვის საშუალება, როდესაც მას პოლიცია ჰკითხავდა მკვლელობის, ყაჩაღობისა და წაქეზების განხორციელების ეჭვის საფუძველზე. მომჩივანმა აღიარა ზემოთ ხსენებული დანაშაული, მას შემდეგ რაც ხელი მოაწერა მინდობილობას, რომლის მიხედვით სხვა ადვოკატს მიანიჭა წარმომადგენლობითი უფლებამოსილება.

ევროსასამართლომ კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი და მე-3 პარაგრაფების დარღვევა დაადგინა. სტრასბურგის სასამართლომ აღნიშნა, რომ პოლიციამ აპლიკანტს არ აცნობა არც ოჯახის მიერ დაქირავებული ადვოკატის არსებობის შესახებ და არც მისი პოლიციის განყოფილებაში ყოფნის თაობაზე. დაკითხვის დროს მომჩივანმა აღიარა დანაშაული და მისი აღიარებითი ჩვენება, მტკიცებულების სახით, საქმის განხილვისას იქნა წარდგენილი. ევროსასამართლომ აღნიშნა, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა ჯეროვნად არ განიხილეს აღნიშნული საკითხი. კერძოდ, ვერ უზრუნველყვეს გაეტარებინათ აუცილებელი ზომები, რათა დაეცვათ მომჩივნის სამართლიანი სასამართლოს უფლება.

Blokhin v. Russia**დიდი პალატის გადაწყვეტილება****(განაცხადი N47152/06; 26/03/2016)**

წინამდებარე საქმე ეხებოდა ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე 12 წლის ბიჭის ოცდაათდღიან დაკავებას არასრულწლოვანთა დროებითი მოთავსების ცენტრში. აპლიკანტი აცხადებდა, რომ მის წინააღმდეგ მიმდინარე საქმის წარმოება არასამართლიანი იყო, ვინაიდან პოლიციამ იგი ადვოკატის, მეურვის ან მასწავლებლის დასწრების გარეშე დაკითხა.

ევროსასამართლოს დიდმა პალატამ კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი და მე-3 პარაგრაფების დარღვევა დაადგინა. დიდი პალატა დაეთანხმა პალატის გადაწყვეტილებას, რომ ბიჭის დროებითი დაკავების ცენტრში მოთავსება უნდა მიჩნეულიყო სისხლისსამართლებრივ საქმედ კონვენციის მე-6 მუხლის

მიზნებისთვის, მიუხედავად იმისა, რომ რუსეთში ამგვარი მოთავსება არ მიიჩნეოდა სისხლისსამართლებრივი მნიშვნელობის საკითხად. ეროვნული სასამართლოები დაკავების ცენტრში ბიჭის მოთავსების მთავარ მიზეზად მის მიერ სამართალდარღვევის ჩადენას მიუთითებდნენ. აპლიკანტის უფლებები დაირღვა, ვინაიდან პოლიციამ იგი სამართლებრივი დახმარების არარსებობის პირობებში დაკითხა და მისი დროებითი დაკავების ცენტრში მოთავსებას საფუძვლად დაედო ორი მოწმის ჩვენება, რომელთა დაკითხვის შესაძლებლობა აპლიკანტს არ მისცემია.

ტერორიზმი

Nasr and Ghali v. Italy

(განაცხადი N44883/09; 23/02/2016)¹

წინამდებარე საქმე ეხებოდა „საგანგებო გადაცემას“, კერძოდ, იტალიელების დახმარებით აშშ-ს ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს თანამშრომლების მიერ ეგვიპტელი იმამ აბუ ომარის გატაცებასა და გადაცემას ეგვიპტისთვის მას შემდეგ, რაც იგი რამდენიმე თვის განმავლობაში აღნიშნულ ქვეყანაში ფარულად იყო დაკავებული. კერძოდ, განმცხადებელი ჩიოდა, რომ მისი გატაცება იტალიის ხელისუფლების მონაწილეობით განხორციელდა და იგი დაექვემდებარა არასათანადო მოპყრობას მისი გადაცემისა და დაკავების დროს. ამასთან, სახელმწიფო საიდუმლოების საფუძველზე, პასუხისმგებელი პირები დაუსჯელნი დარჩნენ, რადგან მათ წინააღმდეგ გამოტანილი სასჯელი არ აღსრულდა. აშშ-ს ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს თანამშრომლები ვალდებულნი იყვნენ უარი ეთქვათ იტალიის ხელისუფლებისთვის აპლიკანტის ექსტრადიციის მოთხოვნაზე. და ბოლოს, აპლიკანტი და მისი მეუღლე - მეორე განმცხადებელი ჩიოდნენ, რომ დაირღვა მათი პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება იმის გათვალისწინებით, რომ პირველი განმცხადებლის გატაცებასა და დაკავებას მოჰყვა მათი იძულებითი დაშორება ხუთ წელზე მეტი ხნის განმავლობაში.

ევროსასამართლომ დაადგინა, რომ პირველ აპლიკანტთან მიმართებით, დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი (წამების, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის აკრძალვა), მე-5 მუხლი (თავისუფლების და უსაფრთხოების უფლება), მე-8 მუხლი (პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება)

¹ წინამდებარე გადაწყვეტილება საბოლოო გახდება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის 44-ე მუხლის მე-2 პარაგრაფში (საბოლოო გადაწყვეტილებები) აღნიშნული გარემოებების შესაბამისად.

და მე-13 მუხლი (სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალებები) კონვენციის მე-3, მე-5 და მე-8 მუხლებთან ერთობლიობაში. მეორე აპლიკანტთან მიმართებით, სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი (არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის აკრძალვა), მე-8 მუხლი (პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება) და მე-13 მუხლი (სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალება) კონვენციის მე-3 და მე-8 მუხლებთან ერთად.

კერძოდ, საქმის ყველა მტკიცებულების გათვალისწინებით, სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ იტალიის ხელისუფლების წარმომადგენლებმა იცოდნენ, რომ პირველი განმცხადებელი საგანგებო გადაცემის ოპერაციის მსხვერპლი იყო, რომელიც დაიწყო მისი გატაცებით იტალიაში და გაგრძელდა მისი გადაცემით საზღვარგარეთ. მოცემულ საქმეში ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ „სახელმწიფო საიდუმლოების“ ლეგიტიმური პრინციპი ცალსახად გამოიყენებოდა იტალიის აღმასრულებლის მიერ, რათა უზრუნველყო მოქმედ პირთა პასუხისმგებლობის გამორიცხვა მათ ქმედებებზე. გამოძიებამ და სამართალწარმოებამ არ დასაჯა ის პასუხისმგებელი პირები, რომლებიც საბოლოოდ დაუსჯელნი დარჩნენ.

Sher and Others v. the United Kingdom

(განაცხადი N5201/11; 20/10/2015)²

ეს საქმე შეეხებოდა სამი პაკისტანელი განმცხადებლის დაკავებასა და დაპატიმრებას, კონტრტერორისტული ოპერაციის ფარგლებში. მომჩივნები დაკავებულნი იყვნენ 13 დღის განმავლობაში, სანამ საბოლოოდ უსასყიდლოდ გაათავისუფლებდნენ. აღნიშნულ პერიოდში აპლიკანტები ორჯერ მიიყვანეს სასამართლოში, მათი შემდგომი პატიმრობის ორდერის გამოცემისთვის. ისინი გადაიყვანეს საემიგრაციო პატიმრობაში და მას შემდეგ ნებაყოფლობით დაბრუნდნენ პაკისტანში. კერძოდ, განმცხადებლები ჩიოდნენ, მათი გახანგრძლივებული დაკავების პროცესებთან დაკავშირებით, რადგან აპლიკანტების გახანგრძლივებული პატიმრობის დამადასტურებელი გარკვეული მტკიცებულება მათგან დაფარული იყო. სწორედ ერთ-ერთი ასეთი სასამართლო პროცესი ჩატარდა ხანმოკლე პერიოდის განმავლობაში დახურულ სხდომაზე.

ევროსასამართლომ დაადგინა, რომ არ დარღვეულა კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 პარაგრაფი. კერძოდ, სტრასბურგის სასამართლომ დაასკვნა, რომ დიდი

² წინამდებარე გადაწყვეტილება საბოლოო გახდება კონვენციის 44-ე მუხლის მე-2 პარაგრაფში აღნიშნული გარემოებების შესაბამისად.

ბრიტანეთის ხელისუფლების ორგანოებმა გააცნობიერეს იმწუთიერი ტერორისტული თავდასხმის საფრთხის არსებობა და დაიწვეს განსაკუთრებული კომპლექსური გამოძიება მის გასანეიტრალებლად. სტრასბურგის სასამართლომ კვლავ აღნიშნა რა, რომ ტერორიზმი ხვდებოდა სპეციალურ კატეგორიაში, დაადგინა, რომ მე-5 მუხლის მე-4 პარაგრაფი ვერ იქნებოდა გამოყენებული დახურული სასამართლო სხდომის ჩატარების თავიდან ასაცილებლად ან პოლიციის მიერ ტერორიზმის წინააღმდეგ ეფექტიანი ღონისძიებების განხორციელებისთვის არაპროპორციული სირთულეების შესაქმნელად. აპლიკანტების საქმეში, იმწუთიერი ტერორისტული თავდასხმის საფრთხე და ეროვნული უსაფრთხოების საკითხები ამართლებდა აპლიკანტის უფლების შეზღუდვას შეჯიბრებით სამართალწარმოებებთან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა მათი შემდგომი დაკავების ორდერებს. გარდა ამისა, არსებობდა საკმარისი გარანტიები შემდგომი დაკავებებისთვის გამოსაცემი ორდერების სამართალწარმოებებთან მიმართებით არსებული თვითნებობის რისკის საწინააღმდეგოდ, მარეგულირებელი საკანონმდებლო ჩარჩოს ფარგლებში, რომელიც ცხადად და დეტალურად განმარტავდა შესაბამის პროცედურულ წესებს.

Abdulla Ali v. the United Kingdom

(განაცხადი N30971/12; 30/06/2015)

წინამდებარე საქმე ეხებოდა მომჩივნის საჩივარს იმასთან დაკავშირებით, რომ ფართოდ უარყოფითი მედია-გაშუქების გამო მის წინააღმდეგ მიმდინარე სამართალწარმოება არასამართლიანი იყო. აპლიკანტი ბრალდებული იყო ტერორისტულ შეთქმულებაში მონაწილეობის მიღებაში, რათა თხევადი ბომბების გამოყენებით თვითმფრინავის აფეთქება გამოეწვიათ. პირველ სასამართლო პროცესს ფართო მედია გამოხმაურება მოჰყვა, მათ შორის, გაშუქდა დოკუმენტები, რომლებიც ნაფიც მსაჯულთა წინაშე არ ყოფილა წარმოდგენილი. საბოლოოდ, აპლიკანტი დამნაშავედ ცნეს მკვლელობის შეთქმულებაში. შემდგომში, ბრძანება გაიცა საქმის ხელახალი განხილვის თაობაზე მკვლელობის შეთქმულებაში მონაწილეობის უფრო კონკრეტულ ბრალდებაზე, კერძოდ, შუა ფრენის დროს თვითმფრინავში ასაფეთქებელი მოწყობილობების მეშვეობით მკვლელობის განხორციელებაში (აღნიშნულ ბრალდებასთან მიმართებით, პირველ სასამართლო პროცესზე ნაფიც მსაჯულებმა ვერდიქტი ვერ მიიღეს). მომჩივანი დავობდა, რომ უარყოფითი საჯარო გამოხმაურების გათვალისწინებით საქმის გადასინჯვა ვერ იქნებოდა სამართლიანი. მისი არგუმენტი არ გაიზიარა საქმის ხელმეორედ განმხილველმა მოსამართლემ და აპლიკანტი დამნაშავედ ცნო. მას სასჯელის სახით სამუდამო

პატიმრობა მიესაჯა, თავისუფლების აღკვეთის ორმოცწლიანი მინიმალური ვადით.

ევროსასამართლომ დაადგინა, რომ კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფი არ დარღვეულა. სტრასბურგის სასამართლომ დაასკვნა, რომ უარყოფით საჯარო გამოხმაურებას ნაფიც მსაჯულებზე ისეთი გავლენა არ ჰქონია, რომ წინასწარ ემოქმედა სამართალწარმოების შედეგზე და აპლიკანტის საქმის განხილვა არასამართლიანად მიეჩნია. ევროპულმა სასამართლომ შენიშნა, რომ უარყოფითი საჯარო გამოხმაურების შემთხვევაში სამართლიანი სასამართლოს უზრუნველყოფასთან დაკავშირებით გაერთიანებულ სამეფოში მოქმედი სამართლებრივი ჩარჩო ითვალისწინებდა სათანადო მითითებებს საქმის ხელახლა განხილველი მოსამართლისათვის. ევროსასამართლომ დაადგინა, რომ მოსამართლის მიერ მიღებული ზომები საკმარისი იყო. ამრიგად, სასამართლო განიხილა, გავიდა თუ არა საკმარისი დრო, რათა საქმის გადასინჯვის დაწყებამდე წინასწარ აზრის შემქმნელი ცნობები წარსულს მისცემოდა. სტრასბურგის სასამართლო აცნობიერებდა ნაფიც მსაჯულებისთვის მიუკერძოებლობის თაობაზე დირექტივების მიცემის, აგრეთვე, საქმის მხოლოდ სასამართლოს წინაშე წარმოდგენილ მტკიცებულებებზე დაყრდნობით გადაწყვეტის მნიშვნელობას. მოგვიანებით მოსამართლემ გასცა მორიგი, ნათელი მითითებები, რაც აპლიკანტს არ გაუსაჩივრებია. ის ფაქტი, რომ შემდგომში ნაფიც მსაჯულებმა საქმეში მონაწილე მრავალ ბრალდებულთან მიმართებით განსხვავებული ვერდიქტი გამოიტანეს, ამყარებდა მოსამართლის დასკვნას, რომ ნაფიც მსაჯულები იცავდნენ ინსტრუქციებს, რომ საქმე სამართლიანად გადაწყვიტონ, მხოლოდ სასამართლოს წინაშე წარმოდგენილი მტკიცებულების საფუძველზე.

Sher and Others v. the United Kingdom

(განაცხადი N5201/11; 20/10/2015)³

წინამდებარე საქმე ეხებოდა აპლიკანტების - სამი პაკისტანელის დაკავებასა და დაპატიმრებას, კონტრტერორისტული ოპერაციის ფარგლებში. აპლიკანტები დავობდნენ მათი საცხოვრებელი ბინების ჩხრეკის შესახებ, პატიმრობის პერიოდში.

ევროსასამართლომ დაადგინა, რომ არ დარღვეულა კონვენციის მე-8 მუხლი (პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება). სტრასბურგის

³ წინამდებარე გადაწყვეტილება საბოლოო გახდება კონვენციის 44-ე მუხლის მე-2 პარაგრაფში აღნიშნული გარემოებების შესაბამისად.

სასამართლომ დაასკვნა, რომ ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა და მდგომარეობის იმწუთიერობა ამართლებდა აპლიკანტების ბინების ჩხრეკას შესაბამისი ორდერის მიხედვით, ფართო მნიშვნელობის ფარგლებში. გარდა ამისა, არსებობდა საკმარისი გარანტიები მოსამართლის მიერ გაცემული ჩხრეკის ორდერის ბოროტად გამოყენების თავიდან ასაცილებლად, მიუხედავად აპლიკანტების არგუმენტებისა, რომ არ იყო აღნიშნული ქმედების განხორციელების გონივრული საფუძვლები.

Szabo and Vissy v. Hungary

(განაცხადი N37138/14; 12/01/2016)⁴

აღნიშნული საქმე ეხებოდა უნგრეთის კანონმდებლობას ფარული კონტრტერორისტული თვალთვალის შესახებ, რომელიც 2011 წელს დაინერგა. აპლიკანტები დავობდნენ, რომ ისინი შესაძლებელი იყო პოტენციურად დაქვემდებარებოდნენ უსამართლო და არაპროპორციული ჩარევის ღონისძიებებს ეროვნული უსაფრთხოების მიზნებისთვის ფარული თვალთვალის შესახებ უნგრეთის კანონმდებლობის ფარგლებში (კერძოდ, „სექცია 7/(3) თვალთვალი“). ისინი აცხადებდნენ, რომ აღნიშნული საკანონმდებლო ბაზა მიდრეკილი იყო უფლების ბოროტად გამოყენებისკენ, განსაკუთრებით სასამართლო კონტროლის საჭიროებისკენ.

წინამდებარე საქმეში ევროსასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლი. სტრასბურგის სასამართლომ მიიჩნია, რომ თანამედროვე ტერორიზმის ფორმებიდან გამომდინარე, ზემოთ აღნიშნული ზომები წარმოადგენდა ხელისუფლების მიერ მიღებულ ბუნებრივ შედეგს უახლესი ტექნოლოგიების გამოყენებასთან დაკავშირებით, მათ შორის, კომუნიკაციების მასობრივი მონიტორინგის საშუალებით, მოსალოდნელი ინციდენტების თავიდან ასაცილებლად. თუმცა, ევროსასამართლო არ იყო დარწმუნებული, რომ კანონმდებლობა უზრუნველყოფდა საკმარის გარანტიებს უფლების ბოროტად გამოყენების პრევენციისთვის. აღსანიშნავია, რომ გამოყენებული ღონისძიებების მასშტაბს შეეძლო ვირტუალურად შეხებოდა ნებისმიერ პირს უნგრეთში, რადგან ახალი ტექნოლოგიები მთავრობას უფლებას აძლევდა იმ პირების მასობრივი მონაცემების მოსმენასაც კი, რომელიც მოქმედების ძირითად არეალს სცილდებოდა. გარდა ამისა, ასეთი ღონისძიებების შესახებ ბრძანების გაცემა ხდებოდა მთლიანი ხელისუფლების მასშტაბით და კომუნიკაციის მოსმენის მკაცრი აუცილებლობის შეფასებისა და ეფექტიანი სამართლებრივი დაცვის

⁴ წინამდებარე გადაწყვეტილება საბოლოო გახდება კონვენციის 44-ე მუხლის მე-2 პარაგრაფში აღნიშნული გარემოებების შესაბამისად.

საშუალებების გარეშე, მხედველობაში რომ არ მივიღოთ არსებული სასამართლო ხელისუფლება. სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ არ დარღვეულა კონვენციის მე-13 მუხლი (ეფექტიანი სამართლებრივი დაცვის საშუალება) მე-8 მუხლთან ერთობლიობაში, კვლავ აღნიშნა რა, რომ მე-13 მუხლი არ შეიძლება განმარტებულიყო, როგორც სახელმწიფოს ეროვნული კანონმდებლობის წინააღმდეგ სამართლებრივი დაცვის საშუალების საჭიროება.

Guler and Ugur v. Turkey

(განაცხადი N31706/10; 33088/10; 02/12/2014)

წინამდებარე საქმე ეხებოდა აპლიკანტა მსჯავრდებას ტერორისტული ორგანიზაციის აგიტაციისთვის. აღნიშნული ქმედება გამოხატული იყო რელიგიურ მსახურებაში მონაწილეობის მიღებით, რომელიც მოწყობილი იყო პოლიტიკური პარტიის შენობაში უსაფრთხოების ძალების მიერ მოკლული უკანონო ფორმირების (PKK) სამი წევრის ხსოვნის პატივსაცემად. მომჩივნები აცხადებდნენ, რომ მსჯავრდება ეფუძნებოდა მათ მონაწილეობას რელიგიურ მსახურებაში, რომელიც გამოიხატებოდა მათი რელიგიური მსახურების საჯარო გაცხადებაში. აპლიკანტებმა ასევე აღნიშნეს, რომ მსჯავრდება არ იყო სათანადოდ განჭვრეტადი, კონტრტერორისტული აქტის მნიშვნელობის გათვალისწინებით.

სტრასბურგის სასამართლომ მიიჩნია, რომ აპლიკანტზე დაკისრებული საპატიმრო სასჯელი წარმოადგენდა მათი რელიგიის გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევას. იმ ფაქტის მიუხედავად, რომ აღნიშნული მსახურება ჩატარდა იმ პირების ხსოვნის მიზნით, რომლებიც უკანონო ფორმირების წევრები იყვნენ ან მსახურება მოეწყო პოლიტიკური პარტიის შენობაში, სადაც უკანონო ფორმირების სიმბოლოები იყო გამოფენილი. ევროსასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ საქმეში დაირღვა კონვენციის მე-9 მუხლი (აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება), დაადგინა, რომ ჩარევა არ იყო „კანონით გათვალისწინებული“ იმდენად, რამდენადაც ეროვნული კანონმდებლობის ის ნორმა, რომელსაც იგი ეფუძნებოდა, არ აკმაყოფილებდა სიცხადისა და წინასწარგანჭვრეტადობის მოთხოვნებს.

Belek and Velioglu v. Turkey

(განაცხადი N44227/04; 06/10/2015)

მოცემული საქმე ეხებოდა აპლიკანტის მსჯავრდებას სამხედრო სასამართლოს მიერ, ყოველდღიურ გაზეთში ისეთი სტატიის გამოქვეყნების გამო, რომელიც შეიცავდა უკანონო შეიარაღებული ფორმირების განცხადებას. კერძოდ, განმცხადებლები ამტკიცებდნენ, რომ მათი სისხლისსამართლებრივი მსჯავრდებითა და გაზეთის გამოცემის აკრძალვით დაირღვა მათი გამოხატვის თავისუფლების უფლება.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-10 მუხლი (გამოხატვის თავისუფლება). განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა რა სტატიაში ასახულ ენაზე და გამოქვეყნების კონტექსტზე, მათ შორის, ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის სირთულეებზე. სტრასბურგის სასამართლომ აღნიშნა, რომ ტექსტი მთლიანობაში არ შეიცავდა ძალადობის მოწოდების, შეიარაღებული წინააღმდეგობის ან ამბოხის რაიმე გამოვლინებას და არ გამოხატავდა სიძულვილის ენას, რომელიც გასათვალისწინებელ მთავარ ფაქტორს წარმოადგენდა.

ევროსასამართლომ განიხილა განმცხადებელთა მსჯავრდების საფუძველები და დაასკვნა, რომ აღნიშნული ფაქტი არ შეიძლებოდა მიჩნეულიყო საკმარის წინაპირობად გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევის გასამართლებლად.

Mudur Duman v. Turkey

(განაცხადი N15450/03; 06/10/2015)

წინამდებარე საქმე შეეხებოდა პოლიტიკური პარტიის ადგილობრივი ლიდერის საჩივარს, იმასთან დაკავშირებით, რომ მისი მსჯავრდება პარტიის ოფისში ნაპოვნი უკანონო სურათებისა და პუბლიკაციების საფუძველზე წარმოადგენდა გამოხატვის თავისუფლებაში გაუმართლებელ ჩარევას.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-10 მუხლი (გამოხატვის თავისუფლება), დაასკვნა რა, რომ აპლიკანტის მსჯავრდება დასახული მიზნის არაპროპორციული იყო. კერძოდ, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საჭიროება და დანაშაულის თავიდან აცილება ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა. სტრასბურგის სასამართლოს მოსაზრებით, მიუხედავად იმისა, რომ განმცხადებელმა უარყო მის ოფისში აღმოჩენილი საგნების შესახებ

ინფორმაციის ფლობა, განმცხადებლის მსჯავრდება კონვენციის მე-10 მუხლით დაცულ უფლებებში ჩარევას წარმოადგენდა. გარდა ამისა, თურქეთის სასამართლოების მიერ მოშველიებული არგუმენტები აპლიკანტის ბრალდებასა და მსჯავრდებასთან დაკავშირებით, არ შეიძლებოდა მიჩნეულიყო რელევანტურად და საკმარისად, რათა გაემართლებინათ მომჩივნის გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევა. კერძოდ, განმცხადებლის ქმედება არ შეიძლებოდა დაკვალიფიცირებულიყო, როგორც უკანონო ქმედებების მხარდაჭერა და არ არსებობდა მინიშნება, რომ აღმოჩენილი საგნები მხარს უჭერდა ძალადობას, შეიარაღებულ წინააღმდეგობას ან აჯანყებას.

Bidart v. France

(განაცხადი N52363/11; 12/11/2015)

ეს საქმე ეხებოდა აპლიკანტისთვის დაკისრებულ ვალდებულებას, რომელიც წარმოადგენდა ბასკეთის სეპარატისტული ორგანიზაციის - „Iparretarrak-ის“ ყოფილ ლიდერს. აღნიშნული ვალდებულება გამოიხატებოდა განმცხადებლის მიერ დაკავებული პოზიციიდან იმ პირობით გათავისუფლებაში, რომ თავიდან აცილებული ყოფილიყო ნებისმიერი ნაწარმის ან აუდიოვიზუალური პროდუქციის გავრცელება აპლიკანტის ავტორობით ან თანაავტორობით. ზემოაღნიშნული პროდუქცია ეხებოდა მისთვის ბრალად შერაცხულ დანაშაულებსა და ამ სამართალდარღვევების შესახებ საჯაროდ საუბრისგან თავის არიდებას.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ არ დარღვეულა კონვენციის მე-10 მუხლი (გამოხატვის თავისუფლება). კერძოდ, სტრასბურგის სასამართლომ აღნიშნა, რომ სადავო ღონისძიება დროში შეზღუდული იყო და ეხებოდა მხოლოდ განმცხადებლის მიერ ჩადენილ დანაშაულებს. აპლიკანტზე ასევე შეიძლებოდა განხორციელებულიყო ისეთი მოქმედება, რომელიც სასამართლოების მიერ განხილვას დაექვემდებარებოდა. ევროსასამართლომ დაასკვნა, რომ განმცხადებლისთვის დაკისრებული ვალდებულების განსაზღვრისას საფრანგეთის სასამართლოებს არ გადაუბიჯებიათ შეფასების თავიანთი საზღვრებისთვის. კერძოდ, აღნიშნული გადაწყვეტილება ეხებოდა მომჩივნის დაკავებული პოზიციიდან იმ პირობით გათავისუფლებას, რომ თავიდან აცილებულიყო ნებისმიერი ნაწარმის ან აუდიოვიზუალური პროდუქციის გავრცელება აპლიკანტის ავტორობით ან თანაავტორობით, რომელიც ეხებოდა, მთლიანად ან ნაწილობრივ მისთვის ბრალად შერაცხულ დანაშაულებს და ამ სამართალდარღვევების შესახებ საჯაროდ საუბრისგან თავის არიდებას.

Gulcu v. Turkey

(განაცხადი N17526/10; 19/01/2016)⁵

წინამდებარე საქმე ეხებოდა არასრულწლოვნის დაკავებასა და დაპატიმრებას 2 წლის ვადით ქურთული მშრომელთა პარტიის (PKK) წევრობის გამო, რომელიც უკანონო შეიარაღებულ ფორმირებას წარმოადგენდა მას შემდეგ, რაც მან მონაწილეობა მიიღო 2008 წლის ივლისში, დიარბიკირში გამართულ დემონსტრაციაში და პოლიციის ოფიცრებს ქვები დაუშინა. იგი ასევე მსჯავრდებული იყო ტერორისტული ორგანიზაციის შესახებ პროპაგანდის გავრცელებაში და პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევაში. აპლიკანტი დავობდა დემონსტრაციაში მონაწილეობის გამო მისი მსჯავრდებისთვის და აცხადებდა, რომ მასზე დაკისრებული კომბინირებული სასჯელი არაპროპორციული იყო.

ევროსასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-11 მუხლი (შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლება). პირველ რიგში, სტრასბურგის სასამართლომ მიუთითა, რომ იმ შემთხვევაშიც კი, თუ აპლიკანტს ბრალი დაედებოდა პოლიციის ოფიცრების მიმართ ძალადობის განხორციელებაში, არაფერი მიუთითებდა იმაზე, რომ დემონსტრაციებში მონაწილეობის დროს, განმცხადებელს რაიმე ძალადობრივი განხრახვა ჰქონდა. გარდა ამისა, განსახილველი იყო ის ფაქტი, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა ვერ უზრუნველყვეს რაიმე მიზეზების მოყვანა აპლიკანტის ქურთული მშრომელთა პარტიის წევრობის მსჯავრდებისთვის ან მის მიერ ტერორისტული ორგანიზაციის პროპაგანდის გავრცელების მხარდაჭერასთან დაკავშირებით. დამატებით, ევროსასამართლომ ასევე აღნიშნა სასჯელის განსაკუთრებული სიმკაცრე - განმცხადებლისთვის 7 წლით და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა მაშინ, როდესაც იგი მხოლოდ 15 წლის იყო აღნიშნული ინციდენტის დროს; ასევე ის სასჯელი, რომელიც მსჯავრდებულმა ნაწილობრივ მოიხადა, კერძოდ, 1 წელი და 8 თვე მას შემდეგ, რაც დაკავებული იყო 4 თვის განმავლობაში მიმდინარე სამართალწარმოების პერიოდში.

შესაბამისად, ევროსასამართლომ დაასკვნა, რომ აპლიკანტის მცირე ასაკიდან გამომდინარე, დაკისრებული სასჯელების სიმკაცრე არაპროპორციული იყო უწესრიგობის, დანაშაულის თავიდან აცილების, სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის მიზნებიდან გამომდინარე.

⁵ წინამდებარე გადაწყვეტილება საბოლოო გახდება კონვენციის 44-ე მუხლის მე-2 პარაგრაფში აღნიშნული გარემოებების შესაბამისად.

ადამიანთ ვაჭრობა (ტრეფიკინგი)

L.E. v. Greece

(განაცხადი N71545/12; 21/01/2016)⁶

ეს საქმე ეხებოდა ნიგერიელი მოქალაქის საჩივარს, რომელიც იძულებული იყო ჩაბმულიყო პროსტიტუციაში, საბერძნეთში. მიუხედავად იმისა, რომ აპლიკანტი ოფიციალურად აღიარებული იყო, როგორც ტრეფიკინგის მსხვერპლი, მას დასჭირდა შესაბამისი უწყებებისთვის მისი მდგომარეობის შესახებ შეტყობინებიდან 9 თვეზე მეტი დრო, სანამ მართლმსაჯულების სისტემა მიანიჭებდა მსხვერპლის სტატუსს. მომჩივანმა განაცხადა, რომ საბერძნეთი ვერ აკმაყოფილებდა კონვენციის მე-4 მუხლიდან გამომდინარე პოზიტიურ ვალდებულებებს (მონობისა და იძულებითი შრომის აკრძალვა), რაც აღნიშნული დებულების დარღვევას იწვევდა.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-4 მუხლი (მონობისა და იძულებითი შრომის აკრძალვა). კერძოდ, ევროსასამართლომ დაადგინა, რომ წინასწარი გამოძიების ეფექტურობა და საქმის შემდგომი გამოძიება გარკვეულ ხარვეზებს შეიცავდა. ადმინისტრაციულ და სასამართლო პროცესებთან მიმართებით, სტრასბურგის სასამართლომ ასევე აღნიშნა მრავალჯერადი გადადების და ხარვეზების შესახებ საბერძნეთის პროცედურული ვალდებულებების კუთხით. ამ შემთხვევაში, სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფი (სამართლიანი სასამართლოს უფლება გონივრულ ვადაში). კერძოდ, ევროსასამართლომ დაასკვნა, რომ წინამდებარე სამართალწარმოებების ხანგრძლივობა გაჭიანურებული იყო ერთი ინსტანციის განსჯადობისთვის და არ აკმაყოფილებდა „გონივრული ვადის“ მოთხოვნას. საბოლოო ჯამში, ევროსასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-13 მუხლი (ეფექტიანი დაცვის სამართლებრივი საშუალება), ეროვნულ კანონმდებლობაში სამართლებრივი დაცვის საშუალების არარსებობის გამო, რომლითაც აპლიკანტი შეძლებდა სასამართლო პროცესზე, გონივრული ვადის ფარგლებში საკუთარი უფლების იმპლემენტაციას.

⁶ წინამდებარე გადაწყვეტილება საბოლოო გახდება კონვენციის 44-ე მუხლის მე-2 პარაგრაფში აღნიშნული გარემოებების შესაბამისად.

ქალთა მიმართ ძალადობა

Izci v. Turkey

(განაცხადი N42606/05; 23/07/2013)

წინამდებარე საქმე ეხებოდა თურქ ქალბატონს, რომელიც ჩიოდა, რომ მას პოლიცია თავს დაესხა მას შემდეგ, რაც ქალთა დღის აღსანიშნავად, სტამბულში, მონაწილეობა მიიღო მშვიდობიან მანიფესტაციაში; იგი ასევე ჩიოდა, რომ პოლიციის მიერ მსგავსი სისასტიკის განხორციელება თურქეთში შეწყნარებული იყო და ხშირად დაუსჯელი რჩებოდა.

ევროსასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლის (წამებისა და არაადამიანური მოპყრობის აკრძალვა) როგორც მატერიალურ-სამართლებრივი, აგრეთვე პროცედურული ასპექტი; დამატებით დაირღვა კონვენციის მე-11 მუხლი (შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლება). სტრასბურგის სასამართლოს თვალსაზრისით, როგორც თურქეთის წინააღმდეგ მიმართულ ბევრ ძველ საქმეში, პოლიციის თანამშრომლებმა ვერ უზრუნველყვეს ტოლერანტობის გარკვეული ხარისხის გამოძღვანება და თავშეკავება, როდესაც ისინი მშვიდობიანი მანიფესტაციის დაშლას ცდილობდნენ, რომელიც არც ძალადობრივი ხასიათის იყო და არც საზოგადოებრივ წესრიგს უქმნიდა საფრთხეს; აგრეთვე, სასამართლომ მიიჩნია, რომ დემონსტრანტების მიმართ არაპროპორციული ძალის გამოყენებამ მომჩივნის დაშავება გამოიწვია. გარდა ამისა, თურქეთის ხელისუფლების მიერ პასუხისმგებელი პოლიციის თანამშრომლების დაუდგენლობამ და დაუსჯელობამ სერიოზული ეჭვები წარმოშვა, რომ სახელმწიფო ვერ ასრულებდა კონვენციის თანახმად მისთვის დაკისრებულ ვალდებულებას - არასათანადო მოპყრობის თაობაზე ბრალდების არსებობისას ჩაეტარებინა ეფექტიანი გამოძიება. საბოლოოდ, პოლიციის მხრიდან გადამეტებული ძალის გამოყენებას გადამწყვეტი გავლენა ჰქონდა ხალხის სურვილზე, გაემართათ დემონსტრაცია. მოცემულ საქმეში, ევროსასამართლომ კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ მის წინაშე განსახილველი იყო მრავალი საჩივარი თურქეთში შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლების და დემონსტრაციის დროს სამართალდამცავი ორგანოების მიერ ძალის გადამეტებული გამოყენების თაობაზე. პრობლემის სისტემური ასპექტის მხედველობაში მიღებით, სტრასბურგის სასამართლომ მოსთხოვა თურქეთის ხელისუფლებას, კონვენციის 46-ე მუხლიდან გამომდინარე ვალდებულების შესაბამისად გაეტარებინა ზოგადი ღონისძიებები, რათა მომავალში თავიდან აერიდებინა ანალოგიური დარღვევები.

O’Keeffe v. Ireland

დიდი პალატის გადაწყვეტილება

(განაცხადი N35810/09; 28/01/2014)

წინამდებარე საქმე ეხებოდა სახელმწიფოს პასუხისმგებლობის საკითხს 1973 წელს, ირლანდიის ეროვნულ სკოლაში, მასწავლებლის მიერ ცხრა წლის გოგონაზე სექსუალური ძალადობის განხორციელებისათვის. მომჩივანი დავობდა, რომ ირლანდიის ხელისუფლებამ ვერ უზრუნველყო დაწყებითი განათლების სისტემის სტრუქტურის იმგვარად მოწყობა, რომ დაეცვა იგი ძალადობისაგან. აგრეთვე, გამოძიების წარმოება და არასათანადო მოპყრობის ფაქტზე რეაგირებისათვის სათანადო სამართლებრივი ღონისძიების განხორციელება. მომჩივანი ამტკიცებდა, რომ მან ვერ შეძლო მოეპოვებინა სამართლებრივი აღიარება და კომპენსაცია იმისათვის, რომ სახელმწიფომ ვერ დაიცვა იგი.

ევროსასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-3 (წამებისა და არაადამიანური მოპყრობის აკრძალვა) და მე-13 (სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალების უფლება) მუხლები, ვინაიდან ირლანდიის ხელისუფლებამ ვერ უზრუნველყო მომჩივნის დაცვა სექსუალური ძალადობისაგან. აგრეთვე, მომჩივანს ეროვნულ დონეზე არ ჰქონდა შიდასამართლებრივი დაცვის საშუალებების ეფექტიანი უფლება. გარდა ამისა, სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ მომჩივნის სკოლაში სექსუალური ძალადობის განხორციელების თაობაზე საჩივრების გამოძიებასთან დაკავშირებით, კონვენციის მე-3 მუხლი არ დარღვეულა.

M.A. v. Slovenia and N.D. v. Slovenia

(განაცხადი N3400/07; N16605/09; 15/01/2015)

მომჩივნები დავობდნენ, რომ სლოვენიაში ვერ უზრუნველყო სისხლისსამართლებრივი დევნისა და გასამართლების ეფექტიანი სისტემა იმ პირების წინააღმდეგ, რომელთაც აპლიკანტების გაუპატიურებაში ედებოდათ ბრალი. მომჩივანთა საქმეებზე სისხლისსამართლებრივი სამართალწარმოება პირველ შემთხვევაში გრძელდებოდა 26 წელი, ხოლო მეორე შემთხვევაში - დაახლოებით 9 წელი.

ევროსასამართლომ ორივე საქმეზე დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლის (წამებისა და არაადამიანური მოპყრობის აკრძალვა) პროცედურული ასპექტი, მიიჩნია რა, რომ მომჩივნის გაუპატიურებასთან დაკავშირებული

სისხლისსამართლებრივი სამართალწარმოება არ შეესაბამებოდა მე-3 მუხლით დადგენილ პროცედურულ მოთხოვნებს.

W. v. Slovenia

(განაცხადი N24125/06; 23/01/2014)

წინამდებარე საქმე ეხებოდა მამაკაცთა ჯგუფის წინააღმდეგ მიმდინარე სისხლისსამართლებრივ სამართალწარმოებას; აღნიშნულმა ჯგუფმა 1990 წლის აპრილში გააუპატიურა მომჩივანი, როდესაც იგი 18 წლის იყო. მომჩივანი დავობდა, რომ საქმის განხილვის გაჭიანურება წინააღმდეგობაში მოდიოდა სახელმწიფოს ვალდებულებასთან, ეფექტურად განეხორციელებინა სისხლის სამართლის საქმის წარმოება მის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულთან მიმართებით. მიუხედავად იმისა, რომ მომჩივანს, გაჭიანურებული სამართალწარმოების შედეგად განცდილი ზიანისთვის, ეროვნულ დონეზე მიეკუთვნა კომპენსაცია, იგი მიიჩნევდა, რომ 5 000 ევრო არ შეიძლებოდა ჩათვლილიყო საკმარის ანაზღაურებად.

ევროსასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლის (წამებისა და არაადამიანური მოპყრობის აკრძალვა) პროცედურული ასპექტი, მიიჩნია რა, რომ მომჩივნის გაუპატიურებასთან დაკავშირებული სისხლის სამართლის საქმის წარმოება არ შეესაბამებოდა კონვენციის მე-3 მუხლით დადგენილ პროცედურულ მოთხოვნებს.

I.P. v. the Republic of Moldova

(განაცხადი N33708/12; 28/04/2015)

მომჩივანი ამტკიცებდა, რომ გააუპატიურა მამაკაცმა, რომელსაც დაახლოებით ერთი წლის განმავლობაში ხვდებოდა. მან განაცხადა, რომ მოლდოვის ხელისუფლებამ ვერ უზრუნველყო გაუპატიურების თაობაზე ბრალდების ეფექტიანი გამოძიება და არ არსებობდა ხელმისაწვდომი სისხლისსამართლებრივი ან სამოქალაქოსამართლებრივი დაცვის საშუალება, რათა გაესაჩივრებინა გამოძიების არაადეკვატურობა.

ევროსასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლის (წამებისა და არაადამიანური მოპყრობის აკრძალვა) პროცედურული ასპექტი, მიიჩნია რა, რომ აპლიკანტის საქმეზე ჩატარებული გამოძიება არ შეესაბამებოდა სახელმწიფოსათვის დაკისრებულ პოზიტიურ ვალდებულებას – ეფექტიანად

განხორციელებინა გამოძიება და დაესაჯა გაუპატიურებისა და სექსუალური ძალადობის გამომხატველი ყველა ქმედება. სტრასბურგის სასამართლომ, დამატებით დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-13 მუხლი (სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალების უფლება) მე-3 მუხლთან ერთობლიობაში, ვინაიდან აპლიკანტის საჩივარი, აგრეთვე, ეხებოდა შიდასახელმწიფოებრივი სამართლებრივი დაცვის საშუალების არარსებობას.

Y. v. Slovenia

(განაცხადი N41107/10; 28/05/2015)

აღნიშნული საქმე ეხებოდა ახალგაზრდა ქალბატონის საჩივარს მისი ოჯახის მეგობრის წინააღმდეგ მიმართული სისხლის სამართლის საქმის წარმოებასთან დაკავშირებით. იგი ამტკიცებდა, რომ ოჯახის მეგობარმა მასზე არაერთხელ განახორციელა სექსუალური ძალადობა, როდესაც იგი არასრულწლოვანი იყო. აპლიკანტი ჩიოდა, რომ სამართალწარმოება გადაჭარბებული და მისთვის ტრამპული აღმოჩნდა. მომჩივანმა განაცხადა, რომ მის წინააღმდეგ განხორციელებულ სექსუალურ ძალადობასთან დაკავშირებული გამოძიება და შემდგომი სამართალწარმოება უსაფუძვლოდ გაჭიანურდა; აპლიკანტის მიერ სარჩელის შეტანასა და პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოცხადებას შორის დაახლოებით შვიდი წელი იყო გასული. მომჩივანი დავობდა, რომ სისხლისსამართლებრივი სამართალწარმოების პროცესში დაერღვა პიროვნული მთლიანობა, კერძოდ, მის საქმეზე სამართალწარმოებისას ორ სასამართლო პროცესზე ბრალდებულის მიერ ჯვარედინი დაკითხვის დროს მან ტრამპა მიიღო.

ევროსასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება კონვენციის მე-3 მუხლის თანახმად (წამებისა და არაადამიანური მოპყრობის აკრძალვა). სტრასბურგის სასამართლომ მიიჩნია, რომ უდავო იყო ის ფაქტი, რომ საჩივრის წარდგენიდან გადაწყვეტილების გამოტანამდე შვიდწლიანი შუალედის არსებობა უარყოფითად აისახებოდა სამართალწარმოებაზე; საქმის განხილვის მსგავსი გაჭიანურება არ შეიძლება თავსებადი იყოს დროულობის მოთხოვნასთან. ასევე, ევროსასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-8 მუხლის (პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება) დარღვევა. სისხლისსამართლებრივი გამოძიებისა და სამართალწარმოების განხორციელებისას სლოვაკეთის ხელისუფლებამ ვერ უზრუნველყო მომჩივნის პიროვნული მთლიანობის დაცვა. კერძოდ, ხელისუფლებას თავიდან უნდა აეცილებინა სავარაუდო თავდამსხმელის მიერ ჯვარედინი დაკითხვისას დამამცირებელი და შეურაცხმყოფელი შენიშვნების

გაკეთება. ხელისუფლების წარმომადგენლებმა, სავარაუდოდ, მიიღეს მთელი რიგი ზომები, რათა შემდგომში თავიდან აერიდებინათ მომჩივნისთვის ტრამვის მიყენება. თუმცა, საკითხის განსაკუთრებული მნიშვნელობიდან და სექსუალური ძალადობის განხორციელების დროს მომჩივნის მცირე ასაკიდან გამომდინარე, წინამდებარე საქმეზე საჭირო იყო განსაკუთრებით სენსიტიური მიდგომა. რაც შეეხება თავად ბრალდებულის მიერ ჯვარედინი დაკითხვის წარმართვის ბუნებას, ევროსასამართლომ აღნიშნა, რომ თუმცა ბრალდებულს უნდა მიეცეს გარკვეული უფლება ეჭვქვეშ დააყენოს მომჩივნის სანდოობა, ჯვარედინი დაკითხვა არ უნდა იქნეს გამოყენებული, როგორც მოწმეების დამცირებისა და დაშინების საშუალება.

მონაცემები

ახალი ტექნოლოგიები

Brunet v. France

(განაცხადი N21010/10; 18/09/2014)

აპლიკანტი ჩიოდა მის პირად ცხოვრებაში ჩარევის თაობაზე, რომელიც უკავშირდებოდა პოლიციის მონაცემთა ბაზაში - STIC-ში ჩასმას (აღწერილი დანაშაულების დასამუშავებელი სისტემა). აღნიშნული სისტემა შეიცავდა ინფორმაციას გამოძიების მასალებში ჩამოთვლილი მონაწილე პირებისა და დაზარალებულების შესახებ, მომჩივნის წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართალწარმოების შეწყვეტის შემდეგ.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლი (პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლება), დაასკვნა, რომ საფრანგეთის სახელმწიფომ დაარღვია თავისი დისკრეციული უფლებამოსილება („შეფასების ზღვარი“) შემდეგი საკითხების გადაწყვეტისას: ინფორმაციის შენახვა შესაძლებელია განიხილებოდეს, როგორც განმცხადებლის პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლებაში არაპროპორციული ჩარევა და არ იყოს აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში. კერძოდ, ევროსასამართლომ მიიჩნია, რომ განმცხადებელს არ ჰქონდა რეალური შესაძლებლობა, მის შესახებ არსებული ინფორმაცია წაეშალა მონაცემთა ბაზიდან. ამ ინფორმაციის შენახვა 20 წლის განმავლობაში შესაძლებელია შედარებულ იქნეს იმ ნორმასთან, რომელიც ადგენს მაქსიმალურ ზღვარს იმ

შემთხვევაში, თუ არ არსებობს განუსაზღვრელი ვადით შენახვის აუცილებლობა.

Servulo & Associados - Sociedade de Advogados, RL v. Portugal

(განაცხადი N27013/10; 03/09/2015)

წინამდებარე საქმე ეხებოდა იურიდიული ფირმის ოფისის ჩხრეკას, კომპიუტერული ფაილებისა და ელექტრონული ფოსტის მიმოწერის ამოღებას, სავარაუდო კორუფციული დანაშაულის, აკრძალული პროცენტების შექმნისა და ფულის გათეთრების გამოძიების მიზნით, რომელიც უკავშირდებოდა პორტუგალიის მთავრობის მიერ გერმანიის კონსორციუმის ორი წყალქვეშა ნავის ყიდვას.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ არ დარღვეულა კონვენციის მე-8 მუხლი (პირადი ცხოვრებისა და კორესპონდენციის პატივისცემის უფლება). სტრასბურგის სასამართლომ დაასკვნა, რომ მიუხედავად ჩხრეკის და ამოღების ორდერის ფარგლებსა, განმცხადებლების სამართლებრივი დაცვის საშუალებები უფლების ბოროტად გამოყენების, თვითნებობისა და სამართლებრივი პროფესიული საიდუმლოების დარღვევის წინააღმდეგ იყო ადეკვატური და საკმარისი. აქედან გამომდინარე, ჩხრეკისა და ამოღების მოქმედებები არ წარმოადგენდა არაპროპორციულ ჩარევას კანონიერ მიზანთან მიმართებით. კერძოდ, ევროსასამართლომ აღნიშნა, რომ კომპიუტერული ფაილებისა და ელექტრონული ფოსტის წერილების ამოღების შემდეგ, სისხლის სამართლის საგამომიებო სასამართლოს გამომძიებელმა მოსამართლემ ბრძანა 850 პირადი ცხოვრების ამსახველი ჩანაწერების წაშლა, რომელიც პროფესიულ საიდუმლოებას უკავშირდებოდა ან არ ჰქონდათ წინამდებარე საქმეზე პირდაპირი შესება. ევროსასამართლომ აღნიშნა, რომ ვერ ხედავს მიზეზს, რის გამოც უნდა განიხილოს იმ მოსამართლის დასკვნა, რომლის საფუძველზეც განხორციელდა ჩხრეკისა და ამოღების მოქმედებების კანონიერების შემოწმება პროფესიული საიდუმლოების დაცვის მიზნით. ასევე, აპლიკანტის არგუმენტის საპასუხოდ, რომელიც ამოღებული კომპიუტერული ჩანაწერების უკან დაუბრუნებლობას ეხებოდა, ევროსასამართლომ დაასკვნა, რომ აღნიშნული ჩანაწერების ორიგინალები უკან იქნა დაბრუნებული და არ არსებობდა მათი ასლების დაბრუნების ვალდებულება, რომელიც შეიძლებოდა შენახულიყო წინამდებარე დანაშაულების ხანდაზმულობის ვადით.

Szabo and Vissy v. Hungary

(განაცხადი N37138/14; 12/01/2016)⁷

Delfi AS v. Estonia

დიდი პალატის გადაწყვეტილება

(განაცხადი N64569/09; 16/06/2015)

წინამდებარე საქმე წარმოადგენდა პირველ შემთხვევას, როცა ევროსასამართლომ განიხილა საჩივარი, რომელიც ეხებოდა ინტერნეტ გვერდზე ახალი ამბების მომხმარებლების მიერ გაკეთებულ კომენტარებს. აპლიკანტი კომპანია, რომელიც მართავს კომერციაზე დაფუძნებულ ახალი ამბების პორტალს დავობდა, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა მას პასუხისმგებლობა დააკისრეს იმ შეურაცხყოფელი კომენტარების გამო, რომელსაც მკითხველები წერდნენ საბორნე კომპანიასთან დაკავშირებულ ერთ-ერთ ახალ სტატიასთან მიმართებით. საბორნე კომპანიის მფლობელის იურისტების თხოვნით, აპლიკანტმა კომპანიამ წაშალა აღნიშნული შეურაცხყოფელი კომენტარები მათი გამოქვეყნებიდან დაახლოებით 6 კვირის შემდეგ.

ევროსასამართლომ დაადგინა, რომ არ დარღვეულა კონვენციის მე-10 მუხლი (გამოხატვის თავისუფლება), დაასკვნა რა, რომ ესტონეთის სასამართლოების მიერ აპლიკანტი კომპანიისთვის პასუხისმგებლობის დაწესება, წარმოადგენდა მართებულ და პროპორციულ შეზღუდვას ინტერნეტგვერდზე გამოხატვის თავისუფლების კონტექსტში. აღნიშნული კომენტარები იყო უკიდურესად მწვავე და გამოხატავდა მკითხველთა რეაქციას აპლიკანტის მიერ მართულ, კომერციაზე დაფუძნებულ, ახალი ამბების პორტალზე გამოქვეყნებულ სტატიასთან მიმართებით. განმცხადებლის ქმედებები ყოველგვარი დაყოვნების გარეშე შეურაცხყოფელი კომენტარების წაშლასთან დაკავშირებით არ იყო საკმარისი; ამასთან, 320 ევროიანი ჯარიმის დაწესება არ იყო გადაჭარბებული მომჩივანთან მიმართებით, რომელიც ესტონეთში ერთ-ერთ უდიდეს ინტერნეტპორტალს წარმოადგენდა.

⁷ აღნიშნული საქმე იხილეთ გვ.35.

Cengiz and Others v. Turkey

(განაცხადი N48226/10; 14027/11; 01/12/2015)

წინამდებარე საქმე ეხებოდა youtube-ის საიტის დაბლოკვას, რომლის მეშვეობითაც მომხმარებლები ავზავნიან, უყურებენ და აზიარებენ ვიდეოებს. მომჩივნები დავობდნენ ინფორმაციისა და მოსაზრების მიღებისა და გავრცელების თავისუფლების დარღვევის შესახებ. სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-10 მუხლი (გამოხატვის თავისუფლება), დაასკვნა რა, რომ განმცხადებლებს - სხვადასხვა უნივერსიტეტის აკადემიური სფეროს წარმომადგენლებს - წართმეული ჰქონდათ youtube-ზე წვდომის უფლება ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში. საქმის გარემოებების გათვალისწინებით, მათ, როგორც აქტიურ მომხმარებლებს შეეძლოთ ლეგიტიმურად ედავათ, რომ წინამდებარე დაბლოკვის ბრძანება გავლენას ახდენდა მათ უფლებაზე - ინფორმაციისა და მოსაზრების მიღების და გავრცელების თავისუფლების შესახებ.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ასევე დაასკვნა, რომ youtube-ი იყო ერთი პლატფორმა, რომელიც უზრუნველყოფდა სამოქალაქო ჟურნალისტიკის წარმოშობასა და კონკრეტული სახის ინფორმაციის გადაცემას, განსაკუთრებით პოლიტიკურ და სოციალურ საკითხებზე. სტრასბურგის სასამართლომ დამატებით დასძინა, რომ კანონმდებლობაში არ არსებობდა ისეთი დებულება, რომელიც საშუალებას მისცემდა ეროვნულ სასამართლოებს ინტერნეტზე წვდომის საერთო ბლოკირების ბრძანება გაეცა, ხოლო აღნიშნულ შემთხვევაში კი - მის რომელიმე შინაარსთან მიმართებით.

Barbulescu v. Romania

(განაცხადი N61496/08; 12/01/2016)

აღნიშნული საქმე ეხებოდა აპლიკანტის გათავისუფლებას სამსახურიდან დამქირავებლის - კერძო კომპანიის მიერ, რომელმაც გამოიყენა კომპანიის ინტერნეტი პირადი მიზნებისთვის შიდა რეგულაციების დარღვევით. მომჩივანი დავობდა, რომ მისი დამსაქმებლის გადაწყვეტილება შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე დაფუძნებული იყო მისი პირადი ცხოვრების უფლების დარღვევაზე.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ არ დარღვეულა კონვენციის მე-8 მუხლი (პირადი და ოჯახური ცხოვრების, საცხოვრისისა და კორესპონდენციის უფლება) დაასკვნა რა, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა

სამართლიანი ბალანსი დაიცვეს მე-8 მუხლიდან გამომდინარე აპლიკანტის პირადი ცხოვრების უფლების პატივისცემას, კორესპონდენციას და დამსაქმებლის ინტერესებს შორის. ევროსასამართლომ აღნიშნა, რომ წინამდებარე საქმე მოიცავდა მომჩივნის პირადი ცხოვრებისა და კორესპონდენციის ხელშეუხებლობის უფლებას. თუმცა, დამსაქმებლის მიერ აპლიკანტის კომუნიკაციის მონიტორინგი გონივრული იყო დისციპლინური სამართალწარმოების კონტექსტში.

Kalda v. Estonia

(განაცხადი N17429/10; 19/01/2016)

წინამდებარე საქმე ეხებოდა პატიმრის საჩივარს ხელისუფლების მიერ მისთვის სამი ინტერნეტსაიტის ხელმისაწვდომობაზე უარის თქმასთან დაკავშირებით, რომელიც შეიცავდა სამართლებრივ ინფორმაციას და იმართებოდა სახელმწიფოსა და ევროპის საბჭოს მიერ. აპლიკანტი დავობდა, რომ ესტონეთის კანონმდებლობის მიხედვით დაწესებულმა აკრძალვამ აღნიშნული კონკრეტული საიტების წვდომასთან მიმართებით დაარღვია მომჩივნის უფლება, მიეღო ინფორმაცია ინტერნეტის მეშვეობით და ხელი შეუშალა მას განეხორციელებინა სამართლებრივი კვლევა იმ სასამართლო პროცესებისა, რომელშიც ის იყო ჩართული.

სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-10 მუხლი (გამოხატვის თავისუფლება). კერძოდ, ევროსასამართლომ დაასკვნა, რომ ხელშემკვერელი სახელმწიფოები არ არიან ვალდებული, პატიმარს მისცენ წვდომა ინტერნეტზე. თუმცა, თუ სახელმწიფოს სურს თავისუფლებაადკვეთილი პირი დაუშვას ისეთ საიტებზე, როგორც ესტონეთის წინამდებარე საქმეშია, მაშინ ქვეყანამ უნდა წარმოადგინოს მყარი არგუმენტები კონკრეტულ საიტებზე წვდომის უარყოფის შესახებ. განმცხადებლის საქმის სპეციფიკური გარემოებებიდან გამომდინარე, აღნიშნულ ინტერნეტსაიტებზე ხელმისაწვდომობის აკრძალვა დაკავშირებული იყო უსაფრთხოებისა და ზედმეტი ხარჯების მიზეზებთან. ეს კი არ აღმოჩნდა საკმარისი, ინფორმაციის მიღების უფლებაში ჩარევასთან მიმართებით. აღსანიშნავია, რომ ხელისუფლებამ უზრუნველყო შესაბამისი უსაფრთხოების ღონისძიებები ციხის ადმინისტრაციის ზედამხედველობის მეშვეობით. ამ მიზნისთვის, ციხის ადმინისტრაციამ მოახდინა კომპიუტერების ადაპტირება ინტერნეტის გამოყენებისთვის და გაიღო გარკვეული ხარჯები. მართლაც, ეროვნულმა სასამართლოებმა არ ჩაატარეს დეტალური ანალიზი ზემოთ აღნიშნულ სამ დამატებით ვებსაიტზე წვდომის უსაფრთხოების შესაძლო რისკებთან დაკავშირებით, იმის გათვალისწინებით,

რომ ისინი იმართებოდა საერთაშორისო ორგანიზაციისა და თავად სახელმწიფოს მიერ.

Magyar Tartalomsgalgtatok Egyesulete and Index.hu Zrt v. Hungary

(განაცხადი N22947/13; 02/02/2016)

წინამდებარე საქმე ეხებოდა ინტერნეტ პროვაიდერების თვითმარეგულირებელი ორგანოსა და საინფორმაციო ინტერნეტპორტალის პასუხისმგებლობას ვულგარული და შეურაცხყოფელი ონლაინ კომენტარების გამო. კომენტარები, რომელიც გამოქვეყნდა მათ ვებგვერდებზე, ეხებოდა უძრავი ქონების ორი ვებსაიტის შეცდომაში შემყვან ბიზნეს პრაქტიკას. დავა წარმოიშვა კრიტიკული მოსაზრების გამოქვეყნების შემდეგ. განმცხადებლები ჩიოდნენ მათ წინააღმდეგ გამოტანილი უნგრეთის სასამართლოების გადაწყვეტილებების შესახებ, რომელიც ავალდებულებდა მათ ვებგვერდებზე მკითხველების მიერ გაკეთებული კომენტარების შინაარსის შერბილებას. მომჩივნები ამტკიცებდნენ, რომ აღნიშნული ფაქტი ეწინააღმდეგებოდა ინტერნეტში გამოხატვის თავისუფლების არსს.

სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-10 მუხლი (გამოხატვის თავისუფლება). კერძოდ, ევროსასამართლომ კვლავ აღნიშნა, რომ ვალდებულებები კომენტარების ავტორებს კი არა, არამედ ინტერნეტ საინფორმაციო პორტალებს ჰქონდათ. თუმცა, ევროსასამართლომ მიიჩნია, რომ უნგრეთის სასამართლოებს, როდესაც განიხილავდნენ პასუხისმგებლობის ცნებას აპლიკანტის საქმეში, არ განუხორციელებიათ სათანადო დამაბალანსებელი მოქმედება კონკურენტულ უფლებებს შორის, კერძოდ, აპლიკანტის გამოხატვის თავისუფლებასა და უძრავი ქონების ვებსაიტის კომერციული რეპუტაციის პატივისცემის უფლებას შორის. აღსანიშნავია, რომ უნგრეთის სახელისუფლებო ორგანოებმა ერთმნიშვნელოვნად მიიჩნიეს, რომ კომენტარები უკანონო იყო, როგორც უძრავი ქონების ვებსაიტების რეპუტაციისთვის დამაზიანებელი.

Dallas v. the United Kingdom

(განაცხადი N38395/12; 11/02/2016)

წინამდებარე საქმე ეხებოდა მომჩივნის ბრალდებას სასამართლოსადმი უპატივცემულობასთან დაკავშირებით, რომელიც გამოწვეული იყო აპლიკანტის,

როგორც ნაფიცი მსაჯულის მიერ განსახილველ სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით ჩატარებული ინტერნეტკვლევის შედეგად. მომჩივანი დავობდა, რომ საერთო სამართლის სისტემის დანაშაული - სასამართლოსადმი უპატივცემულობა, არ იყო საკმარისად ნათელი.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ არ დარღვეულა კონვენციის მე-7 მუხლი (არავითარი სასჯელი კანონის გარეშე). ევროსასამართლომ დაადგინა, რომ სასამართლოსადმი უპატივცემულობის ტესტი წინამდებარე საქმეში იყო გამოყენებადი და ხელმისაწვდომი. სამოსამართლო სამართლის შექმნის ფუნქცია დარჩა თავის გონივრულ საზღვრებში და წინამდებარე საქმეში გამოტანილი გადაწყვეტილება შეიძლებოდა მიჩნეულიყო, როგორც ნაბიჯი სამართლებრივი ინტერპრეტაციის მეშვეობით, სასამართლოსადმი უპატივცემულობის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის წესების თანდათანობითი განმარტების შესახებ. კანონის ნებისმიერი განვითარება იყო დანაშაულის არსის შესაბამისი და შეიძლება გონივრულად იყოს მიჩნეული.

Roman Zakharov v. Russia

(განაცხადი N 47143/06; 04/12/2015)

წინამდებარე საქმე ეხებოდა მობილური სატელეფონო კავშირების ფარული მოსმენის სისტემას რუსეთში. განმცხადებელი, საგამომცემლო კომპანიის მთავარი რედაქტორი ჩიოდა, რომ რუსეთში, მობილური ქსელის ოპერატორები კანონის შესაბამისად ვალდებული იყვნენ დაემონტაჟებინათ ისეთი აღჭურვილობა, რომელიც საშუალებას მისცემდა სამართალდამცავ ორგანოებს განეხორციელებინათ ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობა. ამასთან, რუსეთის კანონმდებლობაში არარსებული საკმარისი გარანტიების გამო, აღნიშნული ფაქტი უშვებდა კომუნიკაციების სრული ფარული მიყურადების შესაძლებლობას.

ევროსასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლი (პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დარღვევა), დაასკვნა რა, რომ რუსეთის სამართლებრივი დებულებები კომუნიკაციის ფარული მიყურადების თაობაზე არ უზრუნველყოფდა ადეკვატურ და ეფექტურ გარანტიებს თვითნებობისა და უფლების ბოროტად გამოყენების რისკის წინააღმდეგ. აღნიშნული გარემოებები ფარული თვალთვალის ნებისმიერი სისტემის თანმდევი და განსაკუთრებით აქტუალური იყო ისეთი ქვეყნისთვის, როგორც რუსეთია, სადაც საიდუმლო სამსახურებსა და პოლიციას ტექნიკური საშუალებების გამოყენებით აქვთ პირდაპირი წვდომა ყველა მობილურ სატელეფონო კომუნიკაციასთან. კერძოდ,

სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა სამართლებრივი ჩარჩოს ხარვეზები შემდეგ გარემოებებში: ის ვითარება, რომელშიც რუსეთის საჯარო ხელისუფლება უფლებამოსილია მიმართოს ფარულ სათვალთვალს ღონისძიებებს; ასეთი ზომების ხანგრძლივობა, განსაკუთრებით იმ პირობებში, როდესაც იგი უნდა შეწყდეს; მონაცემთა ამოღების, აგრეთვე უკანონოდ მოპოვებული მონაცემების შენახვისა და განადგურების პროცედურები; ფარული მიყურადების ზედამხედველობა. გარდა ამისა, სამართლებრივი დაცვის არსებული საშუალებების ეფექტურობა ე.წ. მოსმენების მიმართ სადავოდ გახდის მიზნით, შერყეული იყო იმ ფაქტით, რომ აღნიშნული საშუალებები ხელმისაწვდომი იყო მხოლოდ იმ პირებისთვის, რომელთაც შეძლეს მონაცემთა ამოღების მტკიცებულების წარმოდგენა; ასეთი მტკიცებულების მოპოვება შეუძლებელი იყო გაფრთხილების ნებისმიერი სისტემის ან მონაცემთა ფარული მიყურადების შესახებ ინფორმაციისადმი წვდომის შესაძლებლობის არარსებობის პირობებში.

Haldimann and Others v. Switzerland

(განაცხადი N21830/09; 24/02/2015)

ეს საქმე ეხებოდა ოთხი ჟურნალისტის ბრალდებას იმასთან დაკავშირებით, რომ მათ ფარული კამერით ჩაიწერეს და ეთერში გაუშვეს კერძო სადაზღვევო ბროკერის ინტერვიუ, როგორც სატელევიზიო დოკუმენტური ფილმის ნაწილი, რომელიც გამიზნული იყო სადაზღვევო ბროკერის მიერ განხორციელებული დეზინფორმაციული რჩევის დასაგმობად. განმცხადებლები ჩიოდნენ, რომ მათი სასჯელი - ჯარიმის გადახდასთან დაკავშირებით, წარმოადგენდა მათი გამომხატვის თავისუფლებაში არაპროპორციულ ჩარევას.

წინამდებარე საქმეში, ევროსასამართლოს პირველად უნდა განეხილა საჩივარი, რომელიც ეხებოდა ჟურნალისტების მიერ ფარული კამერების გამოყენებას, რათა საერთო ინტერესის საკითხზე საჯარო ინფორმაცია მიეწოდებინათ საზოგადოებისთვის. კერძო სადაზღვევო ბროკერი გადაიღეს არა როგორც რაიმე პირადი შესაძლებლობების გამო, არამედ როგორც კონკრეტული პროფესიული კატეგორიის წარმომადგენელი. სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ განმცხადებლის საქმეში დაირღვა კონვენციის მე-10 მუხლი (გამომხატვის თავისუფლება), მიიჩნია რა, რომ ბროკერის პირად ცხოვრებაში ჩარევა, რომელმაც უარი განაცხადა ინტერვიუში თავისი შეხედულებების გამოთქმასთან დაკავშირებით, არ იყო საკმარისად სერიოზული. აღნიშნულმა დარღვევამ ვერ გადაფარა სადაზღვევო საბროკერო სფეროში უკანონო ქმედებების შესახებ არსებული ინფორმაციის საზოგადოებრივი ინტერესი. გარდა ამისა,

სტრასბურგის სასამართლო ამტკიცებდა, რომ განმცხადებლები იმსახურებდნენ მათ სასარგებლოდ იმ ეჭვის გადაწყვეტას, რომელიც დაკავშირებული იყო ჟურნალისტის ეთიკის დაცვის სურვილთან, რაც განსაზღვრული იყო შვეიცარიის კანონმდებლობით. ასევე გასათვალისწინებელი იყო ჟურნალისტების მიერ ფარული კამერის შეზღუდული რაოდენობით გამოყენების შემთხვევები.

Bremner v. Turkey

(განაცხადი N37428/06; 13/10/2015)

წინამდებარე საქმე ეხებოდა სატელევიზიო დოკუმენტური ფილმის გადაცემას, რომელშიც განმცხადებელი, მისი ევანგელური ქრისტიანული რწმენის პროპაგანდის გამო დახასიათებული იყო, როგორც „რელიგიის უცხო მოვაჭრე“, რომელიც ჩართული იყო ფარულ საქმიანობაში, თურქეთში. განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ მაუწყებლობის დოკუმენტური ფილმის გადმოცემა და სასამართლო ხელისუფლების უარი მისთვის ანაზღაურების მიცემის თაობაზე, არღვევდა მისი პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლებას.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლი (პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლება), დაასკვნა, რომ აპლიკანტის გამოსახულების ჩვენება ყოველგვარი დაფარვის გარეშე, არ შეიძლებოდა მიზნულიყო საზოგადოებაში ნებისმიერი საჯარო ინტერესის საკითხის განხილვის ხელშეწყობად, მიუხედავად საზოგადოებრივი ინტერესის ხარისხისა რელიგიურ პროზელიტიზმთან მიმართებით. ევროსასამართლომ მიიჩნია, რომ ზემოთ აღნიშნული მეთოდით პირად ცხოვრებაში უხეშად ჩარევა შეზღუდულად უნდა იქნეს გამოყენებული. სტრასბურგის სასამართლომ იცოდა, რომ ზოგიერთ შემთხვევებში, ჟურნალისტების მიერ ფარული კამერების გამოყენება საჭიროებიდან გამომდინარე ხდებოდა, როცა ინფორმაციის მიღება სხვა რაიმე საშუალებით ძნელი იყო. თუმცა, აღნიშნული მეთოდი გამოყენებული უნდა ყოფილიყო ეთიკური პრინციპების შესაბამისად და შეზღუდვით.

პერსონალურ მონაცემთა დაცვა

Dragojevic v. Croatia

(განაცხადი N68955/11; 15/01/2015)

წინამდებარე საქმე ძირითადად ეხებოდა ნარკოტიკებით ვაჭრობაში ბრალდებული პირის სატელეფონო საუბრების ფარულ მიყურადებას. აპლიკანტი

დავობდა, რომ გამოძიებული მოსამართლე არ დაემორჩილა ხორვატიის კანონმდებლობით განსაზღვრულ პროცედურას, რათა ეფექტურად შეეფასებინა ფარული თვალთვალის აუცილებლობა და გამართლება აღნიშნულ საქმეში.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლი. კერძოდ, ევროსასამართლომ დაასკვნა, რომ ხორვატიის კანონმდებლობა, როგორც ეროვნული სასამართლოები განმარტავენ, არ უზრუნველყოფს სახელმწიფო ორგანოთა დისკრეციის გონივრულ სიცხადეს ფარული საგამოძიებო ღონისძიებების შესახებ ბრძანების გაცემასთან დაკავშირებით. როგორც აპლიკანტის საქმეში, ისე პრაქტიკაშიც არ არის უზრუნველყოფილი სათანადო დაცვის მექანიზმები, უფლების ბოროტად გამოყენებისგან თავიდან აცილების მიზნით.

R.E. v. the United Kingdom

(განაცხადი N62498/11; 27/10/2015)

განმცხადებელი სამჯერ იყო დაკავებული და დაპატიმრებული პოლიციის ოფიცრის მკვლელობასთან დაკავშირებით ჩრდილოეთ ირლანდიაში. იგი დავობდა პატიმრებისა და მათი ადვოკატების კონსულტაციების, ასევე მოწვევადი პატიმრებისა⁸ და „შესაბამისი სრულწლოვნების“⁹ საუბრების ფარულ მიყურადებასთან დაკავშირებით.

წინამდებარე საქმე განხილულ იქნა იმ პრინციპების მიხედვით, რომელიც ევროსასამართლომ შეიმუშავა ადვოკატსა და კლიენტს შორის განხორციელებული სატელეფონო ზარების ფარული მიყურადების სფეროში, რაც მკაცრი დაცვის გარანტიებით სარგებლობდა.

სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ აღნიშნული პრინციპები გამოყენებულ უნდა იქნეს პოლიციის განყოფილებაში ადვოკატსა და კლიენტს შორის გამართული კონსულტაციების ფარულ მიყურადებასთან დაკავშირებით. წინამდებარე საქმეში, ევროპულმა სასამართლომ დაასკვნა, რომ დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლი იურიდიული კონსულტაციების ფარულ თვალთვალთან მიმართებით. კერძოდ, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ 2010 წლის 22 ივნისიდან განხორციელდა ფარული თვალთვალის შედეგად მიღებული მასალის უსაფრთხო დამუშავების, შენახვისა და განადგურების სახელმძღვანელო მითითებები. თუმცა, 2010 წლის მაისში, განმცხადებლის

⁸ არასრულწლოვანი ან სხვა პირი, რომელსაც ფსიქიკური დარღვევები აქვს.

⁹ „შესაბამისი სრულწლოვანი“ შეიძლება იყოს მოწვევადი პირის ნათესავი, ან მეურვე, ან პირი, რომელსაც შეხება აქვს ფსიქიკური დარღვევების მქონე პირთან.

დაპატიმრების დროს, აღნიშნული პრინციპები ჯერ არ იყო ძალაში შესული. აქედან გამომდინარე, სტრასბურგის სასამართლო არ იყო დარწმუნებული, რომ იმ დროს მოქმედი შესაბამისი ეროვნული კანონმდებლობის დებულებები საკმარისი დაცვის მექანიზმებს უზრუნველყოფდნენ ფარული თვალთვალის შედეგად მოპოვებული განმცხადებლის ადვოკატთან შემდგარი კონსულტაციების შესახებ. ევროსასამართლომ დამატებით დასძინა, რომ არ დარღვეულა კონვენციის მე-8 მუხლი იმ ფაქტთან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა დაპატიმრებულთა და „შესაბამისი სრულწლოვნების“ საუბრებს, რადგან აღნიშნული გარემოება არ იყო სამართლებრივად პრივილეგირებული. შესაბამისად, პატიმარს არ უნდა ჰქონოდა იურიდიული კონსულტაციის მსგავსი კონფიდენციალურობის მოლოდინი. გარდა ამისა, სტრასბურგის სასამართლო დარწმუნებული იყო, რომ შესაბამისი შიდა ნორმები, რამდენადაც იგი ეხებოდა დაპატიმრებულთა და „შესაბამისი სრულწლოვნების“ საუბრების შესაძლო ფარულ მიყურადებას, აღჭურვილი იყო უფლების ბოროტად გამოყენებისგან დაცვის ადეკვატური გარანტიებით.

Roman Zakharov v. Russia

(განაცხადი N47143/06; 04/12/2015)¹⁰

Soro v. Estonia

(განაცხადი N22588/08; 03/09/2015)

წინამდებარე საქმე ეხებოდა განმცხადებლის საჩივარს იმ ფაქტთან დაკავშირებით, რომ მისი შრომითი ურთიერთობის შესახებ ინფორმაცია, რაც გულისხმობდა საბჭოთა კავშირის დროს სსრკ-ის უშიშროების კომიტეტის (კგბ-ს) მძღოლად მუშაობას 2004 წელს, გამოქვეყნდა ესტონეთის სახელმწიფო გაზეთში. სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლი, დაასკვნა რა, რომ განმცხადებლის შემთხვევაში, ეს ღონისძიება იყო არაპროპორციული მისაღწევ მიზნებთან მიმართებით და გავლენას ახდენდა აპლიკანტის რეპუტაციაზე.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ შესაბამისი ეროვნული კანონმდებლობის მიხედვით, მიუხედავად მომჩივნის მიერ მისთვის დაკისრებული სპეციფიკური ფუნქციისა, უსაფრთხოების სამსახურების ყოფილი

¹⁰ აღნიშნული საქმე იხილეთ გვ. 51.

თანამშრომლების, მათ შორის, მძღოლების შესახებ ინფორმაცია იყო გამოქვეყნებული. გარდა ამისა, ესტონეთის დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან სამ-ნახევარი წლის შემდეგ ლუსტრაციის შესახებ კანონი შევიდა ძალაში და უსაფრთხოების სამსახურების ყოფილი თანამშრომლების შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნება რამდენიმე წლის განმავლობაში მიმდინარეობდა. აპლიკანტის საქმეში, წინამდებარე ინფორმაცია გამოქვეყნდა მხოლოდ 2004 წელს, ესტონეთის მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან 13 წლის შემდეგ. შესაბამისად, არ არსებობდა იმ შესაძლო საფრთხის შესახებ შეფასება, რომელიც განცხადების გამოქვეყნების დროს აპლიკანტს ემუქრებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ ლუსტრაციის შესახებ კანონი არ ადგენდა რაიმე შეზღუდვებს აპლიკანტის დასაქმებასთან დაკავშირებით, განმცხადებლის არგუმენტების მიხედვით, იგი დაცინვის ობიექტი გახდა მისი კოლეგების მხრიდან და იძულებული იყო დაეტოვებინა სამუშაო. ევროსასამართლომ მიიჩნია, რომ მაშინაც კი, თუ ასეთი შედეგი არ იყო გათვალისწინებული წინამდებარე აქტით, აღნიშნული ფაქტი მაინც ადასტურებს, რამდენად სერიოზული ჩარევა მოხდა განმცხადებლის პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლებაში.

პირის საკუთარი გამოსახულების დაცვის უფლება

Lillo-Stenberg and Saether v. Norway

(განაცხადი N13258/09; 16/01/2014)

აპლიკანტები, ნორვეგიაში ცნობილი მუსიკოსი და მსახიობი, ჩიოდნენ 2005 წლის აგვისტოში, მათ ქორწილში პრესის მიერ პირად ცხოვრებაში ჩარევას. ქორწილი გაიმართა ღია ცის ქვეშ, ოსლოსთან მდებარე პატარა კუნძულზე, რომელიც საჯარო ადგილი იყო. ყოველკვირეულმა ჟურნალმა, „Se og Hør-მა“, წყვილის თანხმობის გარეშე გამოაქვეყნა ორგვერდიანი სტატია მომწივნების ქორწილის თაობაზე, რომელსაც თან ახლდა ექვსი სურათი. სურათებზე გამოსახული იყო, თუ როგორ მივიდა პატარძალი პატარა ნავით კუნძულზე მამასა და მეჯვარეებთან ერთად; როგორ მიაცილა მამამ პატარძალი სიძესთან და როგორ დაბრუნდნენ ახალშეუღლებულები ქალაქში, წყალში არსებულ ქვებზე გავლით. წყვილმა ჟურნალის წინააღმდეგ საქმის წარმოება დაიწყო და ორივე ინსტანციაში მოიგო დავა. თუმცა, 2008 წლის სექტემბერში უზენაესმა სასამართლომ გადაწყვეტილება მათ საწინააღმდეგოდ მიიღო. სასამართლომ მიიჩნია, რომ ისინი საჯარო ადგილას დაქორწინდნენ, ამასთანავე, სტატია არც უარყოფითი იყო და არც შეურაცხყოფელი. აპლიკანტები დავობდნენ, რომ უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება არღვევდა მათი პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლებას.

ევროსასამართლომ კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა (პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლება) არ დაადგინა. მხედველობაში მიიღო რა შეპირისპირებულ

ინტერესებს შორის ბალანსის დაცვისას ეროვნული სასამართლოებისთვის მიკუთვნებული შეფასების ზღვარი, სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ უზენაესმა სასამართლომ შეასრულა კონვენციის მე-8 მუხლის თანახმად დაკისრებული ვალდებულებები.

Couderc and Hachette Filipacchi Associes v. France

დიდი პალატის გადაწყვეტილება

(განაცხადი N40454/07; 10/11/2015)

წინამდებარე საქმე ეხებოდა აპლიკანტების მსჯავრდებას 2005 წლის მაისში, ათგვერდიანი სტატიის გამოქვეყნებისათვის, რომელიც ჟურნალის გარეკანის მეშვეობით დაანონსდა, სათაურით „მონაკოს ალბერტი: საიდუმლო ბავშვი“ და რომელიც რამდენიმე სურათს შეიცავდა. მომჩივნებს წარმოადგენდნენ ყოველკვირეული ჟურნალის, „Paris Match-ის“ რედაქტორი და გამომცემელი. ისინი დავობდნენ, რომ მათ წინააღმდეგ გამოტანილი გადაწყვეტილება წარმოადგენდა ინფორმაციის თავისუფლების უფლებაში გაუმართლებელ ჩარევას.

ევროსასამართლომ კონვენციის მე-10 მუხლის (გამოხატვის თავისუფლება) დარღვევა დაადგინა, მიიჩნია რა, რომ პრინცი ალბერტის პირადი ცხოვრების დაცვასთან დაკავშირებით საფრანგეთის მთავრობის მიერ დასახელებული არგუმენტები ვერ მიიჩნეოდა სადავო გადაწყვეტილებაში ჩარევის გამართლებად; ამასთანავე, სტრასბურგის სასამართლომ დაასკვნა, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა მხედველობაში არ მიიღეს პირადი ცხოვრების პატივისცემისა და გამოხატვის თავისუფლების დაბალანსების კრიტერიუმები და პრინციპები. ევროსასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო ინფორმაციის არსის გათვალისწინებით, მომჩივნებმა წვლილი შეიტანეს საზოგადოებრივი ინტერესის საგნის გასაჯაროებაში. ევროსასამართლომ აღნიშნა, რომ გამოცემა, მართალია, ეხებოდა პრინცი ალბერტის პირად ცხოვრებას, თუმცა სტატიაში მოცემული ინფორმაციის ძირითადი ნაწილი, რომელიც ბავშვის არსებობას ეხებოდა - პრინცის, როგორც ქვეყნის პირველი პირის ფუნქციების მემკვიდრეობითი ხასიათის გათვალისწინებით, სცილდებოდა კერძო სფეროს ფარგლებს.

Bremner v. Turkey

(განაცხადი N37428/06; 13/11/2015)

აღნიშნული საქმე ეხებოდა სატელევიზიო დოკუმენტური გადაცემის მაუწყებლობას, სადაც ნახევნები იყო მომჩივანი, რომელიც მხარს უჭერდა ევანგელურ-ქრისტიანულ სარწმუნოებას. გადაცემაში იგი მოხსენიებული იყო „რელიგიის ვაჭრად“, რომელიც თურქეთში ჩართული იყო ფარულ საქმიანობაში. აპლიკანტი ამტკიცებდა, რომ

დოკუმენტურმა გადაცემამ და მის მიერ მოთხოვნილი კომპენსაციის მიკუთვნებაზე ეროვნული ხელისუფლების უარმა დაარღვია მისი პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლება.

ევროსასამართლომ კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა (პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლება) დაადგინა, მიიჩნია რა, რომ თურქეთის ხელისუფლებამ სამართლიანი ბალანსი არ დაიცვა შეპირისპირებულ ინტერესებს შორის; სტრასბურგის სასამართლომ მიიჩნია, რომ ის მეთოდი, რომლის მიხედვითაც ეროვნულმა ხელისუფლებამ განიხილა წინამდებარე საქმე, აპლიკანტისთვის არ უზრუნველყოფდა მისი გამოსახულების უფლების, შესაბამისად, პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლების ადეკვატურ და ეფექტურ დაცვას. რაც შეეხება საჯარო ინტერესს, ევროსასამართლომ მიიჩნია, რომ არ არსებობდა რაიმე საზოგადოებრივი ინტერესი, რომელიც გაამართლებდა დაბინდვის გარეშე მომჩივნის სურათის ეთერში გაშვებას. იმის გათვალისწინებით, რომ მომჩივანი არ იყო ცნობილი პიროვნება, არ დასტურდებოდა ის ფაქტი, რომ მისი სურათის გაშუქება საინტერესო ან აქტუალური იყო. დამატებით, ევროსასამართლომ აღნიშნა, რომ ეროვნულ სასამართლოებს არ მიუჩნევიათ, რომ აპლიკანტის სურათის გაშუქება დაბინდვის გარეშე, საჯარო ინტერესის მქონე დებატებში რაიმე მნიშვნელობისა იყო.

დისკრიმინაციის აკრძალვა

გენდერული თანასწორობა

M.G. v. Turkey

(განაცხადი N 646/10; 22/03/2016)¹¹

მოცემული საქმე ეხებოდა განმცხადებლის მიმართ ქორწინებაში ყოფნის დროს განცდილ ოჯახში ძალადობას, განქორწინების შემდეგ განხორციელებულ მუქარის შემთხვევებს და მასთან დაკავშირებულ შემდგომ პროცესებს. კერძოდ, აპლიკანტი აკრიტიკებდა ეროვნული ხელისუფლების ორგანოებს, რომლებმაც ვერ შეძლეს ძალადობის აღკვეთა. მომჩივანი ასევე დავობდა, ქალთა წინააღმდეგ მუდმივი და სისტემატური დისკრიმინაციის საფუძველზე განხორციელებული ძალადობის ფაქტების შესახებ თურქეთში.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი (არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვა). კერძოდ,

¹¹ წინამდებარე გადაწყვეტილება საბოლოო გახდება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის 44-ე მუხლის მე-2 პარაგრაფით (საბოლოო გადაწყვეტილებები) განსაზღვრული გარემოებების მიხედვით.

ევროსასამართლომ დაადგინა, რომ თურქეთის ხელისუფლების მიერ ჩატარებული სისხლისსამართლებრივი წარმოება ვერ აკმაყოფილებდა კონვენციის მე-3 მუხლით დადგენილ მოთხოვნებს. სტრასბურგის სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-14 მუხლი (დისკრიმინაციის აკრძალვა) მე-3 მუხლთან ერთობლიობაში. კერძოდ, ევროსასამართლომ აღნიშნა, რომ განქორწინების შემდეგ (24/09/2007) და ახალი კანონის ძალაში შესვლამდე (N6284; 20/03/2012) მოქმედი საკანონმდებლო ჩარჩო, განქორწინებულ აპლიკანტს არ აძლევდა საკმარის გარანტიას, რომ იგი ისარგებლებდა დაცვის ღონისძიებებით. სტრასბურგის სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ ეროვნული სასამართლოებისთვის მიმართვის შემდეგ, აპლიკანტი მრავალი წლის განმავლობაში იძულებული იყო ეცხოვრა შიშით, ყოფილი მეუღლისგან მომდინარე საფრთხის გამო.

di Trizio v. Switzerland

(განაცხადი N 7186/09; 02/02/2016)¹²

განმცხადებელი თავდაპირველად მუშაობდა სრულ განაკვეთზე, მაგრამ შემდეგ იძულებული გახდა მიეტოვებინა სამსახური ზურგის პრობლემების გამო, 2002 წლის ივნისში. მას დაენიშნა შემწეობა 50%-ით შეზღუდული შესაძლებლობის გამო, 2002 წლის ივნისიდან აპლიკანტის ტყუპების დაბადებამდე პერიოდში. შემწეობა მოგვიანებით შეწყდა მომჩივნისადმი „კომბინირებული მეთოდის“ გამოყენების მიზეზით, რაც გულისხმობდა, რომ მაშინაც კი, თუ აპლიკანტი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე არ იყო, იგი არ იმუშავებდა სრულ განაკვეთზე შვილების დაბადების შემდეგ. აპლიკანტი დავობდა, რომ იგი დაექვემდებარა გენდერული ნიშნით დისკრიმინაციას.

ევროსასამართლო არ იყო დარწმუნებული, რომ აპლიკანტის განსხვავებულ მოპყრობას ჰქონდა რაიმე გონივრული გამართლება და დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-14 მუხლი (დისკრიმინაციის აკრძალვა) მე-8 მუხლთან ერთობლიობაში (პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება). სტრასბურგის სასამართლომ გაიზიარა შვეიცარიის მთავრობის არგუმენტი, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის დანიშნული შემწეობის მიზანი იყო მათი დაცვა შესაძლო რისკებისგან: კერძოდ, როცა მათ აღარ შეეძლებოდათ დასაქმება ან ისეთი ყოველდღიური რუტინული დავალებების შესრულება, რომელსაც ნორმალური ჯანმრთელობის მქონე ადამიანი ახორციელებდა. თუმცა, ევროსასამართლომ მიიჩნია, რომ დასახული მიზანი უნდა შეფასებულიყო გენდერული თანასწორობის ჭრილში. აპლიკანტის საქმის გარემოებების მიხედვით, სტრასბურგის სასამართლომ დაასკვნა, რომ იგი სავარაუდოდ მიიღებდა შესაძლებლობის მქონე პირთა სანახევრო შემწეობას, თუ იმუშავებდა მთლიან განაკვეთზე ან სრულად მიუძღვნიდა თავის დროს საოჯახო საქმეებს. რადგან განმცხადებელი მთლიან განაკვეთზე მუშაობდა, მან მიიღო და ისარგებლა შემწეობით, შვილების გაჩენამდე. შესაბამისად, ცხადი იყო, რომ გადაწყვეტილება მისთვის

¹² წინამდებარე გადაწყვეტილება საბოლოო გახდება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის 44-ე მუხლის მე-2 პარაგრაფით (საბოლოო გადაწყვეტილებები) განსაზღვრული გარემოებების მიხედვით.

შემწეობის გაცემაზე უარი თქმის შესახებ ევუძნებოდა აპლიკანტის მოთხოვნას - შეემცირებინა მისი სამუშაო საათები, რათა მოეწყო შვილებისა და ოჯახისთვის. პრაქტიკაში, ქალთა დიდ უმრავლესობას სურდა ნახევარ განაკვეთზე მუშაობა შვილების გაჩენის შემდეგ. საქმეთა 98%-ში აღნიშნული „კომბინირებული მეთოდი“ ქალების მიმართ იქნა გამოყენებული, რომელიც დისკრიმინაციაზე მიუთითებდა.

ბოშები და მოგზაურები

Angelova and Iliev v. Bulgaria

(განაცხადი N55523/00; 26/07/2007)

განმცხადებლები, დედა და ვაჟი დაგობდნენ მისი ვაჟისა და ძმის მიმართ, შვიდი მოზარდის მიერ რასობრივად მოტივირებული მკვლელობის განხორციელების და ბულგარეთის ხელისუფლების მხრიდან გამოძიების ჩატარებისა და დამნაშავეთა დასჯის ვალდებულების შეუსრულებლობის თაობაზე.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-2 მუხლის პროცედურული ასპექტი (სიცოცხლის უფლება) იმ ფაქტზე დაყრდნობით, რომ ბულგარეთის ხელისუფლებამ ვერ განახორციელა კონვენციის მე-2 მუხლიდან გამომდინარე მისი ვალდებულება ეფექტურად, დაუყოვნებლივ, სწრაფად და საჭირო ძალისხმევით გამოეძიებინა აპლიკანტების ნათესავების სიკვდილი. გასათვალისწინებელი იყო ის ფაქტიც, რომ თავდასხმა რასობრივი მოტივებით განხორციელდა და უმცირესობათა ჯგუფებს ხელისუფლების მიმართ ნდობა უნდა შეენარჩუნებინათ რასობრივი ძალადობის საფრთხისგან მათი დაცვის მიზნით. შემდგომ, სტრასბურგის სასამართლომ აღნიშნა ბოშა ხალხის მიმართ გავრცელებული მტრული და ძალადობრივი დამოკიდებულება მოცემულ პერიოდში და უმცირესობათა ნდობის შენარჩუნების საჭიროება ხელისუფლების ორგანოების შესაძლებლობების მიმართ, რათა დაეცვათ ისინი რასობრივი ძალადობის საფრთხისგან. სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ შესაბამისმა ორგანოებმა ვერ უზრუნველყვეს აუცილებელი განსხვავება სხვა, არარასობრივი ნიშნით მოტივირებული დანაშაულებისგან, რომელიც წარმოადგენდა უსამართლო მოპყრობას, კონვენციის მე-14 მუხლიდან (დისკრიმინაციის აკრძალვა) გამომდინარე. შესაბამისად, ევროსასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-14 მუხლი მე-2 მუხლთან ერთობლიობაში.

Buckley v. The United Kingdom

(განაცხადი N20348/92; 25/09/1996)

აპლიკანტი დავობდა, რომ მას შეეძლო, რაც მის ტერიტორიაზე აუკრძალეს ოჯახთან ერთად ქარავნებში ცხოვრება და მომთაბარე ცხოვრების დაწყება, დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლი, პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემისა და საცხოვრისის უფლებიდან გამომდინარე.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ არ დარღვეულა კონვენციის მე-8 მუხლი (პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის და საცხოვრისის უფლება) და მე-14 მუხლი (დისკრიმინაციის აკრძალვა) მე-8 მუხლთან ერთობლიობაში. დაკმაყოფილდა ის პირობა, რომ ხელისუფლების ორგანოებმა ერთმანეთს შეუპირისპირეს სამართლებრივი სიკეთეები და შესაბამისი და საკმარისი მნიშვნელობა მიანიჭეს მათ გადაწყვეტილებებს. კერძოდ, ზომები მიღებულ იქნა გზის უსაფრთხოების დაგეგმვის კონტროლის აღსრულების, გარემოს შენარჩუნებისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის მიზნებიდან გამომდინარე.

Winterstein and Others v. France

(განაცხადი N27013/07; 17/10/2013)

აღნიშნული საქმე ეხებოდა გასახლების პროცედურებს, რომელიც რამდენიმე „მომთაბარე ოჯახის“ წინააღმდეგ იყო მიმართული. ეს ოჯახები მრავალი წლის განმავლობაში ერთსა და იმავე ადგილზე ცხოვრობდნენ. ეროვნულმა სასამართლოებმა, დაუმორჩილებლობის გამო, გამოსცეს ბრძანება მომთაბარე ოჯახების გასახლების თაობაზე. მიუხედავად იმისა, რომ ბრძანებები არ აღსრულებულა, ბევრი ოჯახი საცხოვრებლად სხვაგან გადავიდა. მხოლოდ ოთხი ოჯახი იყო უზრუნველყოფილი ალტერნატიული საცხოვრებლით. ე.წ. ოჯახთა ადგილსამყოფელი, სადაც დანარჩენი ოჯახები უნდა განთავსებულიყვნენ, არ შექმნილა. მომჩივნები დავობდნენ, რომ ბრძანება, რომლის მიხედვითაც მათ იმ მიწის გათავისუფლება მოსთხოვეს, სადაც ისინი წლების განმავლობაში ცხოვრობდნენ, წარმოადგენდა მათი პირადი, ოჯახური და საცხოვრისის უფლების დარღვევას.

ევროსასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლი (პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება). სტრასბურგის სასამართლომ აღნიშნა, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა, მიუხედავად იმისა, რომ აღიარეს უკიდურესი აუცილებლობისა და აშკარად უკანონო ქმედებების არარსებობა,

მხედველობაში არ მიიღეს მომჩივანთა დასახლების ხანგრძლივი პერიოდი, მუნიციპალური ხელისუფლების მიერ გარემოებებისადმი ტოლერანტული დამოკიდებულება, საცხოვრებლის ქონის უფლება, კონვენციის მე-3 და მე-8 მუხლები და სტრასბურგის სასამართლოს პრეცედენტული სამართალი. ამასთან დაკავშირებით სტრასბურგის სასამართლომ ყურადღება გაამახვილა საერთაშორისო მექანიზმებსა და ევროპის საბჭოს მრავალ ინსტრუმენტზე, რომლებიც ბოშებისა და მომთაბარე ოჯახების გასახლების შემთხვევაში ხაზგასმით აღნიშნავენ მათთვის ალტერნატიული საცხოვრებლის უზრუნველყოფის აუცილებლობას. ეროვნულ ხელისუფლებას უნდა გაეთვალისწინებინა ის ფაქტი, რომ ასეთი მომჩივნები უმცირესობათა მოწყვლად ჯგუფს განეკუთვნებოდნენ. ეს გულისხმობდა მათი საჭიროებებისა და ცხოვრების განსხვავებული წესის მხედველობაში მიღებას, როდესაც საქმე ეხებოდა მიწის უკანონო სარგებლობის შესახებ გამოსავლის მოძებნას ან შესაძლო ალტერნატიული საცხოვრებელი ფართის მიკუთვნების საკითხის გადაწყვეტას.

Koky and Others v. Romania

(განაცხადი N13624/03; 12/06/2012)

წინამდებარე საქმეზე მომჩივანი, ბოშური წარმოშობის მქონე სლოვაკეთის ათი მოქალაქე იყო. 2002 წლის თებერვალში მათ დასახლებას თავს დაესხა ბეისბოლისა და რკინის ჯოხით შეიარაღებული რამდენიმე მამაკაცი, რომლებიც რასისტულ ენას იყენებდნენ. თავდასხმა მოჰყვა ბარში მომხდარ ინციდენტს, როდესაც არაბოშური წარმოშობის მიმტანმა ბოშასთვის მომსახურების მიწოდებაზე, კერძოდ, სასმლის მიტანაზე უარი განაცხადა. მომჩივნები დავობდნენ, რომ ისინი დაექვემდებარნენ არასათანადო მოპყრობას; აგრეთვე, აცხადებდნენ, რომ რუმინეთის ხელისუფლებამ თავდასხმასთან დაკავშირებით დროული, მიუკერძოებელი და ეფექტური გამოძიების განხორციელება ვერ უზრუნველყო.

ევროსასამართლოს მოსაზრებით, მომჩივანთა დასახლებაზე თავდასხმასთან დაკავშირებით წარმოებული გამოძიება არაეფექტური იყო. აღნიშნული ფაქტი ეწინააღმდეგებოდა კონვენციის მე-3 მუხლს (დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობის აკრძალვა). სტრასბურგის სასამართლომ მიიჩნია, რომ რუმინეთის ხელისუფლებამ არ გაატარა ყველა სათანადო ღონისძიება, რათა გამოეძიებინა ინციდენტი, განსაკუთრებით რასობრივი მოტივის გათვალისწინებით.

Guerdner and Others v. France

(განაცხადი N68780/10; 17/04/2014)

წინამდებარე საქმე ეხებოდა მომჩივნის ოჯახის წევრის გარდაცვალებას, რომელიც პოლიციაში იქნა გადაყვანილი, სადაც იგი უანდარმმა მოკლა, გაქცევის მცდელობის აღკვეთისას.

ევროსასამართლომ დაადგინა, რომ ძალის გამოყენებასთან დაკავშირებით არსებული შიდასახელმწიფოებრივი სამართლებრივი ჩარჩოს საფუძველზე, კონვენციის მე-2 მუხლი (სიცოცხლის უფლება) არ დარღვეულა. თუმცა სტრასბურგის სასამართლომ მიიჩნია, რომ ლეტალური ძალის გამოყენების გამო დაირღვა კონვენციის მე-2 მუხლი. გარდა ამისა, ევროსასამართლომ დაადგინა, რომ ხელისუფლების მიერ გარდაცვალების გამოძიებასთან მიმართებით, კონვენციის მე-2 მუხლი არ დარღვეულა.

Center of Legal Resources on behalf of Valentin Campeanu v. Romania

დიდი პალატის გადაწყვეტილება

(განაცხადი N47848/08; 17/04/2014)

აღნიშნული საქმე ეხებოდა ფსიქიატრიულ საავადმყოფოში ბოშური წარმოშობის მქონე ახალგაზრდა მამაკაცის გარდაცვალებას. იგი შიდსის ვირუსით იყო ინფიცირებული და მძიმე ფსიქიკური დაავადებით იტანჯებოდა. ევროსასამართლოში მისი სახელით საჩივარი წარდგენილ იქნა არასამთავრობო ორგანიზაციის (NGO) მიერ.

სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ საქმის განსაკუთრებული გარემოებებისა და ბრალდების სერიოზული ხასიათის გათვალისწინებით, არასამთავრობო ორგანიზაციას შეეძლო ყოფილიყო ახალგაზრდა მამაკაცის წარმომადგენელი, მიუხედავად იმისა, რომ თავად ორგანიზაცია არ წარმოადგენდა კონვენციის სავარაუდო დარღვევის მსხვერპლს. მოცემულ საქმეში სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-2 მუხლის (სიცოცხლის უფლება) როგორც მატერიალურ-სამართლებრივი, ასევე პროცედურული ასპექტი. კერძოდ, ევროსასამართლომ დაადგინა, რომ ვალენტინ ჩამპეანუ მოათავსეს სამედიცინო დაწესებულებაში, რომელიც არ იყო აღჭურვილი პაციენტის ადეკვატური მკურნალობის უზრუნველსაყოფად; იგი საავადმყოფოს ერთი ერთეულიდან მეორე ერთეულში სათანადო დიაგნოზის გარეშე გადაჰყავდათ; ხელისუფლებამ ვერ უზრუნველყო ანტირეტროვირუსული

მედიკამენტების მეშვეობით მისთვის შესაბამისი მკურნალობის მიწოდება. სახელმწიფოსთვის ცნობილი იყო ფსიქიატრიულ საავადმყოფოში არსებული მძიმე სიტუაციის თაობაზე, კერძოდ, რომ აღინიშნებოდა კადრების, გათბობისა და საკვების ნაკლებობა. თუმცა, მან ვალენტინ ჩამპეანუს სიცოცხლე საფრთხეში ჩააგდო. გარდა ამისა, მისი გარდაცვალების გარემოებებთან დაკავშირებით ეფექტური გამოძიება არ ჩატარებულა. აგრეთვე, ევროსასამართლომ დაადგინა მე-13 მუხლის (სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალების უფლება) დარღვევა მე-2 მუხლთან ერთობლიობაში, მიიჩნია რა, რომ რუმინეთის სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო კომპენსაციის სათანადო მექანიზმის მიწოდება ფსიქიკური დაავადებების მქონე პირთათვის, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ წარმოადგენდნენ მსხვერპლს, კონვენციის მე-2 მუხლის მიხედვით.

Fedorchenko and Lozenko v. Ukraine

(განაცხადი N387/03; 20/09/2012)

მომჩინები დავობდნენ, რომ მათი ხუთი ნათესავი გარდაიცვალა სახლში გაჩენილი ხანძრის შედეგად და სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებმა გარდაცვალებასთან მიმართებით ვერ უზრუნველყვეს საფუძვლიანი და ეფექტური გამოძიების წარმოება. ასევე, მომჩინები დავობდნენ, რომ ხანძრის გაჩენაში მონაწილეობას იღებდა პოლიციის მაიორი. ისინი შემდგომში ამტკიცებდნენ, რომ დანაშაულის საფუძველი იყო რასისტული მოტივები, გარდაცვლილი პირების ბოშური წარმომავლობის გამო.

ევროსასამართლომ დაადგინა, რომ მომჩინების ნათესავების გარდაცვალებასთან დაკავშირებული გამოძიება არ იყო ეფექტიანი, შესაბამისად, დაირღვა კონვენციის მე-2 მუხლის პროცედურული ასპექტი. ამასთან, საკმარისი მტკიცებულების არარსებობის ფონზე, სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ კონვენციის მე-2 მუხლის მატერიალურ-სამართლებრივი ასპექტი არ დარღვეულა. საბოლოოდ, მიუთითა რა, რომ არ არსებობდა რაიმე მტკიცებულება, რაც ხელისუფლების მიერ დანაშაულის შესაძლო რასისტული მოტივების თაობაზე გამოძიების წარმოებაზე მიუთითებდა, ევროსასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-14 მუხლი (დისკრიმინაციის აკრძალვა) მე-2 მუხლის პროცედურულ ასპექტთან ერთობლიობაში.

დაკავება და დაპატიმრება

დაკავება და ფსიქიკური ჯანმრთელობა

Bamouhammad v. Belgium

(განაცხადი N47687/13; 17/11/2015)¹³

განმცხადებელი დაავადებული იყო რა განზერის სინდრომით (ან „ციხის ფსიქოზი“), დავობდა, რომ იგი საპატიმროში დაექვემდებარა არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობას, რომელმაც გავლენა იქონია მის ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე. ასევე ჩიოდა ეფექტიანი სამართლებრივი დაცვის საშუალებების არარსებობის შესახებ.

ევროსასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი (არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის აკრძალვა). კერძოდ, სტრასბურგის სასამართლომ დაასკვნა, რომ დამამცირებელი მოპყრობის დასაკვალიფიცირებლად აუცილებელი სიმძიმის ხარისხი აღწევდა კონვენციის მე-3 მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს აპლიკანტის საქმეში. ევროსასამართლომ აღნიშნა, რომ მომჩივნის ფსიქოლოგიური ზედამხედველობის აუცილებლობა ხაზგასმული იყო ყველა სამედიცინო დასკვნაში. თუმცა, აპლიკანტის დაუსრულებელმა გადაყვანამ სასჯელაღსრულების ერთი დაწესებულებიდან მეორეში, ხელი შეუშალა ასეთ ზედამხედველობას. ექსპერტების მოსაზრებით, განმცხადებლის სუსტი ფსიქიკური ჯანმრთელობა უარესდებოდა მთელი პატიმრობის პერიოდში. სტრასბურგის სასამართლომ დაასკვნა, რომ ციხის ადმინისტრაციამ სათანადოდ არ მიიჩნია აპლიკანტის მოწყვლადი მდგომარეობა და მასთან დაკავშირებული გარემოებები ჰუმანიტარული პერსპექტივიდან გამომდინარე. ასევე ევროსასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-13 მუხლი (სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალება) მე-3 მუხლთან ერთობლიობაში, დაასკვნა რა, რომ აპლიკანტს არ ჰქონდა საჩივრის წარდგენის ეფექტიანი დაცვის საშუალება კონვენციის მე-3 მუხლის ფარგლებში.

¹³ წინამდებარე გადაწყვეტილება საბოლოო გახდება კონვენციის 44-ე მუხლის მე-2 პარაგრაფში აღნიშნული გარემოებების შესაბამისად.

Association for the Defence of Human Rights in Romania – Helsinki Committee on behalf of Ionel Garcea v. Romania

(განაცხადი N2959/11; 24/03/2015)

წინამდებარე საქმე ეხებოდა სულით ავადმყოფი პატიმრის სათანადო სამედიცინო მკურნალობაზე ხელმისაწვდომობას სასჯელაღსრულების დაწესებულებაში. იგი რამდენჯერმე საოპერაციოდ გადაიყვანეს საავადმყოფოში მას შემდეგ, რაც შუბლზე ნემსი შეირჭო და ასევე სცადა თვითმკვლელობა. ამასთან, საქმე ეხებოდა არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ, პატიმრის გარდაცვალების შემდეგ, ეფექტური საჩივრის შეტანისას წარმოშობილ სირთულეებს.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ არაეფექტიანი გამოძიება და ხელისუფლების ორგანოების მიერ პატიმრის გარდაცვალების გარემოებების დადგენისთვის საჭირო დრო, წარმოადგენდა კონვენციის მე-2 მუხლის (სიცოცხლის უფლება) პროცედურული ნაწილის დარღვევას. კერძოდ, ევროსასამართლომ აღნიშნა, რომ სააპელაციო სასამართლოს დასკვნით გამოძიება არ იყო ყოვლისმომცველი, რადგან ძირითადი კითხვები პასუხგაუცემელი იყო პროკურორის მხრიდან. გარდა ამისა, პროკურატურამ ვერ უზრუნველყო აპლიკანტის მიერ შეტანილ საჩივარზე - საპატიმროში არასათანადო მოპყრობის შესახებ, რეაგირება. სტრასბურგის სასამართლომ დამატებით დაადგინა, რომ არ დარღვეულა კონვენციის მე-2 მუხლის მატერიალური ნაწილი, სამედიცინო მტკიცებულების არარსებობის გამო, რომელიც დაადასტურებდა სახელმწიფოს გონივრულ ეჭვს მიღმა პასუხისმგებლობას.

Isenc v. France

(განაცხადი N58828/13; 04/02/2016)¹⁴

წინამდებარე საქმე ეხებოდა აპლიკანტის ვაჟის თვითმკვლელობას მისი დაპატიმრებიდან 12 დღის შემდეგ. განმცხადებელი დავობდა მისი ვაჟის სიცოცხლის უფლების დარღვევას.

ევროსასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-2 მუხლი (სიცოცხლის უფლება). კერძოდ, მოცემულ საქმეში, მიუხედავად ეროვნული კანონმდებლობისა, თავისუფლებააღკვეთილ პირებზე ზედამხედველობისა და

¹⁴ წინამდებარე გადაწყვეტილება საბოლოო გახდება კონვენციის 44-ე მუხლის მე-2 პარაგრაფში აღნიშნული გარემოებების შესაბამისად.

სუიციდის ფაქტების პრევენციის თაობაზე საპატიმროსა და სამედიცინო სამსახურებს შორის თანამშრომლობის ღონისძიებები არ ხორციელდებოდა. სტრასბურგის სასამართლომ აღნიშნა, რომ საპატიმროში შესვლისას აპლიკანტის ვაჟის სამედიცინო შემოწმება წარმოადგენდა მინიმალურ პრევენციულ ზომას. მიუხედავად იმისა, რომ საფრანგეთის ხელისუფლებამ განაცხადა მომჩივნის ვაჟის სამედიცინო შემოწმების შესახებ, მან ვერ წარადგინა სათანადო დამადასტურებელი დოკუმენტი, შესაბამისად, ვერ დაამტკიცა განმცხადებლის ვაჟის ექიმის მიერ გასინჯვა. იმის გამო, რომ ვერ იქნა წარმოდგენილი შესაბამისი მტკიცებულება საპატიმროს სამედიცინო სამსახურთან შეხვედრის შესახებ, ევროსასამართლომ მიიჩნია, რომ ხელისუფლებამ ვერ შეასრულა თავისი პოზიტიური ვალდებულება - დაეცვა განმცხადებლის შვილის სიცოცხლის უფლება.

ექსტრადიცია და სამუდამო პატიმრობა

Trabelsi v. Belgium

(განაცხადი N140/10; 04/09/2014)

ეს საქმე შეეხებოდა ექსტრადიციას, რომელიც განხორციელდა სასამართლოს მიერ დროებითი ღონისძიების მითითების მიუხედავად, ევროსასამართლოს რეგლამენტის 39-ე წესის შესაბამისად. ეროვნებით ტუნისელი პირი დაექვემდებარა ექსტრადიციას ბელგიიდან ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც ტერორისტული დანაშაულების ბრალდებით მის წინააღმდეგ სისხლის სამართლებრივი დევნა მიმდინარეობდა და მას სამუდამო პატიმრობა მიესაჯა. განმცხადებელი ჩიოდა, რომ მისი ექსტრადიცია ამერიკის შეერთებულ შტატებში გამოიწვევდა კონვენციის მე-3 მუხლით აკრძალული მოპყრობის განხორციელების საფრთხეს. აპლიკანტი ამტკიცებდა, რომ ამ შემთხვევაში, ზოგიერთი დანაშაულის ჩადენისთვის მისი ექსტრადიცია ითვალისწინებდა სასჯელის სახით უვადო პატიმრობას, რომელიც დე-ფაქტო შეუმცირებელი ხასიათის იყო და თუ მას მსჯავრი დაედებოდა, შემდეგ გათავისუფლების პერსპექტივა აღარ ექნებოდა.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ სამუდამო პატიმრობა, რომელიც აპლიკანტს აშშ-ში ემუქრებოდა შეუმცირებელი იყო, ვინაიდან აშშ-ის კანონმდებლობით გათვალისწინებული არ იყო სათანადო მექანიზმები ამ ტიპის სასჯელის გადახედვისთვის. აღნიშნული ფაქტი იმას ნიშნავდა, რომ მისი ექსტრადიცია ამერიკის შეერთებულ შტატებში არღვევდა კონვენციის მე-3 მუხლს.

ევროსასამართლომ კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ სრულწლოვანი პირისთვის სამუდამო პატიმრობის მისჯა თავისთავად აკრძალული არ იყო კონვენციის ნებისმიერი დებულებით, იმის გათვალისწინებით, რომ იგი არ წარმოადგენდა არაპროპორციულ ზომას.

ამასთან, თუ ასეთი სასჯელი შესაბამისი უნდა ყოფილიყო კონვენციის მე-3 მუხლთან, მაშინ იგი არ უნდა მიხნეულიყო დე-იურე და დე-ფაქტო შეუქცევადად. იმისათვის, რომ წინამდებარე მოთხოვნა შეფასებულიყო, ევროსასამართლოს უნდა დაედგინა სამუდამო პატიმრობამისჯილ პირს ჰქონდა თუ არა გათავისუფლების შანსი და ეროვნული კანონმდებლობა იძლეოდა თუ არა სამუდამო პატიმრობის გადახედვის შესაძლებლობას, მისი შემსუბუქების, შეწყალების, შეწყვეტის ან პირობითი გათავისუფლების მიზნით. გარდა ამისა, მსჯავრდებული თავიდანვე ინფორმირებული უნდა ყოფილიყო სასჯელის გადახედვის შესაძლებლობის პირობების და ვადების შესახებ. ევროსასამართლომ კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ კონვენციის მე-3 მუხლი გულისხმობდა ხელშემკვრელ სახელმწიფოთა ვალდებულებას, არ გადაეცათ პირი იმ ქვეყნისთვის, სადაც არსებობდა რეალური საფრთხე მისი წამებისა. მოცემულ საქმეში, სტრასბურგის სასამართლომ მიიჩნია, რომ ტერორისტული დანაშაულების სიმძიმისა და იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ სასჯელი მხოლოდ მას შემდეგ იქნებოდა მისჯილი, როცა სასამართლო მხედველობაში მიიღებდა ყველა შესაბამის შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებას, დისკრეციული უვადო გათავისუფლების აღკვეთა არ იქნებოდა უხეშად არაპროპორციული ზომა. თუმცა, ევროსასამართლომ დაადგინა, რომ აშშ-ს ხელისუფლებას არც ერთ ეტაპზე არ წარმოუდგენია კონკრეტული გარანტია, რომ განმცხადებელი დაცული იქნებოდა შეუმცირებელი სამუდამო პატიმრობისგან.

სტრასბურგის სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ არსებული გარანტიების მიღმა, მიუხედავად იმისა, რომ აშშ-ის კანონმდებლობა უზრუნველყოფდა სამუდამო პატიმრობის შემცირების სხვადასხვა შესაძლებლობებს (მათ შორის, პრეზიდენტის შეწყალების სისტემა), რამაც განმცხადებელს გათავისუფლების გარკვეული პერსპექტივა მისცა, იგი არ მოიცავდა რაიმე პროცედურას, რომელიც იქნებოდა ამგვარი სასჯელების გადახედვის მექანიზმი კონვენციის მე-3 მუხლიდან გამომდინარე.

შიმშილობა საპატიმროებში

Karabet and Others v. Ukraine

(განაცხადი N38906/07, 52025/07; 17/01/2013)

2007 წლის იანვარში სასჯელმისჯილი აპლიკანტები სხვა პატიმრებთან ერთად შიმშილობდნენ, მათი დაკავების პირობების გაპროტესტების მიზნით. ერთი კვირის შემდეგ ციხის ადმინისტრაციამ ჩაატარა უსაფრთხოების ოპერაცია ოფიცრებისა და სპეციალური ძალების გამოყენებით. აღნიშნული ოპერაციის შემდეგ, პატიმრების ჯგუფი, მათ შორის, მომჩივნები, რომლებიც ხელისუფლებისთვის მიიხნეოდნენ შიმშილობის ორგანიზატორებად დაუყოვნებლივ გადაიყვანეს დაკავების სხვა დაწესებულებებში. აპლიკანტები ჩიოდნენ, რომ დაექვემდებარნენ არასათანადო მოპყრობას უსაფრთხოების ოპერაციამდე და მის შემდეგ და გამოძიება აღნიშნულ ბრალდებებზე არაეფექტური იყო. განმცხადებლებმა ასევე აღნიშნეს, რომ სხვადასხვა იზოლატორში მათი ნაჩქარევად გადაყვანის შემდეგ, ყველა პირადი ნივთი არ დაბრუნებიათ.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი (წამების აკრძალვა) მისი არსებითი ნაწილის გამო, იმის გათვალისწინებით, რომ აპლიკანტები არასათანადო მოპყრობას დაექვემდებარნენ. საყოველთაოდ აღიარებული იყო ის ფაქტი, რომ პატიმართა პროტესტი შემოიფარგლებოდა ციხის საკვებზე მშვიდობიანი უარის თქმით, ყოველგვარი ძალადობრივი ინციდენტის გარეშე. მათ დამატებით სურვილი გამოხატეს სასჯელადსრულების დეპარტამენტის ოფიციალურ პირებთან თანამშრომლობისა. მიუხედავად იმისა, რომ ევროსასამართლოსთვის შეუძლებელი იყო თითოეული განმცხადებლის სხეულის დაზიანებების სიმძიმისა და განცდილი შოკის, გაჭირვებისა და დამცირების ხარისხის დადგენა, ეჭვს არ იწვევდა ის ფაქტი, რომ ხელისუფლების მოულოდნელი და სასტიკი ქმედება იყო უხეშად არაპროპორციული და არაადეკვატური. კერძოდ, მიღებული იმ მიზნით, რომ ჩაესმო საპროტესტო მოძრაობა, დაესაჯა პატიმრები მშვიდობიანი შიმშილობის გამო და ჩანასახშივე მოესპო რაიმე განზრახვა მათი შემდგომი საჩივრების თაობაზე. აღნიშნულ ქმედებებს უნდა გამოეწვია მძიმე ტკივილი და ტანჯვა განმცხადებლების მიმართ და მიუხედავად იმისა, თუ ცხადად არ დადგებოდა ჯანმრთელობის დაზიანება, შეიძლებოდა შეფასებულიყო, როგორც წამება. ევროსასამართლომ ასევე დასძინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი პროცედურულ ნაწილში, რადგან აპლიკანტების ბრალდებებზე - არასათანადო მოპყრობის შესახებ - გამოძიება არ იყო ყოვლისმომცველი ან დამოუკიდებელი, არ დაკმაყოფილდა სისწრაფისა და საჯაროობის მოთხოვნები.

საბოლოოდ, სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის (საკუთრების დაცვა) დარღვევა, ციხის ადმინისტრაციის მიერ განმცხადებლებისთვის პირადი ნივთების დაბრუნებასთან მიმართებით.

Leyla Alp and Others v. Turkey

(განაცხადი N29675/02; 10/12/2013)

აპლიკანტები, რომელთაგან ყველა ქალია, მოთავსებულნი იყვნენ ჩანაქაღეს საპატიმროში, 2000 წლის ოქტომბერში. ამ დროს შიმშილობა დაიწყო თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში „F-ტიპის“ საპატიმროების საწინააღმდეგოდ, რომელიც პატიმრებისთვის მცირე საცხოვრებელ ერთეულებს წარმოადგენდა. 2000 წლის 19 დეკემბერს უსაფრთხოების ძალები შეიჭრნენ დაახლოებით 20-მდე ციხეში. ოპერაციის დროს მოხდა ძალადობრივი შეტაკებები, რომელიც ცნობილია სახელწოდებით - „უკან ცხოვრებაში“. უანდარმი და ოთხი პატიმარი გარდაიცვალა ჩანაქაღეს საპატიმროში. განმცხადებლები განსაკუთრებით ჩიოდნენ იმას, რომ ოპერაციის დროს დაშავდნენ, ძალის გამოყენება იყო გადაჭარბებული და არაპროპორციული. მათ ასევე აღნიშნეს, რომ ეროვნული ორგანოების მიერ ჩატარებული გამოძიება და სამართალწარმოება არაეფექტური აღმოჩნდა.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა რა, რომ ძალის გამოყენება არ იყო არაპროპორციული დასახულ მიზანთან მიმართებით. სტრასბურგის სასამართლომ დაასკვნა, რომ აჯანყების ჩახშობა ან/და ნებისმიერი პირის დაცვა ძალადობისგან არ ყოფილა კონვენციის არსებითი დარღვევა იმ განმცხადებლების მიმართ, რომლებიც დაშავდნენ ოპერაციის დროს. გარდა ამისა, ევროსასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-2 მუხლის (სიცოცხლის უფლება) პროცედურული ასპექტი ერთ-ერთი განმცხადებლის მიმართ და კონვენციის მე-3 მუხლის პროცედურული ნაწილი (არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვა) ხუთი სხვა განმცხადებლის მიმართ; ევროსასამართლომ დაადგინა რა, რომ ეროვნული ორგანოების მიერ განხორციელებულმა გამოძიებამ და სამართალწარმოებამ ვერ დააკმაყოფილა სისწრაფისა და დროულობის მოთხოვნები, რომელიც გამომდინარეობდა საკითხის პოზიტიური ვალდებულებების კონტექსტიდან.

მიგრანტები თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში

A.F. v. Greece

(განაცხადი N53709/11; 13/06/2013)

ეროვნებით ირანელი აპლიკანტი, საბერძნეთის ტერიტორიაზე შესვლისას დააკავეს პოლიციის თანამშრომლებმა ფერესის სასახდვრო სადგომზე. ხელისუფლების წარმომადგენლებმა უარი განაცხადეს მისი პოლიტიკური თავშესაფრის თხოვნით დარეგისტრირებაზე. განმცხადებელი იმყოფებოდა ფერესის სასახდვრო პოლიციის შენობაში 2010 წლის ოქტომბრიდან 2011 წლის იანვრამდე. აპლიკანტი ჩიოდა მისი დაკავების პირობებზე.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი (არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვა) იმ შეზღუდული პირობების გამო, რომელშიც აპლიკანტი იმყოფებოდა. ევროსასამართლომ ასევე დაიმოწმა საერთაშორისო ორგანიზაციების ანგარიშები, სადაც აღნიშნული იყო ფერესის სასახდვრო სადგომზე არსებული დაკავების პირობები, რაც არასაკმარის სივრცეს უკავშირდებოდა. წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური, ან ღირსების შემლახველი მოპყრობის, ან დასჯის გაეროს სპეციალური მომხსენებლის თანახმად, 2010 წლის ოქტომბრისთვის, როცა იგი ვიზიტით იმყოფებოდა აღნიშნულ ქვეყანაში, 123 პატიმარი იყო განთავსებული 28 პირისთვის განკუთვნილი სივრცისთვის მაშინ, როცა „ProAsyl-ის“ (ლტოლვილთა უფლებების დამცავი ორგანიზაცია) მიხედვით, 2010 წლის დეკემბერში, 110 პატიმარი იყო ერთ საერთო საცხოვრებელში. წამებისა და არაადამიანური, ან დამამცირებელი მოპყრობის, ან დასჯის პრევენციის ევროპულმა კომიტეტმა (CPT) ასევე აღნიშნა, რომ 2011 წლის იანვარში, თითოეულ დაკავებულს დაახლოებით 1 კვ.მ. ან ნაკლები მოცულობის ადგილი ჰქონდა ზოგიერთ საცხოვრებელში.

Horshill v. Greece

(განაცხადი N70427/11; 01/08/2013)

განმცხადებელი, რომელიც უცხო ქვეყნის მოქალაქე იყო, ელოდებოდა რა დეპორტაციას, 15 დღის განმავლობაში იმყოფებოდა პოლიციის ორ განყოფილებაში მას შემდეგ, რაც თავშესაფარი ითხოვა. იგი დავობდა, პოლიციის აღნიშნულ შენობებში მისი დაკავების განმავლობაში არსებულ პირობებზე.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ განმცხადებელი დაექვემდებარა დამამცირებელ მოპყრობას, რომელმაც დაარღვია კონვენციის მე-3 მუხლი (არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვა). აპლიკანტი 15 დღის განმავლობაში დაკავებული იყო პოლიციის ორ განყოფილებაში. დაკავების პერიოდში, ოთხი დღის მანძილზე, განმცხადებელი გადატვირთულ საკანში იმყოფებოდა. პოლიციის ერთ-ერთ განყოფილებაში, საკნები სარდაფში მდებარეობდა, შესაბამისად, მოკლებული იყო მზის სინათლეს. პოლიციის ორივე განყოფილებაში საკნებს არ ჰქონდათ თავიანთი საშხაპეები, დაკავებულებს არ შეეძლოთ ფეხით გარეთ სეირნობა და ფიზიკურ აქტივობაში მონაწილეობის მიღება. ევროსასამართლომ კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ პოლიციის განყოფილება არ წარმოადგენდა შესაბამის შენობას დაკავებული პირებისთვის, რომლებიც ელოდნენ ადმინისტრაციული ღონისძიების გამოყენებას.

Asalya v. Turkey

(განაცხადი N43875/09; 15/04/2014)

პალესტინელი აპლიკანტი, რომელსაც პარალიზებული ჰქონდა ქვედა კიდურები და ეტლს იყო მიჯაჭვული, დავობდა კუმკაპის უცხოელების მიღებისა და განსახლების ცენტრში (თურქეთი) არსებული დაკავების პირობების შესახებ. განმცხადებელი ელოდებოდა რა დეპორტაციას, ჩიოდა ძირითადად იმიტომ, რომ არ იყო ადეკვატური საშუალებები - ლიფტები და შესაბამისი აღჭურვილობის საპირფარეშოები - მის მსგავსად ეტლს მიჯაჭვული პაციენტებისთვის.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი (არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვა), მომჩივნის დაკავების პირობების გამო კუმკაპის უცხოელების მიღებისა და განსახლების ცენტრში. კერძოდ, ევროსასამართლომ აღნიშნა, რომ საქმეში არ არსებობდა მტკიცებულება რაიმე პოზიტიური განზრახვის შესახებ განმცხადებლის დამცირების თაობაზე. სტრასბურგის სასამართლომ მიიჩნია, რომ აპლიკანტის დაკავება ისეთ პირობებში, როცა მას არ ჰქონდა მინიმალური საჭიროებები ნორმალური ცხოვრებისა - საწოლზე ძილი და უცხო პირების დახმარების გარეშე შესაბამისი სიხშირით სველი წერტილებით სარგებლობა - არ შეესაბამებოდა განმცხადებლის ადამიანურ ღირსებას. აღნიშნული ფაქტი ამდაფრებდა იმ ფსიქიკურ ტანჯვას, რომელიც გამოწვეული იყო მისი ხანმოკლე პერიოდით დაკავების თვითნებური ხასიათის გამო. წინამდებარე გარემოებებში, სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ აპლიკანტი დაექვემდებარა დამამცირებელ მოპყრობას.

M.A. v. Cyprus**(განაცხადი N41872/10; 23/07/2013)**

ეს საქმე შეეხებოდა სირიელი ქურთის დაკავებას კვიპროსის ხელისუფლების მიერ და მის სავარაუდო დეპორტაციას სირიაში, 2010 წლის 11 ივნისის დილას ჩატარებული პოლიციის ოპერაციის შემდეგ. აღნიშნულმა ფაქტმა, განმცხადებლის და სხვა ქურთების სირიიდან, კერძოდ, ნიქოზიაში არსებული სამთავრობო შენობების გარეთ მდებარე ბანაკებიდან გაძევება გამოიწვია, კვიპროსის ხელისუფლების თავშესაფრის პოლიტიკის პროტესტის ნიშნად.

საბოლოოდ, ევროსასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი პარაგრაფი (თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება) აპლიკანტის დაკავების მთელი პერიოდის განმავლობაში, რადგან ეროვნული ხელისუფლების ორგანოები არ მოქმედებდნენ კანონით გათვალისწინებული პროცედურის შესაბამისად. ერთადერთი რესურსი შიდა კანონმდებლობაში, რაც ნებას რთავდა აპლიკანტს გაესაჩივრებინა თავისი დაკავების კანონიერება, იყო კონსტიტუციის 146-ე მუხლის საფუძველზე შეტანილი განაცხადი. ევროსასამართლომ დაადგინა, რომ საშუალო ხანგრძლივობა ასეთი სამართალწარმოებისა, ამ შემთხვევაში რვა თვე, იყო უდავოდ ძალიან დიდი ხანი კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 პარაგრაფის (დაკავების კანონიერების სასამართლოს მიერ სწრაფად განხილვის უფლება) მიზნებიდან გამომდინარე. შესაბამისად, დაირღვა აღნიშნული დებულება.

Kim v. Russia**(განაცხადი N44260/13; 17/07/2014)**

წინამდებარე საქმე შეეხებოდა მოქალაქეობის არმქონე პირის დაკავებას, რომელიც ხელისუფლების ორგანოებმა, მისი გაძევების მიზნით, თავდაპირველად უზბეკეთის მოქალაქედ მიიჩნიეს. აპლიკანტი დავობდა მისი ორწლიანი პატიმრობის პირობებს უცხოელთა დაკავების ცენტრში. მან ასევე აღნიშნა, რომ მისი დაპატიმრება იყო არაკანონიერი, როგორც გაჭიანურებული ხანგრძლივობის, ასევე გაძევების ბრძანების აღუსრულებლობის გამო და სასამართლომ ვერ განიხილა მისი პატიმრობის საკითხი.

ევროსასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი პარაგრაფი (თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება) და მე-5 მუხლის მე-4 პარაგრაფი (დაკავების კანონიერების სასამართლოს მიერ სწრაფად განხილვის უფლება). კერძოდ, სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ აპლიკანტს არ

ჰქონდა მისი დაკავების ფაქტის გასაჩივრების საშუალება და იგი დარჩა პატიმრობაში ისე, რომ არ არსებობდა რეალური პერსპექტივა განმცხადებლის გაძევების უზრუნველყოფისა. ხელისუფლების ორგანოებმა არ გამოიჩინეს საკმარისი გულისხმიერება სიტუაციის გაანალიზების კუთხით. კონვენციის 46-ე მუხლის (გადაწყვეტილებათა სავალდებულო ძალა და აღსრულება) მიხედვით, ევროსასამართლომ ასევე დაასკვნა, რომ რუსეთს უნდა მიეღო შესაბამისი ზომები, რომელიც განმცხადებელს თავიდან ააცილებდა ხელმეორედ დაკავებასა და იმ დანაშაულებებზე დაპატიმრებას, რაც მისი, როგორც მოქალაქეობის არმქონე პირის სტატუსიდან გამომდინარეობდა. ამ შემთხვევაში სტრასბურგის სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი (არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვა), განმცხადებლის პატიმრობის პირობების გამო.

უვადო პატიმრობა

Laszlo Magyar v. Hungary

(განაცხადი N73593/10; 20/05/2014)

მომჩივანი ბრალდებულ იქნა მკვლელობაში, ძარცვასა და რამდენიმე სხვა დანაშაულში და მიესაჯა უვადო პატიმრობა პირობითი მსჯავრის გარეშე. მიუხედავად იმისა, რომ უნგრეთის ძირითად კანონში გათვალისწინებული იყო პრეზიდენტის მიერ შეწყობის შესაძლებლობა მას შემდეგ, რაც 1999 წელს შემოღებულ იქნა უვადო პატიმრობა, შეწყობის შესახებ არ ყოფილა გადაწყვეტილება მიღებული ნებისმიერი ასეთი მსჯავრდებული პატიმრისთვის. განმცხადებელი ჩიოდა, რომ მისი უვადოდ თავისუფლების აღკვეთა პირობითი მსჯავრის გარეშე წარმოადგენდა არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობას, რადგან აღნიშნული სასჯელი შეუმცირებელი იყო.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი, რომელიც ეხებოდა მომჩივნის სამუდამო პატიმრობას, პირობითი მსჯავრის გარეშე. კერძოდ, ევროსასამართლო არ იყო დარწმუნებული, რომ უნგრეთის კანონმდებლობა სამუდამო პატიმრობამისჯილ პირებს საშუალებას აძლევდა სცოდნოდათ, რა მოემოქმედათ გასათავისუფლებლად და რა პირობებში. დამატებით, კანონმდებლობა არ უზრუნველყოფდა უვადო პატიმრობამისჯილი პირების მიმართ მათი სასჯელის გადახედვის სათანადო განხილვას და რეაბილიტაციას. შესაბამისად, სტრასბურგის სასამართლომ დაასკვნა, რომ აპლიკანტის სასჯელი არ შეიძლებოდა განხილულიყო, როგორც შემცირებადი და არღვევდა კონვენციის

მე-3 მუხლს. დამატებით, ევროსასამართლომ დაადგინა, რომ აღნიშნულ საქმეში გამოაშკარავებული იყო სისტემური პრობლემა, რომელსაც შესაძლოა მსგავსი საჩივრები წარმოეშვა. შესაბამისად, გადაწყვეტილების სათანადოდ აღსრულებისთვის სტრასბურგის სასამართლომ მოიწვია უნგრეთის სახელმწიფო კონვენციის 46-ე მუხლის (გადაწყვეტილებათა სავალდებულო ძალა და აღსრულება) საფუძველზე, სამუდამო პატიმრობის სასჯელების გადახედვის მიზნით სისტემის რეფორმირების კუთხით. კერძოდ, უზრუნველყოთ თითოეულ საქმეში იმის შემოწმება, რომ განგრძობითი პატიმრობა გამართლებულია ლეგიტიმური მიზნებიდან გამომდინარე და უვადო პატიმრობამისჯილებს შეძლებოდათ წინასწარ განეჭვრიტათ, რა მოემოქმედათ გათავისუფლებისთვის და რა პირობებში.

ევროსასამართლომ კვლავ აღნიშნა, რომ სახელმწიფოებს აქვთ ფართო დისკრეცია („შეფასების ზღვარი“) კონკრეტულ დანაშაულებზე შესაბამისი საპატიმრო სასჯელის გადაწყვეტისას. მაშასადამე, ის უბრალო ფაქტი, რომ სამუდამო პატიმრობა შესაძლებელი იყო ბოლომდე ყოფილიყო მოხდილი, არ ეწინააღმდეგებოდა კონვენციის მე-3 მუხლს. შესაბამისად, სამუდამო პატიმრობის სასჯელის გადასინჯვა, აუცილებლად არ გულისხმობდა აღნიშნული პატიმრების გათავისუფლებას.

Harakchiev and Tolumov v. Bulgaria

(განაცხადი N15018/11; 61199/12; 08/07/2014)

წინამდებარე საქმე არსებითად ეხებოდა უვადო პატიმრობას გადასინჯვის გარეშე, რომელიც შემოღებულ იქნა 1998 წლის დეკემბერში, ბულგარეთში, სიკვდილით დასჯისა და მკაცრი რეჟიმის კოლონიის (სადაც უვადო პატიმრობას იხდიდნენ) გაუქმების შემდეგ. ორი განმცხადებელი იხდიდა უვადო პატიმრობის სასჯელს, მათგან პირველი მომჩივანი - გადასინჯვის გარეშე, ხოლო მეორე - გადასინჯვით. ორივე აპლიკანტი დავობდა მათი პატიმრობის პირობებისა და სამართლებრივი დაცვის ეფექტური შიდა საშუალების არარსებობის გამო. გარდა ამისა, პირველი მომჩივანი ამტკიცებდა, რომ მისი უვადო პატიმრობა გადასინჯვის გარეშე წარმოადგენდა არაადამიანურ და დამამცირებელ სასჯელს, რადგან იგი გულისხმობდა, რომ ვერასოდეს იქნებოდა რეაბილიტირებული და უნდა გაეტარებინა მთელი თავისი ცხოვრება ციხეში.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი პირველ აპლიკანტთან მიმართებით, რომელსაც არ შეეძლო თავისი სასჯელის - უვადო პატიმრობა გადასინჯვის გარეშე - შემცირება იმ დროიდან, როცა იგი საბოლოო გახდა.

ევროსასამართლო ეთანხმებოდა იმ ფაქტს, რომ უვადო პატიმრობის მისჯა თავისთავად არ ეწინააღმდეგებოდა კონვენციის მე-3 მუხლს - არაჰუმანურ და დამამცირებელ მოპყრობას, თუმცა, აღნიშნა, რომ იმ დროიდან, როცა მოძიების სასჯელი საბოლოო გახდა - 2004 წლის ნოემბრიდან 2012 წლის დასაწყისამდე - აპლიკანტის უვადო პატიმრობა გადასინჯვის გარეშე წარმოადგენდა არაჰუმანურ და დამამცირებელ მოპყრობას. ამასთან, აპლიკანტს არ ჰქონდა გათავისუფლების რეალური პერსპექტივა და შესაძლებლობა - გადასინჯულიყო მისი სამუდამო პატიმრობა. აღნიშნულ გარემოებებს ამძიებდა განმცხადებლის პატიმრობის მკაცრი რეჟიმი და იქ არსებული პირობები, რომელიც ხელს უშლიდა სასჯელმისჯილის რეაბილიტაციას ან პიროვნულ გარდაქმნას. იმ პერიოდში, პრეზიდენტის შეწყალების უფლებამოსილებას შეეძლო აპლიკანტის სასჯელი შეემცირებინა, თუმცა აღნიშნული მეთოდი იყო ბუნდოვანი, ფორმალური თუ არაფორმალური სამართლებრივი დაცვის საშუალებების არარსებობის გამო. არ არსებობდა კონკრეტული მაგალითები გადასინჯვის გარეშე უვადო პატიმრობამისჯილი პირების შესახებ, რომლებიც დაექვემდებარებოდნენ აღნიშნული განაჩენის კორექტირებას. გარდა ამისა, რადგან კონვენციით გათვალისწინებული არ იყო რეაბილიტაციის უფლება, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს ვალდებულება ჰქონდათ, უვადო პატიმრობამისჯილებისთვის მიეცათ შანსი, თუნდაც შორეული, რომ ერთ დღეს თავისუფლებას დაიბრუნებდნენ. იმისთვის, რათა ეს შანსი ყოფილიყო ჭეშმარიტი და ხელშესახები, უვადო პატიმრებს უნდა მისცემოდათ სათანადო შესაძლებლობა თავიანთი რეაბილიტაციისთვის. ამ კონტექსტში, მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოს ჰქონდა მოქმედების მრავალი შესაძლებლობა („შეფასების ფართო ზღვარი“) გადაეწყვიტა ისეთი საკითხები, როგორცაა უვადო პატიმრის სატუსაღოს რეჟიმი და პირობები, აღნიშნული გარემოებები განხილვის მიღმა ვერ დარჩებოდა. თუმცა, ევროსასამართლომ სიფრთხილით აღნიშნა, რომ დარღვევის დადგენა არ შეიძლებოდა აღქმულიყო, როგორც აპლიკანტისთვის გარდაუვალი გათავისუფლების პერსპექტივა. საბოლოოდ, სტრასბურგის სასამართლომ აღნიშნა, რომ 2012 წლის რეფორმების შემდეგ, საპრეზიდენტო შეწყალების უფლების გამოყენება რეალური გახდა, რომელიც გათავისუფლების პერსპექტივის ან გადასინჯვის შესაძლებლობას იძლეოდა. შესაბამისად, აპლიკანტის დაპატიმრება გადასინჯვის გარეშე, ფორმალურად მაინც, შესაძლებელია მიჩნეულიყო, როგორც შემცირებადი სასჯელი.

Cacko v. Slovakia

(განაცხადი N49905/08; 22/07/2014)

წინამდებარე საქმეში განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ მისთვის მისჯილი უვადო პატიმრობა პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლების შესაძლებლობის გარეშე, წარმოადგენდა არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობას, რადგან მომხივანმა ვერ დაინახა საპრეზიდენტო შეწყალების ან მისთვის დადგენილი სასჯელის გადასინჯვის პერსპექტივა. აპლიკანტმა ასევე აღნიშნა, რომ ეროვნული კანონმდებლობისა და პრაქტიკის მიხედვით, მან ვერ შეძლო ეფექტური სასამართლო განხილვის მიღება უვადო პატიმრობის სასჯელთან მიმართებით.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ არ დარღვეულა კონვენციის მე-3 მუხლი. კერძოდ, ევროსასამართლომ აღნიშნა, რომ 2010 წლის იანვარში შემოღებული სასამართლო გადასინჯვის მექანიზმი, შესაძლებელს ხდიდა უვადო პატიმრების პირობით გათავისუფლებას 25-წლიანი საპატიმრო სასჯელის მოხდის შემდეგ (აპლიკანტის საქმის ფაქტობრივი გარემოებები). აღნიშნული ცვლილება განხორციელდა 2008 წლის ოქტომბერში, განმცხადებლის მსჯავრდებისა და სასამართლოში სარჩელის შეტანიდან ხანმოკლე დროის გასვლის შემდეგ. ამასთან, საკმაო პერიოდის განმავლობაში, მომხივანი ცდილობდა კომპენსაციის მიღებას ეროვნული სასამართლოებისგან. სტრასბურგის სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ არ დარღვეულა კონვენციის მე-13 მუხლიც (სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალების უფლება) მე-3 მუხლთან ერთობლიობაში.

Bodein v. France

(განაცხადი N40014/10; 13/11/2014)

წინამდებარე საქმე ეხებოდა აპლიკანტის უვადო პატიმრობას, სასჯელის შემცირების შესაძლებლობის გარეშე. განმცხადებელი დავობდა, რომ მისი სასჯელი რაიმე ფორმის კორექტირების ან გათავისუფლების საშუალებას არ იძლეოდა.

სტრასბურგის სასამართლომ კვლავ აღნიშნა, რომ უვადო პატიმრობა შეესაბამებოდა კონვენციის მე-3 მუხლს, თუ იგი შემცირებას ექვემდებარებოდა ან სხვაგვარად, ისეთი სასჯელის გადასინჯვის შესაძლებლობა არსებობდა, რომელიც პატიმარს სასჯელის მისჯიდანვე უნდა შეეფასებინა მისი პირობებისა და გარემოებების მიხედვით. გარდა ამისა, ასეთი გადასინჯვის ფორმა, ისევე

როგორც ის საკითხი, თუ სასჯელის რა ნაწილი უნდა ყოფილიყო მოხდილი, რათა პატიმრის განაჩენი გადასინჯულიყო, წარმოადგენდა სახელმწიფოთა ეროვნული შეფასების ზღვარს. საბოლოოდ, შედარებით და საერთაშორისო სამართალში ცხადი ტენდენცია არ შეინიშნებოდა უვადო პატიმრობიდან 25-წლიანი სასჯელის მოხდის შემდეგ განაჩენის გადასინჯვის მექანიზმთან დაკავშირებით. წინამდებარე საქმეში ევროსასამართლომ დაადგინა, რომ კონვენციის მე-3 მუხლი არ დარღვეულა. სტრასბურგის სასამართლომ დაასკვნა, რომ საფრანგეთის კანონმდებლობა უზრუნველყოფდა უვადო პატიმრობის გადასინჯვის შესაძლებლობას სახელმწიფოთა სისხლის სამართლისა და სასჯელაღსრულებითი კანონმდებლობის სამოქმედო არეალის ფარგლებში („შეფასების ზღვარი“), რათა დაედგინა, რომ აპლიკანტისთვის დაკისრებული სასჯელი შემცირებადი იყო კონვენციის მე-3 მუხლიდან გამომდინარე. ევროსასამართლომ აღნიშნა, რომ საფრანგეთის კანონმდებლობა ნამდვილად ითვალისწინებდა მსჯავრდებული პირის მდგომარეობის სასამართლო გადასინჯვას და სასჯელის შესაძლო კორექტირებას 30-წლიანი ტუსაღობის შემდეგ. ევროსასამართლომ მიიჩნია, რომ ასეთი გადასინჯვა, რომელიც ფასდებოდა პატიმრის რისკისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მისი ქცევების შესაბამისად, არ ტოვებდა ეჭვს სასჯელის დანიშნიდან „გათავისუფლების პერსპექტივის“ არსებობის შესახებ. აპლიკანტის საქმეში, წინასწარი დაკავების პერიოდის გამოკლებით, მომჩივანი დაექვემდებარებოდა მისი სასჯელის გადასინჯვას 2034 წლისთვის, რაც გულისხმობდა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ მისთვის უვადო პატიმრობის შესახებ გამოტანილი განაჩენიდან 26 წლის შემდეგ განხილვას და პირობითი მსჯავრის დადებას, შესაძლებლობის შემთხვევაში.

ჯანმრთელობის დაცვა

გარემო და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია

Ozel and Others v. Turkey

(განაცხადი N14350/05, 15245/05, 16051/05; 17/11/2015)

წინამდებარე საქმე ეხებოდა განმცხადებლის ოჯახის წევრების გარდაცვალებას, რომლებიც ცოცხლად დაიმარხნენ შენობების ქვეშ. ეს ნაგებობები დაინგრა ქალაქ ჩინარჯიკში 1999 წლის 17 აგვისტოს მომხდარი მიწისძვრის შედეგად, რომელიც ერთ-ერთი უძლიერესი მიწისძვრა იყო თურქეთის ისტორიაში.

აღნიშნული ქალაქი მდებარეობდა სეისმური მოქმედების ადგილების ამსახველი რუკის „განსაკუთრებული რისკის შემცველი ზონის“ რეგიონში.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-2 მუხლის (სიცოცხლის უფლება) პროცედურული ასპექტი. კერძოდ, სტრასბურგის სასამართლომ დაასკვნა, რომ თურქეთის მთავრობამ სწრაფად არ იმოქმედა, რათა გამოეველინა შენობების დანგრევის გარემოებები და შესაბამისად, გამოწვეული პასუხისმგებლობები, სიკვდილის ფაქტების განმაპირობებელი მიზეზების დადგენის მიზნით. მართლაც, გამოძიების მნიშვნელობიდან გამომდინარე, ხელისუფლებას სწრაფი რეაგირება უნდა მოეხდინა, რათა დაედგინა შენობების დანგრევის გარემოებები და განესაზღვრა შესაბამისი პასუხისმგებელი პირები. ამასთან, თავიდან აეცილებინა უკანონო ქმედებების ან აღნიშნული დანაშაულებში მხილებულ პირთა მიმართ ტოლერანტობა.

Dzemyuk v. Ukraine

(განაცხადი N42488/02; 04/09/2014)

აპლიკანტი დავობდა, რომ მის სახლთან ახლოს სასაფლაოს მშენებლობა იწვევდა წყალმომარაგების სისტემის დაზიანებას როგორც სასმელად, ასევე სარწყავად. აღნიშნული ფაქტი მის სახლს საცხოვრებლად გამოუსადეგარს ხდიდა, ხოლო მიწას - გამოუყენებადს. ამასთან, განმცხადებელი წუხდა, რომ დაკრძალვის ცერემონიები ურღვევდა მყუდროებას. ასევე აღნიშნავდა, რომ ხელისუფლებამ ვერ აღასრულა საბოლოო და სავალდებულო გადაწყვეტილება - სასაფლაოს უკანონოდ მოციხადების შესახებ. ამასთან, განმცხადებელმა აღნიშნა, რომ არაფერი გაკეთებულა სასაფლაოს დახურვის მიზნით და არც დაკრძალვის პროცესების შეწყვეტის თაობაზე. აპლიკანტის თხოვნის მიუხედავად, არ გათვალისწინებულა მისი წინადადება, დასახლების დეტალური და კონკრეტული შეთავაზების შესახებ.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლი, დაადგინა, რომ განმცხადებლის პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლებაში ჩარევა არ ყოფილა „კანონის შესაბამისი“ აღნიშნული დებულების მნიშვნელობის ფარგლებში. ევროსასამართლომ აღნიშნა, რომ უკრაინის ხელისუფლება არ უარყოფდა იმ ფაქტს, რომ სასაფლაო აშენებული და გამოყენებული იყო ეროვნული რეგულაციების დარღვევით. გარემოსდაცვითი ორგანოების წარმომადგენლების დასკვნები უარყოფილ იქნა. საბოლოო და სავალდებულო სასამართლო გადაწყვეტილებები

სასაფლაოს დახურვასთან დაკავშირებით არასდროს აღსრულებულა და ჯანმრთელობასა და გარემოზე არსებული საფრთხეები, რომლებიც თან ახლდა წყლის დაბინძურებას, რეაგირების მიღმა რჩებოდა.

ჯანმრთელობის დაცვა

L.H. v. Latvia

(განაცხადი N52019/07; 29/04/2014)

აპლიკანტი დავობდა, რომ სახელმწიფო სამსახურის მიერ მისი თანხმობის გარეშე მასთან დაკავშირებული პირადი სამედიცინო მონაცემების შეგროვება არღვევდა მისი პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლებას.

ევროსასამართლომ ყურადღება გაამახვილა პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლებით სარგებლობის კონტექსტში სამედიცინო მონაცემების დაცვის მნიშვნელობაზე. ევროპულმა სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-8 მუხლის (პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება) დარღვევა, მიიჩნია რა, რომ ლატვიაში იმ დროს მოქმედი კანონმდებლობით არ იყო ნათლად ჩამოყალიბებული შესაბამისი ხელისუფლებისთვის მიკუთვნებული დისკრეციის ფარგლები და გამოყენების გზები.

Dvoracek v. the Czech Republic

(განაცხადი N12927/13; 05/11/2014)

წინამდებარე საქმე ეხებოდა მომჩივნის იძულებით მოთავსებას ფსიქიატრიულ საავადმყოფოში, შესაბამისი მკურნალობის მისაღებად. აპლიკანტი დავობდა, რომ საავადმყოფომ ვერ უზრუნველყო მისთვის სათანადო ფსიქოთერაპიის ჩატარება; იგი, აგრეთვე, ამტკიცებდა, რომ დაექვემდებარა იძულებით სამედიცინო მკურნალობასა და ფსიქოლოგიურ ზეწოლას.

ევროსასამართლომ, მომჩივნის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მოთავსებასა და მასზე განხორციელებულ სამედიცინო მკურნალობასთან მიმართებით, კონვენციის მე-3 მუხლის (არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვა) დარღვევა არ დაადგინა. სტრასბურგის სასამართლომ აღნიშნა, რომ ანტიანდროგენული მკურნალობა თერაპიული აუცილებლობიდან გამომდინარეობდა; საქმეზე დადგენილი არ ყოფილა, რომ მომჩივანმა აღნიშნული მკურნალობა ზეწოლის შედეგად მიიღო. მიუხედავად იმისა, რომ არ

არსებობდა რაიმე მიზეზი, რათა საავადმყოფოს განცხადება, რომ აპლიკანტი გაფრთხილებული იყო მკურნალობის გვერდითი მოვლენების შესახებ, საექვოდ მიჩნეულიყო, ევროსასამართლომ მიიჩნია, რომ ოფიციალურ დოკუმენტში აღწერილი პროცედურები ნათელს ხდიდა მის მდგომარეობას. კერძოდ, დოკუმენტში მითითებული იყო მომჩივნისთვის მკურნალობის გვერდით მოვლენებთან დაკავშირებით ინფორმაციის მიწოდების, მის მიერ თანხმობის გამოთქმის თაობაზე, აგრეთვე, შემდგომში აღნიშნული თანხმობის შეცვლის უფლების შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ ამგვარი პროცედურა სამართლებრივ სიცხადეს შეიტანდა სიტუაციაში, აღნიშნული დოკუმენტის გამოუყენებლობა არასაკმარისი იყო კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევის დადგენისთვის. შესაბამისად, ევროსასამართლომ გონივრულ ეჭვს მიღმა ვერ მიიჩნია, რომ აპლიკანტი იძულებით სამედიცინო მკურნალობას დაექვემდებარა. სტრასბურგის სასამართლომ, მომჩივნის სავარაუდო არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებით, კონვენციის მე-3 მუხლი არ დაადგინა.

Gray v. Germany

(განაცხადი N49278/09; 22/05/2014)

აღნიშნული საქმე ეხებოდა პაციენტის გარდაცვალებას დიდ ბრიტანეთში, მის სახლში, გერმანელი ექიმის სამედიცინო შეცდომის შედეგად. აღნიშნული ექიმი კერძო დაწესებულებამ შეარჩია, რათა ბრიტანეთის ჯანდაცვის ეროვნულ სამსახურში ემუშავა. პაციენტის შვილები დავობდნენ, რომ გერმანიის ხელისუფლებამ მათი მამის გარდაცვალებასთან დაკავშირებით ეფექტური გამოძიება ვერ ჩაატარა. აღსანიშნავია, რომ გერმანიაში ექიმის წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი საქმის წარმოება დაიწყო და საბოლოოდ, მსჯავრი დაედო დაუდევრობით გამოწვეული სიცოცხლის მოსპობის გამო.

ევროსასამართლომ კონვენციის მე-2 მუხლის (სიცოცხლის უფლება) დარღვევა არ დაადგინა, მიიჩნია რა, რომ გერმანიაში მომჩივნების მამის გარდაცვალების საფუძველზე ექიმის წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმის წარმოება ადეკვატური იყო. სტრასბურგის სასამართლომ განაცხადა, რომ გერმანიის სასამართლოს ექიმის მსჯავრდებისთვის საკმარისი მტკიცებულებები ჰქონდა, რათა იგი დამნაშავედ ეცნო საქმის არსებითი განხილვის გარეშე. გარდა ამისა, აპლიკანტებს აცნობეს გერმანიაში მიმდინარე სამართალწარმოების თაობაზე. გერმანული სასამართლოების წინაშე განსახილველი საქმის გათვალისწინებით, გერმანიის ხელისუფლება სამართლიანად მოიქცა, როდესაც გაერთიანებულ სამეფოში ექიმის ექსტრადაცია არ განახორციელა.

Asiye Genc v. Turkey

(განაცხადი N24109/07; 27/01/2015)

წინამდებარე საქმე ეხებოდა ნაადრევად დაბადებული ბავშვის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ავტომატურად გარდაცვალებას. ბავშვი დაბადებიდან რამდენიმე საათში, საავადმყოფოებს შორის გადაყვანის მომენტში გარდაიცვალა; მას მკურნალობა არ ჩატარებია. აპლიკანტი ჩიოდა მისი შვილის გარდაცვალებასთან დაკავშირებული გამოძიების ხარვეზებზე.

ევროსასამართლომ კონვენციის მე-2 მუხლის (სიცოცხლის უფლება) დარღვევა დაადგინა. უპირველეს ყოვლისა, სტრასბურგის სასამართლომ მიიჩნია, რომ თურქეთის სახელმწიფომ საკმარისად არ უზრუნველყო სახელმწიფო საავადმყოფოს მომსახურების ან ჯანმრთელობის დაცვის სისტემის ფუნქციონირება და სათანადო ორგანიზება. ბავშვი გარდაიცვალა, ვინაიდან არ უმკურნალეს. ევროსასამართლომ შენიშნა, რომ მსგავსი სიტუაცია წარმოადგენდა სამედიცინო დახმარების მიწოდებაზე უარს იმ ფორმით, რაც საფრთხის ქვეშ აყენებდა პირის სიცოცხლეს. ასევე, სტრასბურგის სასამართლომ მიიჩნია, რომ აღნიშნულ ტრაგედიასთან დაკავშირებით თურქეთის სასამართლო სისტემის პასუხი, ბავშვის გარდაცვალების ზუსტი გარემოებების დადგენის მიზნებთან შესაბამისი არ იყო. ამრიგად, სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ ბავშვთან მიმართებით თურქეთმა ევროკონვენციის მე-2 მუხლით დაკისრებული ვალდებულება ვერ შეასრულა.

Altug and Others v. Turkey

(განაცხადი N32086/07; 30/06/2015)

წინამდებარე საქმე ეხებოდა აპლიკანტების ნათესავების გარდაცვალებას 74 წლის ასაკში. გარდაცვალების მიზეზი გახლდათ პენიცილინის შემცველობის მქონე წამლით გამოწვეული ალერგიული რეაქცია. აღნიშნული წამალი მიღებულ იქნა ინტრავენური ინექციის მეშვეობით კერძო საავადმყოფოში. მომჩივნები დავობდნენ, რომ სამედიცინო გუნდმა არ შეასრულა მათი სამართლებრივი ვალდებულებები, კერძოდ, ჩატარებინათ ანამნეზი (გამოეკითხათ პაციენტის ან მათი ნათესავების სამედიცინო ისტორია და შესაძლო ალერგიული რეაქციები), პაციენტისთვის ეცნობებინათ ალერგიული რეაქციის ალბათობის თაობაზე და მოეპოვებინათ მისი თანხმობა წამლის გამოყენების შესახებ.

ევროსასამართლომ კონვენციის მე-2 მუხლის (სიცოცხლის უფლება) დარღვევა დაადგინა. სტრასბურგის სასამართლომ აღნიშნა, რომ მის ამოცანას არ წარმოადგენდა მომჩივნების დედის/ბებულის გარდაცვალებასთან დაკავშირებით სამედიცინო ჯგუფის პასუხისმგებლობის საკითხით სპეკულირება. მან მიიჩნია, რომ ხელისუფლებამ ვერ უზრუნველყო შესაბამისი საკანონმდებლო ჩარჩოს სათანადო განხორციელება, რათა დაეცვა პაციენტთა სიცოცხლის უფლება. ცალსახად, არც სამედიცინო ექსპერტებმა, რომლებმაც მიიჩნიეს, რომ გარდაცვალება მედპერსონალის დაუდევრობით იყო განპირობებული და არც თურქეთის სასამართლოებმა არ განიხილეს სამედიცინო გუნდის მიერ არსებული სამართლებრივი დებულებების დარღვევა. სახელდობრ, კანონმდებლობის მიხედვით, მათ უნდა ჩაეტარებინათ ანამნეზი, პაციენტისთვის ეცნობებინათ ალერგიული რეაქციის ალბათობის თაობაზე და მოეპოვებინათ მისი თანხმობა წამლის გამოყენების შესახებ.

Petrova v. Latvia

(განაცხადი N4605/05; 24/06/2014)

მომჩივნის შვილმა ავტოავარიის შედეგად მიიღო სიცოცხლისთვის საშიში დაზიანებები. იგი საავადმყოფოში მიყვანის შემდეგ გარდაიცვალა. მის სხეულს ჩაუტარდა ლაპარატომია, რომლის ფარგლებშიც, ორგანოთა გადასანერგად ამოკვეთეს თირკმელი და ელენთა. აპლიკანტი დავობდა, რომ მისი შვილის ორგანოების ამოკვეთა განხორციელდა მისი და გარდაცვლილის წინასწარი თანხმობის გარეშე; მომჩივანი ასევე აცხადებდა, რომ ნებისმიერ შემთხვევაში, აღნიშულ ფაქტთან დაკავშირებით მისი მოსაზრება არ გაუთვალისწინებიათ.

ევროსასამართლომ კონვენციის მე-8 მუხლის (პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება) დარღვევა დაადგინა. სტრასბურგის სასამართლომ მიიჩნია, რომ აპლიკანტის შვილის გარდაცვალების დროს მოქმედი ლატვიის კანონმდებლობა, ორგანოთა ტრანსპლანტაციასთან მიმართებით არ იყო საკმარისად ცხადი. აღსანიშნავია, რომ მომჩივანს, როგორც გარდაცვლილის ახლო ნათესავს, ორგანოების ამოკვეთასთან დაკავშირებით ჰქონდა გარკვეული უფლებები; თუმცა მას არც აცნობეს და არც განუმარტეს, თუ როდის და როგორ უნდა გამოეყენებინა ზემოთ ხსენებული უფლებები.

Elberte v. Latvia**(განაცხადი N61243/08; 13/01/2015)**

წინამდებარე საქმე ეხებოდა ექსპერტის მიერ მომჩივნის გარდაცვლილი მეუღლის სხეულიდან ქსოვილის აღებას ისე, რომ აპლიკანტი აღნიშნულის თაობაზე ინფორმაციას არ ფლობდა. შესაბამისად, მას არც თანხმობა განუცხადებია. სახელმწიფოს მიერ დამტკიცებული შეთანხმების თანახმად, აპლიკანტის მეუღლის გაკვეთის შემდეგ ქსოვილი ამოღებულ იქნა და ბიოლოგიური იმპლანტანტების შესაქმნელად გაეგზავნა ფარმაცევტულ კომპანიას გერმანიაში. მომჩივანმა აღნიშნული ფაქტის შესახებ მეუღლის გარდაცვალებიდან ორი წლის შემდეგ შეიტყო, როდესაც ლატვიაში, გვამებიდან ორგანოებისა და ქსოვილების ფართომასშტაბიანი უკანონო აღების საფუძველზე, სისხლის სამართლებრივი საქმის წარმოება დაიწყო. მიუხედავად სამართალწარმოებისა, საბოლოოდ, ეროვნულმა ხელისუფლებამ ვერ აღმოაჩინა დანაშაულის ნიშნები. აპლიკანტი ასაჩივრებდა, რომ მისი გარდაცვლილი მეუღლის სხეულიდან ქსოვილი აღებულ იქნა მომჩივნის წინასწარი ნებართვის გარეშე. იგი, აგრეთვე, დავობდა, რომ განიცადა ემოციური ტანჯვა, ვინაიდან მისი მეუღლის სხეულიდან ქსოვილის აღებასთან დაკავშირებით გაურკვეველ მდგომარეობაში იმყოფებოდა; მას შემდეგ, რაც გაკვეთილი გვამი აპლიკანტს დაუბრუნეს, მის მეუღლეს ფეხები ერთმანეთზე ჰქონდა მიბმული.

ევროსასამართლომ კონვენციის მე-8 მუხლისა (პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება) და მე-3 მუხლის (არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვა) დარღვევა დაადგინა. სტრასბურგის სასამართლომ მიიჩნია, რომ ქსოვილის მოშორების თაობაზე თანხმობის არსებობის მოთხოვნასთან დაკავშირებით ლატვიის კანონმდებლობას აკლდა სიზუსტე, აგრეთვე, თვითნებობის წინააღმდეგ იგი არ უზრუნველყოფდა ადეკვატურ სამართლებრივ გარანტიებს. მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებლობა ითვალისწინებდა სამართლებრივ ჩარჩოს, რომელიც გარდაცვლილი პირის ახლო ნათესავებს აძლევდა საშუალებას ქსოვილის აღებასთან დაკავშირებით გამოეთქვათ თანხმობა ან უარი, იგი ნათლად არ განმარტავდა ექსპერტების ვალდებულებას ან დისკრეციას თანხმობის მოპოვებასთან მიმართებით. ცალსახაა, რომ ახლო ნათესავთა მიერ აზრის გამოთქმის უფლების განხორციელების გზები და ექსპერტთა მიერ თანხმობის მოპოვების ვალდებულების ფარგლები ეროვნულ ხელისუფლებას შორის შეუთანხმებლობის საგანს წარმოადგენდა. ევროსასამართლომ დაადგინა, რომ აპლიკანტი ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში გაურკვეველობაში იმყოფებოდა და ემოციურ ტანჯვას განიცდიდა მისი გარდაცვლილი მეუღლის სხეულიდან ქსოვილის აღების მიზანთან, გზასა და ბუნებასთან დაკავშირებით.

სტრასბურგის სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ადამიანის სხეულს გარდაცვალების შემდეგ პატივისცემით უნდა მოეპყრონ, განსაკუთრებით ორგანოსა და ქსოვილის გადანერგვის სფეროში.

პატიმართა ჯანმრთელობის დაცვის უფლება

Catalin Eugen Micu c. Roumanie

(განაცხადი N55104/13; 05/01/2016)¹⁵

განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ იგი ციხეში C ჰეპატიტით დაავადდა და კომპეტენტურმა ორგანოებმა არ შეასრულეს თავიანთი ვალდებულება - უზრუნველყოთ აპლიკანტი სათანადო სამედიცინო მკურნალობით.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ არ დარღვეულა კონვენციის მე-3 მუხლი (არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობა). ევროსასამართლომ აღნიშნა, რომ გადამდები დაავადების გავრცელება უნდა იყოს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ძირითადი განსახილველი საკითხი, განსაკუთრებით საპატიმროებში. სტრასბურგის სასამართლოსთვის, სასურველი იქნებოდა პატიმრებს, თავიანთი თანხმობის შემთხვევაში, სატუსაღოში მოთავსებიდან გონივრულ ვადაში შეძლებოდათ C ჰეპატიტის ან შიდსის შესახებ უფასო გამოკვლევის ჩატარება. მოცემულ საქმეში, ასეთი შესაძლებლობის არსებობა ხელს შეუწყობდა მომხივნის ბრალდებების განსაზღვრას - შეეყარა თუ არა მას ზემოთ ხსენებული დაავადება ციხეში. მიუხედავად იმისა, რომ განმცხადებელს დაავადების დიაგნოზი დაუსვეს, როდესაც იგი ციხის ადმინისტრაციის პასუხისმგებლობის ქვეშ მოექცა, ევროსასამართლოსთვის არ იყო შესაძლებელი, მის ხელთ არსებული მტკიცებულებებიდან გამომდინარე დაესკვნა, რომ აღნიშნული ფაქტი იყო სახელმწიფოსთვის დაკისრებული პოზიტიური ვალდებულებების შეუსრულებლობის შედეგი. სტრასბურგის სასამართლომ C ჰეპატიტის ციხეში მკურნალობასთან დაკავშირებით დაადგინა, რომ ხელისუფლებამ შეასრულა მასზე დაკისრებული ვალდებულება, უზრუნველყო განმცხადებლის ადეკვატური სამედიცინო მკურნალობა.

¹⁵ წინამდებარე გადაწყვეტილება საბოლოო გახდება კონვენციის 44-ე მუხლის მე-2 პარაგრაფში აღნიშნული გარემოებების შესაბამისად.

Mozer v. the Republic of Moldova and Russia

დიდი პალატის გადაწყვეტილება

(განაცხადი N11138/10; 23/02/2016)

განმცხადებელი, რომელიც დაავადებული იყო ბრონქული ასთმით, სუნთქვის უკმარისობითა და სხვა პათოლოგიებით ჩიოდა, რომ მას ჩამოერთვა სამედიცინო დახმარების მიღების უფლება და საპატიმროში არაადამიანურ პირობებში იმყოფებოდა თვითგამოცხადებული „დნესტრისპირეთის მოლდოვის რესპუბლიკის“ („დმრ“) ხელისუფლების მიერ. მან აღნიშნა, რომ ორივე ქვეყანა - მოლდავეთიც და რუსეთიც, პასუხისმგებელი იყო აღნიშნულ ქმედებებზე.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაასკვნა, რომ მოლდოვის რესპუბლიკამ, შეასრულა რა თავისი ვალდებულებები განმცხადებლის მიმართ - განახორციელა აპლიკანტის მხარდამჭერი მნიშვნელოვანი სამართლებრივი და დიპლომატიური ქმედებები, არ დაურღვევია მომჩივნის კონვენციით გათვალისწინებული უფლებები. იმავე დროს, მხედველობაში მიიღო რა ის გარემოება, რომ იმ დროს რუსეთი ახორციელებდა ეფექტურ კონტროლს „დმრ-ზე“, ევროსასამართლომ დაასკვნა, რომ რუსეთი პასუხისმგებელი იყო კონვენციით გათვალისწინებული უფლებების დარღვევებისთვის. აპლიკანტის არგუმენტთან დაკავშირებით, რომ მას არ მიეწოდა დაკავების პირობების შესაბამისი სამედიცინო დახმარება, სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ რუსეთმა დაარღვია კონვენციის მე-3 მუხლი (არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვა). კერძოდ, ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ ექიმებმა განმცხადებლის მდგომარეობა გაუარესებულად მიიჩნიეს და მის სამკურნალოდ აუცილებელი იყო სპეციალისტთა ჩარევა და შესაბამისი ტექნიკური აღჭურვილობა. თუმცა, „დმრ-ის“ ხელისუფლების წარმომადგენლებმა არა მხოლოდ უარი თქვეს მომჩივნის მკურნალობისთვის მის სამოქალაქო საავადმყოფოში მთავსებაზე, არამედ დააყენეს იგი უფრო დიდი ტანჯვისა და მისი ჯანმრთელობისთვის უფრო სერიოზული საფრთხის წინაშე - გადასცეს რა აპლიკანტი ჩვეულებრივ ციხეს. უდავო იყო, რომ განმცხადებელი განიცდიდა მძიმე ასთმურ შეტევებს.

ევროსასამართლო ასევე გაოცებული იყო იმ ფაქტით, რომ განმცხადებლის ავადმყოფობის სიმძიმის მიუხედავად, სამართლწარმოების მომლოდინე პირი არ გადაიყვანეს მსჯავრდებულ პირთა სამოქალაქო საავადმყოფოში. იმის გამო, რომ სტრასბურგის სასამართლოს არ ჰქონდა სათანადო ახსნა-განმარტება შესაბამისი მკურნალობის შეთავაზებაზე უარის თქმის შესახებ, ევროსასამართლომ დაადგინა, რომ განმცხადებელს არ მიეწოდა სათანადო სამედიცინო დახმარება. გარდა ამისა, ევროსასამართლოსთვის ხელმისაწვდომი

მონაცემების მიხედვით, სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ აპლიკანტის პატიმრობის პირობები წარმოადგენდა არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობას კონვენციის მე-3 მუხლის ფარგლებში.

Martzaklis and Others v. Greece

(განაცხადი N20378/13; 09/07/2015)

ეს საქმე ეხებოდა აივ-ინფექციით დაავადებული პირების პატიმრობის პირობებს კორინთის ციხის საავადმყოფოს ფსიქიატრიულ ნაწილში. კერძოდ, განმცხადებლები ჩიოდნენ მათ „მოთავსებას“ საავადმყოფოს ცალკეულ ნაწილში და ხელისუფლების წარმომადგენლების მიერ პატიმრობის პირობების მათ ჯანმრთელობის მდგომარეობასთან შეუსაბამობას. მომჩივნები დავობდნენ, რომ მათ არ ჰქონდათ ეფექტურ შიდასახელმწიფოებრივ სამართლებრივ საშუალებაზე წვდომის უფლება, რომლითაც გაასაჩივრებდნენ მათი პატიმრობის პირობებსა და მკურნალობას ციხის საავადმყოფოში.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი (არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვა) ცალკე და მე-14 მუხლთან ერთობლიობაში (დისკრიმინაციის აკრძალვა). ევროსასამართლომ დაადგინა პატიმართა არაადეკვატური ფიზიკური პირობები და შეუსაბამო სანიტარული ობიექტები ციხის საავადმყოფოში, ასევე სათანადო სამედიცინო მკურნალობის წარმართვაში არსებული დარღვევები. ამასთან, სტრასბურგის სასამართლომ მიიჩნია, რომ აპლიკანტები დაექვემდებარნენ ფიზიკურ და ფსიქიკურ ტანჯვას, რომელიც ცდებოდა პატიმრობისთვის დამახასიათებელ დასჯას. ასევე, განმცხადებლების გამოცალკავება არ იყო ობიექტურად და გონივრულად გამართლებული. ამასთან დაკავშირებით, სტრასბურგის სასამართლო ვერ გააკრიტიკებს ხელისუფლების თავდაპირველ განზრახვას – აივ-ინფექციით დაავადებული პირების გადაყვანას ციხის საავადმყოფოში, ხელსაყრელი პირობებისა და მათ სამედიცინო მკურნალობაზე რეგულარული ზედამხედველობის მიზნით. რადგანაც ზემოთ აღნიშნული ფაქტი არ განხორციელებულა, შესაბამისად, ციხის საავადმყოფოში განმცხადებლები გამიზნულად არ გადაუყვანიათ. სტრასბურგის სასამართლომ დამატებით აღნიშნა, რომ განმცხადებლებს არ ჰქონდათ მათ ხელთ არსებული სამართლებრივი დაცვის საშუალება, რომელიც უზრუნველყოფდა ეფექტური საჩივრის შეტანას ციხის საავადმყოფოში აპლიკანტის პატიმრობის პირობების შესახებ ან პირობითი მსჯავრის გამოყენებას. აქედან გამომდინარე, ევროსასამართლომ დაადგინა, რომ სამართლებრივი დაცვის შიდასახელმწიფოებრივი საშუალებები არ აკმაყოფილებდა კონვენციის მე-13

მუხლის (სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალების უფლება) მოთხოვნებს და შესაბამისად, არღვევდა მას.

Helhal v. France

(განაცხადი N10401/12; 19/02/2015)

იმის გამო, რომ პატიმარს ჰქონდა ქვედა კიდურების დამბლა და იტანჯებოდა შარდისა და ფეკალური მასების შეუკავებლობით, იგი ჩიოდა, რომ მძიმე უნარშეზღუდულობის გამო, მისი გახანგრძლივებული დაკავება წარმოადგენდა არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობას.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი (არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის აკრძალვა). სტრასბურგის სასამართლომ აღნიშნა, რომ აპლიკანტის გახანგრძლივებული პატიმრობა თავისთავად არ წარმოადგენდა არაადამიანურ ან ღირსების შემლახველ მოპყრობას მის შეზღუდულ შესაძლებლობასთან მიმართებით, მაგრამ არასათანადო ფიზიკური რეაბილიტაცია და საპატიმრო დაწესებულების უნარშეზღუდულობასთან შეუსაბამობა იწვევდა კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას. სტრასბურგის სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ მოცემულ საქმეში, თანამესაკნის მიერ აპლიკანტისთვის დაბანაში დახმარების გაწევა შეზღუდული გადაადგილების მქონე პირთათვის ადაპტირებული საშხაპების არარსებობის პირობებში, არ უზრუნველყოფდა სახელმწიფოს ვალდებულებების შესრულებას ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების კონტექსტში.

Contrada (no.2) v. Italy

(განაცხადი N7509/08; 11/02/2014)

83 წლის განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ მისი ასაკისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით, ხელისუფლების წარმომადგენლების განმეორებითი უარი მის თხოვნაზე - სასჯელის აღსრულების გადავადებასთან ან სასჯელის შინაპატიმრობად შეცვლასთან დაკავშირებით - წარმოადგენდა არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობას.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი (არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობა). კერძოდ, სტრასბურგის სასამართლომ უდავოდ მიიჩნია, რომ განმცხადებელს ჰქონდა რიგი სერიოზული და რთული სამედიცინო დარღვევები. ამასთან, ყველა

სამედიცინო დასკვნა და ცნობა, რომელიც სამართალწარმოებების მიმდინარეობისას წარედგინა კომპეტენტურ ორგანოებს თანმიმდევრულად და ცალსახად ადგენდა, რომ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა შეუთავსებელი იყო მომჩივნის საპატიმრო რეჟიმთან. ევროსასამართლომ შემდგომში აღნიშნა, რომ აპლიკანტის თხოვნა შინაპატიმრობასთან დაკავშირებით არ ყოფილა 2008 წლამდე გამოყენებული, ანუ მომჩივნის მიერ მისი პირველი თხოვნიდან 9 თვის განმავლობაში. ხელისუფლების წარმომადგენლებისთვის ხელმისაწვდომი სამედიცინო ცნობების მიხედვით, შინაპატიმრობიდან გასული დროისა და განმცხადებლის თხოვნის დაუკმაყოფილებლობის შესახებ გადაწყვეტილების მიზეზებთან დაკავშირებით, სტრასბურგის სასამართლომ დაასკვნა, რომ აპლიკანტის გახანგრძლივებული პატიმრობა შეუსაბამო იყო არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვასთან მიმართებით კონვენციის მე-3 მუხლიდან გამომდინარე.

სიცოცხლის უფლება და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია

სიცოცხლის უფლება

Giuliani and Gaggio c. Italy

დიდი პალატის გადაწყვეტილება

(განაცხადი N23458/02; 24.03.2011)

წინამდებარე საქმე ეხებოდა ახალგაზრდა მამაკაცის გარდაცვალებას, რომელიც მონაწილეობას იღებდა გლობალიზაციის საწინააღმდეგო საპროტესტო აქციაში 2001 წელს გენუაში, დიდი რვიანის სამიტის მიმდინარეობისას.

ევროსასამართლომ ლეტალური ძალის გამოყენებასთან მიმართებით კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევა არ დაადგინა, მიიჩნია რა, რომ იგი არ იყო გადაჭარბებული ან არაპროპორციული, ვინაიდან მისი გამოყენება აბსოლუტურად აუცილებელი იყო ნებისმიერი პირის დასაცავად უკანონო ძალადობისაგან. ასევე, სტრასბურგის სასამართლომ კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევა არ დაადგინა ლეტალური ძალის გამოყენების მომწესრიგებელ შიდასახელმწიფოებრივ სამართლებრივ ჩარჩოსთან ან სამიტის მიმდინარეობის დროს სამართალდამცავი ორგანოებისათვის მიცემულ იარაღთან დაკავშირებით.

ამასთან, ევროსასამართლომ არ დაადგინა კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევა გენუაში გამართული დიდი რვიანის სამიტის წესრიგის კონტროლის დაგეგმვასა და ორგანიზაციასთან მიმართებით. ხელისუფლების ორგანოებს ეკისრებოდათ ვალდებულება, უზრუნველყოთ კანონიერი დემონსტრაციების დროს სიმშვიდის დაცვა და ყველა მოქალაქის უსაფრთხოება. თუმცა, „მათ არ შეეძლოთ ამასთან დაკავშირებით გარანტიების გაცემა. ხელისუფლების ორგანოები გამოსაყენებელ საშუალებებს შორის არჩევანის გაკეთებისას შეფასების ფართო ზღვრით სარგებლობდნენ“. სტრასბურგის სასამართლომ გარდაცვალებასთან დაკავშირებით ეფექტიანი გამოძიების ჩაუტარებლობის საფუძველზე, ევროკონვენციის მე-2 მუხლის დარღვევა არ დაადგინა. ევროსასამართლომ აღნიშნა, რომ მომაკვდინებელი ტყვიის გამოყენების დეტალური გამოძიება, რაც მხარეებს შორის სადავო გახლდათ, არ იყო გადამწყვეტი მნიშვნელობის, რადგან სტრასბურგის სასამართლომ მიიჩნია, რომ ლეტალური ძალის გამოყენება გამართლებული იყო.

Pretty v. the United Kingdom

(განაცხადი N2346/02; 29/04/2002)

მომჩივანი კვდებოდა მოტორონიერონული დაავადებით. აღნიშნული დაავადების განკურნება შეუძლებელია და იგი გავლენას ახდენს ადამიანის კუნთებზე. იმის გათვალისწინებით, რომ დაავადების ბოლო ეტაპი მტანჯველი და ტკივილით აღსავსე იყო, მომჩივანს სურდა, რომ თავად გაეკონტროლებინა თუ როდის და როგორ გარდაიცვლებოდა. დაავადების გამო, მომჩივანს თავად არ შეეძლო თვითმკვლელობის განხორციელება და უნდოდა, რომ მეუღლე დახმარებოდა მას. მიუხედავად იმისა, რომ ინგლისის კანონმდებლობის თანახმად თვითმკვლელობის ჩადენა დანაშაულს არ წარმოადგენდა, თვითმკვლელობაში დახმარება და ხელის შეწყობა დანაშაული იყო. ვინაიდან ხელისუფლების ორგანოებმა არ დააკმაყოფილეს მომჩივნის მოთხოვნა, იგი დავობდა, რომ დახმარების გაწევის შემთხვევაში, მისი მეუღლე სისხლისსამართლებრივი დევნისგან დაცული არ იყო.

ევროსასამართლომ კონვენციის მე-2 მუხლის (სიცოცხლის უფლება) დარღვევა არ დაადგინა, მიიჩნია რა, რომ სიცოცხლის უფლება, მისი ტექსტის დამახინჯების გარეშე, არ შეიძლებოდა იმგვარად ყოფილიყო განმარტებული, რომ მას მოეცვა დიამეტრალურად განსხვავებული უფლება, კერძოდ, სიკვდილის უფლება.

აგრეთვე, სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ კონვენციის მე-3 (წამებისა და არაადამიანური მოპყრობის აკრძალვა) მუხლი არ დარღვეულა. მომჩივნის სურვილის გათვალისწინების შემთხვევაშიც კი, რაც გულისხმობდა მოსალოდნელი ტანჯვის გარეშე სიცოცხლის დასრულების შესაძლებლობას, სახელმწიფოსთვის დაკისრებული პოზიტიური ვალდებულება მოითხოვდა, რომ ქვეყანას დაეწესებინა სანქციები იმგვარი ქმედებების მიმართ, რომელიც მიზნად ისახავდა სიცოცხლის მოსპობას. კონვენციის მე-3 მუხლიდან გამომდინარე, აღნიშნული ვალდებულებისაგან გადახვევა დაუშვებელია.

ევროსასამართლომ საბოლოოდ დაადგინა, რომ კონვენციის მე-8 (პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება), მე-9 (რელიგიის თავისუფლება) და მე-14 (დისკრიმინაციის აკრძალვა) მუხლები არ დარღვეულა.

Koch v. Germany

(განაცხადი N497/09; 19/07/2012)

2004 წელს მომჩივნის მეუღლემ, რომელიც დაავადებული იყო ოთხივე კიდურის დამბლით, უშედეგოდ მიმართა ფარმაცევტული და სამედიცინო პროდუქტების ფედერალურ ინსტიტუტს. აპლიკანტის მეუღლემ აღნიშნულ დაწესებულებას წამლის ლეიტალური დოზის მოპოვების ავტორიზაციისთვის მიმართა, რათა შემდგომში მას სახლში, გერმანიაში, თვითმკვლელობის განხორციელება შესძლებოდა. მომჩივნისა და მისი ცოლის ადმინისტრაციული საჩივარი არ დაკმაყოფილდა. 2005 წლის თებერვალში ისინი გაემგზავრნენ შვეიცარიაში, სადაც მეუღლემ ქმრის დახმარების მეშვეობით თავი მოიკლა. 2005 წლის აპრილში აპლიკანტმა უშედეგოდ შეიტანა საჩივარი იმ ცნობის მოსაპოვებლად, რომ ფედერალური ინსტიტუტის გადაწყვეტილებები უკანონო იყო. მისი საჩივრები ადმინისტრაციული სასამართლოს, სააპელაციო სასამართლოსა და ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დაუშვებლად იქნა ცნობილი. აპლიკანტი ჩიოდა, რომ ეროვნული სასამართლოების უარი, განეხილათ მისი საჩივრის შინაარსი, არღვევდა მომჩივნის პირადი და ოჯახური ცხოვრების უფლებას.

სტრასბურგის სასამართლომ გაითვალისწინა მომჩივანსა და მის მეუღლეს შორის არსებული განსაკუთრებით მჭიდრო ურთიერთობა და ის, რომ აპლიკანტი ჩართული იყო მეუღლის სურვილის განხორციელებაში. ევროსასამართლოს მოსაზრებით, მომჩივანს შეეძლო ემტკიცებინა, რომ მისი მეუღლისთვის წამლის ლეიტალური დოზის მიცემაზე უარის თქმა პირადად შეეხო მას. სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ მოცემულ საქმეში,

გერმანიის სასამართლოების მიერ მომჩივნის საჩივრის არსებითი ნაწილის განხილვაზე უარმა, დაარღვია კონვენციის მე-8 მუხლით გათვალისწინებული (პირადი და ოჯახური ცხოვრების უფლება) მომჩივნის პროცედურული უფლებები. რაც შეეხება მომჩივნის საჩივრის შინაარსს, ევროსასამართლომ მიიჩნია, რომ უპირველეს ყოვლისა საჩივრის არსებითი ნაწილის განხილვა გერმანიის სასამართლოების კომპეტენციას მიეკუთვნებოდა; განსაკუთრებით იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ თვითმკვლელობაში ნებისმიერი სახის დახმარების გაწევის დასაშვებობასთან დაკავშირებით, ევროპის საბჭოს წევრ ქვეყნებს შორის არ არსებობდა ევროპული კონსენსუსი.

Gross v. Switzerland

დიდი პალატის გადაწყვეტილება

(განაცხადი N67810/10; 30/09/2014)

წინამდებარე საქმე ეხებოდა ხანში შესულ ქალბატონს, რომელიც დავობდა, რომ მან თვითმკვლელობის განსახორციელებლად შვეიცარიის ხელისუფლებისაგან ვერ მოიპოვა ნებართვა, წამლის ლეიტალური დოზის მინიჭების თაობაზე. აღნიშნულ ქალბატონს სიცოცხლის დასრულება სურდა, თუმცა იგი სიცოცხლესთან შეუთავსებელი დაავადებით ავად არ იყო. მომჩივანი დავობდა, რომ შვეიცარიის ხელისუფლებამ დაარღვია კონვენციის მე-8 მუხლი (პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება), როდესაც მას უარი უთხრა, თავად განესაზღვრა თუ როდის და რა საშუალებით მოხდებოდა მისი სიცოცხლის დასრულება.

2013 წლის 14 მაისის პალატის გადაწყვეტილებით, ევროსასამართლომ ხმათა უმრავლესობით დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლი (პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება). სახელდობრ, სასამართლომ მიიჩნია, რომ შვეიცარიის კანონმდებლობა არ იყო საკმარისად ცხადი იმასთან დაკავშირებით, თუ როდის იყო დახმარების მეშვეობით თვითმკვლელობის განხორციელება დასაშვები.

შემდგომში, შვეიცარიის მთავრობის მოთხოვნით, საქმე განსახილველად დიდ პალატას გადაეცა.

2014 წლის იანვარში შვეიცარიის მთავრობამ ევროსასამართლოს აცნობა, რომ 2011 წლის ნოემბერში მომჩივანი გარდაიცვალა.

2014 წლის 30 სექტემბრის დიდი პალატის გადაწყვეტილებით, ევროსასამართლომ საჩივარი, ხმათა უმრავლესობით, დაუშვებლად ცნო.

სტრასბურგის სასამართლო მივიდა დასკვნამდე, რომ მომჩივანს სურდა, სასამართლო შეცდომაში შეეყვანა მისი საჩივრის ძირითადი საკითხის თაობაზე. კერძოდ, აპლიკანტმა გაატარა წინასწარი ღონისძიებები, რათა ცნობები მისი გარდაცვალების შესახებ მისი ადვოკატისთვის უცნობი დარჩენილიყო, შესაბამისად, ევროსასამართლოს არ სცოდნოდა ამის თაობაზე. აღნიშნული ფაქტის მიზანი გახლდათ ის, რომ მომჩივანს სურდა თავიდან აერიდებინა სტრასბურგის სასამართლოს მიერ საქმის განხილვის შეწყვეტა. ამრიგად, ევროსასამართლომ დაადგინა, რომ მომჩივნის ქმედება წარმოადგენდა ინდივიდუალური განაცხადის (კონვენციის 35-ე მუხლი მე-3 (ა) და მე-4 პარაგრაფები) უფლების ბოროტად გამოყენებას. წინამდებარე გადაწყვეტილების შედეგად, 2013 წლის 14 მაისის პალატის გადაწყვეტილების მიერ გაკეთებულ დასკვნებს იურიდიული ძალა აღარ ჰქონდა.

Lambert and Others v. France

დიდი პალატის გადაწყვეტილება

(განაცხადი N46043/14; 05/06/2015)

აპლიკანტები არიან დაზარალებულის მშობლები, და და ნახევარძმა. დაზარალებულმა - ვინსენტ ლამბერტმა 2008 წელს ავტოსაგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის დროს მიიღო თავის მძიმე დაზიანება და შედეგად მას ოთხივე კიდურის დამბლა ჰქონდა. აპლიკანტები ასაჩივრებდნენ საფრანგეთის სახელმწიფო საბჭოს მიერ 2014 წლის 24 ივნისს მიღებულ გადაწყვეტილებას. აღნიშნული გადაწყვეტილება ეყრდნობოდა რა სამი ექიმისგან შემდგარი კომიტეტის სამედიცინო დასკვნას, კანონიერად მიიჩნეოდა ვინსენტ ლამბერტის ექიმის მიერ 2014 წლის 11 იანვარს მიღებულ გადაწყვეტილებას - შეეწყვიტა მისთვის ხელოვნური კვებისა და ჰიდრატაციის მიწოდება. მომჩივნები აცხადებდნენ, რომ ვინსენტ ლამბერტისთვის ხელოვნური კვებისა და ჰიდრატაციის შეწყვეტა ეწინააღმდეგებოდა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 მუხლიდან გამომდინარე სახელმწიფოს ვალდებულებებს.

ევროსასამართლომ დაადგინა, რომ სახელმწიფო საბჭოს მიერ 2014 წლის 24 ივნისს მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების შემთხვევაში ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევას ადგილი არ ექნებოდა. კერძოდ, სტრასბურგის სასამართლომ აღნიშნა, რომ სიცოცხლის შემანარჩუნებელი მეკურნალობის შეწყვეტის თაობაზე ევროპის საბჭოს წევრ ქვეყნებს შორის ევროპული კონსენსუსი არ არსებობდა. ამ სფეროში სახელმწიფოები შეფასების ფართო ზღვრით სარგებლობდნენ. ევროსასამართლომ მიიჩნია, რომ სახელმწიფო საბჭოს მიერ განმარტებული 2005

წლის 22 აპრილის კანონი წარმოადგენდა სამართლებრივ ჩარჩოს, რომელიც საკმარისად ნათელი იყო, რათა ზუსტად მოეწესრიგებინა წინამდებარე საქმის მსგავს სიტუაციაში მყოფი ექიმების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები.

სტრასბურგის სასამართლოსთვის კარგად იყო ცნობილი მოცემული საქმის მიერ წამოჭრილი საკითხის მნიშვნელობა, რომელიც შეეხებოდა განსაკუთრებით რთულ სამედიცინო, სამართლებრივ და ეთიკურ საკითხებს. საქმის გარემოებების გათვალისწინებით, ევროსასამართლო აცხადებდა, რომ პირველ რიგში, ეროვნულ ხელისუფლებას უნდა დაედგინა მეურნეობის შეწყვეტის თაობაზე გადაწყვეტილების შესაბამისობა ეროვნულ კანონმდებლობასა და კონვენციასთან. სტრასბურგის სასამართლოს როლს წარმოადგენდა სახელმწიფოს მიერ, კონვენციის მე-2 მუხლიდან გამომდინარე, პოზიტიური ვალდებულებების შესრულების შემოწმება.

სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ სახელმწიფო საბჭოს მიერ განმარტებული, ეროვნული კანონმდებლობით დადგენილი საკანონმდებლო ჩარჩო და გადაწყვეტილების მიღების პროცესი თავსებადი იყო მე-2 მუხლის მოთხოვნებთან. ევროსასამართლო მივიდა დასკვნამდე, რომ წინამდებარე საქმე სიღრმისეულად იქნა გამოკვლეული, რა პროცესშიც გამოთქმული იყო სხვადასხვა მოსაზრება და ყველა ასპექტი მხედველობაში იქნა მიღებული. ყოველივე ეს განხორციელდა როგორც ექსპერტის მიერ დეტალური სამედიცინო დასკვნის, ისე მაღალი რანგის სამედიცინო და ეთიკური ორგანოების წარმომადგენლების ზოგადი შეფასებების ფონზე.

მოსაზრებები და ინფორმაცია

პოლიტიკური პარტიები და გაერთიანებები

Vona v. Hungary

(განაცხადი N35943/10; 09/07/2013)

განმცხადებელი იყო უნგრეთის დაცვის ასოციაციის თავმჯდომარე. აღნიშნული ასოციაცია დაარსდა 2007 წელს პოლიტიკური პარტიის წევრების მიერ, რომელსაც ერქვა მოძრაობა უკეთესი უნგრეთისთვის, ძირითადი მიზნით - შეენარჩუნებინა უნგრული ტრადიციები და კულტურა. ასოციაციამ, თავის მხრივ, დააფუძნა უნგრეთის დაცვის მოძრაობა წესდებით განსაზღვრული მიზნით, რომ „დაეცვა უნგრეთი, იყო რა იგი დაუცველი ფიზიკურად, სულიერად და

ინტელექტუალურად“. სასამართლოს გადაწყვეტილებით, რომელიც საბოლოოდ ძალაში შევიდა 2009 წლის დეკემბერში, ასოციაცია დაიშალა მთელი უნგრეთის მასშტაბით გამართული შეკრებებისა და მანიფესტაციების გამო, რომელიც ორგანიზებული იყო აღნიშნული მოძრაობის მიერ. მათ შორის, ბოშური ფართომასშტაბიანი მოსახლეობით დასახლებულ სოფლებში, იმ მიზნით, რომ დაეცვათ ეთნიკური უნგრელები ე.წ. ბოშური კრიმინალისგან.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ არ დაადგინა კონვენციის მე-11 მუხლის დარღვევა. სტრასბურგის სასამართლომ დაიმოწმა, რომ პოლიტიკური პარტიების მიმართ, სახელმწიფო უფლებამოსილი იყო საჭიროების შემთხვევაში, მიეღო პრევენციული ზომები, რათა დაეცვა დემოკრატია ზემოთ ხსენებული ორგანიზაციებისგან. კერძოდ, თუ ჭეშმარიტად იმწუთიერი საფრთხე სხვათა უფლებების ხელყოფისა არღვევდა იმ ფუნდამენტურ ღირებულებებს, რომელიც დემოკრატიული საზოგადოების საფუძველს წარმოადგენდა. მოძრაობამ, რომელიც შექმნილი იყო უნგრეთის დაცვის ასოციაციის მიერ, სათავე დაუდო დემონსტრაციებს რასობრივი დაყოფის გზავნილით, რაც უნგრეთის ნაცისტური მოძრაობის (ისრის ჯვარი) მსგავსი იყო. ეს მოძრაობა აშინებდა ბოშურ უმცირესობას. ასეთი გასამხედროებული მსვლელობები გასცდა კონვენციით დაცული იდეის უბრალო გამოსატყულებას და მიიღო ორგანიზებული აქტივისტების საშიში ჯგუფების სახე. შესაბამისად, ერთადერთი გზა მოძრაობიდან მომდინარე საფრთხის აღმოსაფხვრელად იყო ასოციაციის მიერ უზრუნველყოფილი ორგანიზაციული სარეზერვო ნაწილის ჩამოშორება.

რელიგიური სიმბოლოები და ჩაცმულობა

Eweida and Chaplin v. the United Kingdom

(განაცხადი N48420/10; 59842/10; 51671/10; 36516/10; 15/01/2013)

განმცხადებლები - ბრიტანეთის ავიახაზების თანამშრომელი და გერიატრიის მედლა - ქრისტიანული რელიგიის მიმდევრები იყვნენ. ისინი დავობდნენ, რომ მათმა დამსაქმებლებმა შეზღუდვები დაუწესეს აპლიკანტების მიერ ქრისტიანული ჯვრების კისერზე ღიად ტარებას სამსახურში ყოფნის დროს. მომჩივნები აცხადებდნენ, რომ ეროვნულმა კანონმდებლობამ ვერ უზრუნველყო მათი რელიგიის გამოხატვის უფლების ადეკვატურად დაცვა.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-9 მუხლი (რელიგიის თავისუფლება) პირველ აპლიკანტთან მიმართებით და მეორე განმცხადებელთან დაკავშირებით არ დარღვეულა

კონვენციის მე-9 მუხლი ცალკე ან მე-14 მუხლთან (დისკრიმინაციის აკრძალვა) ერთობლიობაში.

სტრასბურგის სასამართლომ არ გაითვალისწინა ის ფაქტი, რომ სამსახურში, რელიგიური ტანისამოსისა და სიმბოლოების ტარების ბრიტანული კანონმდებლობით ცხადად დაურეგულირებლობა, თავისთავად ნიშნავდა იმას, რომ რელიგიის გაცხადების უფლება დაირღვა. აღნიშნული საკითხები, განმცხადებლების საჩივრებთან მიმართებით განხილულ იქნა შიდასახელმწიფოებრივი სასამართლოების მიერ დისკრიმინაციის კონტექსტში.

პირველი აპლიკანტის შემთხვევაში ევროსასამართლომ დაადგინა, რომ სასწორის ერთ მხარეს იყო განმცხადებლის სურვილი - გამოეხატა თავისი რწმენა, ხოლო სასწორის მეორე მხარეს - დამქირავებლის სურვილი - წარმოედგინა საქმიანობის გარკვეული იმიჯი. მიუხედავად იმისა, რომ ეს მიზანი იყო უდავოდ ლეგიტიმური, შიდა სასამართლოები მას ანიჭებდნენ ძალიან დიდ მნიშვნელობას.

რაც შეეხება მეორე მომჩივანს, მისთვის ინტერესთა ბალანსის კუთხით უფრო მეტ მნიშვნელობას წარმოადგენდა ქრისტიანული რწმენის დამადასტურებელი ნიშნის - ჯვრის საჯაროდ ტარება სამსახურში. თუმცა, განმცხადებლისთვის ჯვრის მოხსნის მოთხოვნის მიზეზს წარმოადგენდა, მედლის ჯანმრთელობის დაცვა და უსაფრთხოება, რომელიც არსებითად უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე ის სიკეთე, რომელიც გამოიყენებოდა პირველი განმცხადებლის მიმართ. საავადმყოფოს მენეჯერები შესაბამისად იყვნენ ვალდებული მიეღოთ გადაწყვეტილება საავადმყოფოს უსაფრთხოების შესახებ.

Ebrahimian v. France

(განაცხადი N64846/11; 26/112015)

აღნიშნული საქმე ეხებოდა საავადმყოფოს სოციალური მუშაკის შრომითი ხელშეკრულების განახლებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილებას, რადგან იგი არ დაემორჩილა მუსულმანური პირბადის ტარების შეზღუდვას. აპლიკანტი დავობდა, რომ გადაწყვეტილება მისი, როგორც სოციალური მუშაკის შრომითი ხელშეკრულების განუახლებლობის შესახებ, არღვევდა მომჩივნის რელიგიის გამოხატვის თავისუფლებას.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ არ დარღვეულა კონვენციის მე-8 მუხლი (პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება). სტრასბურგის სასამართლომ დაასკვნა, რომ საფრანგეთის

ხელისუფლებამ არ გადააჭარბა მათი შეფასების ზღვარს - განმცხადებლის რელიგიური რწმენის აღმსარებლობის გაცხადებისგან თავის შეკავების ვალდებულების ურთიერთშეჯერებასთან დაკავშირებით და გადაწყვიტა უპირატესობა მიენიჭებინა სახელმწიფოს ნეიტრალურობისა და მიუკერძოებლობის მოთხოვნისთვის. კერძოდ, სტრასბურგის სასამართლომ აღნიშნა, რომ პირბადის ტარება საფრანგეთის ხელისუფლების მიერ მიიჩნეოდა, როგორც აღმსარებლობის მოჩვენებით გამოვლინებად, რომელიც შეუთავსებელი იყო საჯარო მოხელეების ფუნქციებისთვის დამახასიათებელი ნეიტრალიტეტის მოთხოვნასთან. აპლიკანტს დაევალა სეკულარიზმის პრინციპის დაცვა საფრანგეთის კონსტიტუციის 1-ლი მუხლის მნიშვნელობის ფარგლებში და ამ პრინციპიდან მომდინარე ნეიტრალიტეტის მოთხოვნა. შიდა სასამართლოების მიხედვით, აუცილებელი იყო ქვეყნის სეკულარული ხასიათის განმტკიცება და შესაბამისად, საავადმყოფოს პაციენტების დაცვა ნებისმიერი ზეგავლენისგან ან არაობიექტურობის რისკისგან, მათი აღმსარებლობის თავისუფლების არსიდან გამომდინარე. სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის აუცილებლობა - რაც გულისხმობს, ყველა ადამიანის რწმენის პატივისცემას - წარმოადგენდა წინამდებარე გადაწყვეტილების საფუძველს.

S.A.S. v. France

(განაცხადი N43835/11; 26/06/2014)

ეს საქმე შეეხებოდა საფრანგეთის მუსულმანი მოქალაქის საჩივარს, რომელსაც აკრძალა სრული პირისახის დამფარავი პირბადის საჯაროდ ტარება მას შემდეგ, რაც ძალაში შევიდა 2011 წლის 11 აპრილის კანონი - საჯარო ადგილებში პირისახის დაფარვის აკრძალვის შესახებ. აპლიკანტი იყო მორწმუნე მუსლიმი და თავის საჩივარში მან განაცხადა, რომ იგი ატარებდა თავსაბურავსა და პირბადეს რელიგიური აღმსარებლობის, კულტურისა და პირადი რწმენის საფუძველზე. მომჩივანმა ასევე ხაზი გაუსვა, რომ არც მის მეუღლეს და არც ოჯახის რომელიმე სხვა წევრს არ დაუძალებია მისთვის ასე ჩაცმა. განმცხადებელმა დაამატა, რომ იგი ატარებდა თავსაბურავს საჯარო და კერძო სივრცეში, მაგრამ არა სისტემატურად. შესაბამისად, იგი თანახმა იყო გარკვეულ შემთხვევებში არ მოესხა თავსაბურავი, თუმცა სურდა, რომ საკუთარი სურვილის მიხედვით გამოეყენებინა ის. და ბოლოს, მომჩივნის მიზანი იყო არა სხვების გაღიზიანება, არამედ შინაგანი სიმშვიდის შენარჩუნება.

სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ არ დარღვეულა კონვენციის მე-8 მუხლი (პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება) და მე-9 მუხლი (აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება). ევროსასამართლომ ხაზგასმით

აღნიშნა, რომ „თანაცხოვრების“ პირობების პატივისცემა წარმოადგენდა წინამდებარე საშუალების კანონიერ მიზანს. თუმცა, სახელმწიფოს ჰქონდა მოქმედების ფართო არეალი („შეფასების ფართო ზღვარი“) ამ ზოგად პოლიტიკურ საკითხთან მიმართებით, რომელიც მნიშვნელოვან აზრთა სხვადასხვაობას იწვევდა. შესაბამისად, 2010 წლის 11 ოქტომბრის კანონით დაწესებული აკრძალვა არ არღვევდა კონვენციას. სტრასბურგის სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ ადგილი არ ჰქონია კონვენციის მე-14 მუხლის დარღვევას (დისკრიმინაციის აკრძალვა) მე-8 და მე-9 მუხლებთან ერთობლიობაში: 2010 წლის 11 ოქტომბრის კანონით დადგენილ აკრძალვას, მართლაც, ჰქონდა კონკრეტული უარყოფითი ზეგავლენა მუსლიმი ქალების მდგომარეობაზე, რომლებსაც რელიგიური მიზეზების გამო უნდოდათ ეტარებინათ სრული პირისახის დამფარავი პირბადე საჯაროდ, თუმცა ასეთ ღონისძიებას ჰქონდა ობიექტური და გონივრული გამართლება.

თავისუფალი არჩევნების უფლება

Shindler v. the United Kingdom

(განაცხადი N19840/09; 07/05/2013)

წინამდებარე საქმე ეხებოდა ეროვნებით ბრიტანელი პირის მიერ ხმის მიცემის უფლების საკითხს, რომელიც 1982 წლიდან არ იყო დიდი ბრიტანეთის რეზიდენტი. კერძოდ, საარჩევნო კანონმდებლობით დაირღვა თუ არა აღნიშნული პირის საარჩევნო უფლება, რომლის საფუძველზეც დიდი ბრიტანეთის არარეზიდენტ პირებს ერთმოდან ხმის მიცემის უფლება 15 წელზე მეტი ვადით.

ევროკონვენციის 1-ლი დამატებითი ოქმის მე-3 მუხლის დარღვევა არ დადგენილა: ევროსასამართლომ მხედველობაში მიიღო დიდი ბრიტანეთის ხელისუფლების მოქმედების არეალი („შეფასების ზღვარი“) საპარლამენტო არჩევნების რეგულირების კუთხით, გადაწყვიტა რა, რომ საარჩევნო სამართალი განსაკუთრებით არ ზღუდავდა აპლიკანტის თავისუფალი არჩევნების უფლებას.

პროფკავშირების უფლებები

National Union of Rail, Maritime and Transport Workers v. the United Kingdom

(განაცხადი N31045/10; 08/04/2014)

განმცხადებელს წარმოადგენდა პროფკავშირი, რომელშიც გაერთიანებული იყო დიდი ბრიტანეთის სატრანსპორტო ინდუსტრიის სხვადასხვა სექტორში დასაქმებული 80,000-ზე მეტი წევრი. განმცხადებელი ჩიოდა გაფიცვის უფლებასთან დაკავშირებით არსებული ნორმატიული შეზღუდვების შესახებ, კერძოდ, მეორადი გაფიცვის აკრძალვასთან დაკავშირებით (გაფიცვა იმ სხვა დამსაქმებლის წინააღმდეგ, რომელიც ცდილობს ირიბი ზეწოლა განახორციელოს საწარმოო დავის მონაწილე დამსაქმებელზე).

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ არ დარღვეულა კონვენციის მე-11 მუხლი, დაასკვნა, რომ აპლიკანტის მიერ მოხმობილ ფაქტობრივ გარემოებებში არაფერი იყო ისეთი, რაც გამოაშკარავებდა მეორადი გაფიცვის ზოგადი აკრძალვის არაპროპორციულ გავლენას განმცხადებლის უფლებებზე, კონვენციის მე-11 მუხლიდან გამომდინარე. შესაბამისად, დიდი ბრიტანეთი მისი მოქმედების საზღვრებში რჩებოდა.

Sindicatul „Pastorul cel Bun“ v. Romania

დიდი პალატის გადაწყვეტილება

(განაცხადი N2330/09; 09/07/2013)

წინამდებარე საქმე ეხებოდა რუმინეთის მართლმადიდებლური ეკლესიის მღვდლების მიერ ჩამოყალიბებული პროფკავშირის რეგისტრაციის განაცხადზე უარის თქმას რუმინეთის სახელმწიფოს მიერ.

ევროსასამართლომ დაადგინა, რომ ადგილი არ ჰქონია კონვენციის მე-11 მუხლის (შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლება) დარღვევას. სტრასბურგის სასამართლოს თავისი პალატის გადაწყვეტილებით დადგენილი ჰქონდა, რომ დოლჯის ოლქის სასამართლოს საკმარისი მნიშვნელობა არ მიუნიჭებია ყველა შესაბამისი არგუმენტისთვის და გაამართლა პროფკავშირის რეგისტრაციაზე უარის თქმა წმინდა რელიგიური ნიადაგის გამო. ეკლესიის წესდების დებულებებზე დაყრდნობით, დიდი პალატის მოსაზრებით, საოლქო სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანისას ჩვეულებრივ იყენებდა რელიგიური ორგანიზაციების ავტონომიურობის პრინციპს. მთავარეპისკოპოსის ნებართვის მიღების მოთხოვნის შეუსრულებლობის გამო სასამართლოს მიერ კავშირის

რეგისტრაციაზე უარის თქმა, პირდაპირი შედეგი იყო რელიგიური ორგანიზაციის უფლებისა - განხორციელებინა საკუთარი საორგანიზაციო ღონისძიებები და ემოქმედა საკუთარი წესდების დებულებების შესაბამისად.

სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ კავშირის რეგისტრაციის განაცხადზე უარის თქმით, სახელმწიფომ უბრალოდ თავიდან აირიდა ჩართულიყო რუმინეთის მართლმადიდებლური ეკლესიის ორგანიზებასა და ფუნქციონირებაში, რითაც განხორციელა თავისი მოვალეობა - კონფესიური ნეიტრალიტეტის დაცვის შესახებ, კონვენციის მე-9 მუხლის საფუძველზე.

შრომითი დაგები

სამსახურთან დაკავშირებული უფლებები

Naidin v. Romania

(განაცხადი N38162/07; 21/10/2014)

წინამდებარე საქმე ეხებოდა რუმინეთის პოლიტიკური პოლიციის ერთჯერადი ინფორმატორის დასაქმების შეზღუდვას საჯარო სამსახურში. განმცხადებელი ჩიოდა, რომ მას უარი განუცხადეს საჯარო სამსახურში აღდგენაზე, რომელიც უკავშირდებოდა რეზერვში მყოფი პრეფექტების მოადგილეების პოზიციებს. აღნიშნული ფაქტი გამოწვეული იყო კომუნისტური რეჟიმის დროს, აპლიკანტის პოლიტიკურ პოლიციასთან თანამშრომლობის გამო. მომჩივანი დავობდა, რომ წინამდებარე გარემოება წარმოადგენდა ჩარევას მის პირად ცხოვრებაში და აცხადებდა, რომ იგი იყო დისკრიმინაციის მსხვერპლი საჯარო სექტორში დასაქმების მხრივ.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ არ დარღვეულა კონვენციის მე-8 მუხლი (პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება) მე-14 მუხლთან ერთობლიობაში (დისკრიმინაციის აკრძალვა). რუმინეთის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების გათვალისწინებით, პოლიტიკური პოლიციის ყოფილ თანამშრომლებს ეზღუდებოდათ საჯარო სექტორში დასაქმება, რომელიც ეფუძნებოდა ყველა იმდროინდელი საჯარო მოხელის ერთგულებას კომუნისტური რეჟიმისადმი. სტრასბურგის სასამართლომ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ სახელმწიფოებს აქვთ ლეგიტიმური ინტერესი დაარეგულირონ დასაქმების პირობები საჯარო სამსახურში. ევროსასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ დემოკრატიული

სახელმწიფოს კანონიერი ინტერესი მოითხოვს საჯარო მოხელეთა ერთგულებას კონსტიტუციური პრინციპებისადმი, რომელიც სახელმწიფოს საფუძველს ქმნის.

Paulet v. the United Kingdom

(განაცხადი N6219/08; 13/05/2014)

აღნიშნული საქმე ეხებოდა აპლიკანტისთვის ხელფასის მიღების უფლების ჩამორთმევას მას შემდეგ, რაც იგი დასაქმდა ყალბი პასპორტით. განმცხადებელი ჩიოდა, რომ კონფისკაციის ბრძანება მის წინააღმდეგ არაპროპორციული იყო, რადგან იგი იწვევდა თითქმის ოთხ წელზე მეტი ხნის განმავლობაში გაწეული პატიოსანი მუშაობის შედეგად დაგროვილი მთლიანი დანაზოგის კონფისკაციას. ამასთან, აღნიშნული სასჯელი არაფრით განსხვავდებოდა სისხლისსამართლებრივი უფრო მძიმე დანაშაულების - ნარკოტიკებით უკანონო ვაჭრობისა და ორგანიზებული დანაშაულის - დროს გამოყენებული სანქციებისგან.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლი (საკუთრების დაცვა), დაასკვნა, რომ დიდი ბრიტანეთის სასამართლოების ფარგლები აპლიკანტის საქმის გადასინჯვასთან დაკავშირებით ძალიან ვიწრო იყო. ევროსასამართლომ დაადგინა, რომ მომჩივნის მიმართ არსებული კონფისკაციის ბრძანება ემსახურებოდა საჯარო ინტერესს, განმცხადებლის მიერ კონვენციით გათვალისწინებული თავისი ქონების მშვიდობიანი სარგებლობის უფლებასთან ბალანსის დაცვის გარეშე.

Ebrahimian v. France

(განაცხადი N64846/11; 26/11/2015)

წინამდებარე საქმე შეეხებოდა საავადმყოფოს სოციალური მუშაკისთვის შრომითი ხელშეკრულების განახლებაზე უარის თქმას მუსულმანური პირბადის ტარების გამო. განმცხადებელი დავობდა, რომ გადაწყვეტილება მასთან, როგორც სოციალურ მუშაკთან შრომითი კონტრაქტის განუახლებლობის თაობაზე არღვევდა მომჩივნის რელიგიის გამოხატვის თავისუფლებას.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ არ დარღვეულა კონვენციის მე-8 მუხლი (პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება), დაასკვნა რა, რომ საფრანგეთის ხელისუფლებას არ გადაუმეტებია იმ

შეფასების ზღვრის ფარგლებითვის. აღნიშნული გარემოება დაკავშირებული იყო განმცხადებლის რელიგიური მრწამსის შეჯერების შეუძლებლობასთან მისი აღმსარებლობის გამოხატვისგან თავის შეკავების ვალდებულებასთან მიმართებით და სახელმწიფოს ნეიტრალურობისა და მიუკერძოებლობის მოთხოვნისთვის უპირატესობის მინიჭებასთან.

ევროსასამართლომ აღნიშნა, რომ პირბადის ტარება ხელისუფლების მიერ მიიჩნეოდა, როგორც რელიგიური მრწამსის საგანგებო გამოვლინება, რომელიც შეუთავსებელი იყო საჯარო მოხელეების მიერ თავიანთი ფუნქციების განხორციელებისას დაკისრებული ნეიტრალიტეტის მოთხოვნასთან. მომჩივანი ვალდებული იყო დაეცვა სეკულარიზმის პრინციპი და მისგან გამომდინარე ნეიტრალიტეტის მოთხოვნა საფრანგეთის კონსტიტუციის 1-ლი მუხლის მნიშვნელობის ფარგლებში. ეროვნული სასამართლოების მიხედვით, საჭირო იყო სახელმწიფოს საერო ხასიათის განმტკიცება და, შესაბამისად, საავადმყოფოს პაციენტების დაცვა აღმსარებლობის თავისუფლების სახელით გამოვლენილი ნებისმიერი სახის ზეგავლენის ან არაობიექტურობის რისკისგან. აღნიშნული გადაწყვეტილების მიღების საფუძველი გახდა სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის აუცილებლობა, რაც გულისხმობს ნებისმიერი ადამიანის რელიგიის პატივისცემას.

Gouarre Patte v. Andorra

(განაცხადი N33427/10; 12/01/2016)

წინამდებარე საქმე ეხებოდა იმ ფაქტს, რომ ექიმი აპლიკანტისთვის შეუძლებელი იყო დამატებითი სასჯელის - პროფესიული საქმიანობის სამუდამო აკრძალვა - გადასინჯვა. მომჩივანს მიესაჯა ხუთი წლით თავისუფლების აღკვეთა. კერძოდ: ერთი წელი უნდა გაეტარებინა საპატიმროში, ხოლო დანარჩენი დრო - პირობითი მსჯავრის სახით იმ სქესობრივი ხასიათის სამი დანაშაულის გამო, რომელიც განმცხადებელმა ექიმის მოვალეობების განხორციელების დროს ჩაიდინა. იმ დროს მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, მომჩივანს ასევე მიესაჯა დამატებითი სასჯელი - პროფესიული საქმიანობის სამუდამო აკრძალვა. იგი დავობდა, რომ ანდორის სასამართლოებმა არ გამოიყენეს სისხლის სამართლის კანონმდებლობის უკუძალის პრინციპი ბრალდებულის სასარგებლოდ, რომელიც აღიარებული იყო სისხლის სამართლის ახალი კოდექსის მე-7 მუხლით.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-7 მუხლი (არავითარი სასჯელი კანონის გარეშე). კერძოდ, სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ ანდორის სასამართლოებმა

გამოიყენეს ყველაზე მკაცრი სასჯელი, მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებელი შემდგომში ითვალისწინებდა უფრო რბილ სანქციას უკუძალის გამოყენებით. ისეთი სასჯელის დაწესება, რომელიც იმ დროს მოქმედი სისხლის სამართლის კანონმდებლობის ფარგლებს სცილდებოდა, ანდორის სასამართლოების მიერ კანონის უზენაესობის პრინციპისა და აპლიკანტის უფლების - კანონით გათვალისწინებული სასჯელის დაკისრების - დარღვევას იწვევდა. გარდა ამისა, კონვენციის მე-7 მუხლიდან გამომდინარე, ევროსასამართლოს დასკვნებისა და საქმის გარემოებების მიხედვით, აპლიკანტისთვის არ არსებობდა ხელმისაწვდომი ეფექტური საშუალება, რომელიც უზრუნველყოფდა სისხლის სამართლის ახალი კოდექსის უფრო ხელსაყრელი დებულებების გამოყენებას. სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-13 მუხლიც (სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალების უფლება) მე-7 მუხლთან ერთობლიობაში.

Radu v. the Republic of Moldova

(განაცხადი N50073/07; 15/04/2014)

წინამდებარე საქმე ეხებოდა აპლიკანტის საჩივარს - სახელმწიფო საავადმყოფოს მიერ განმცხადებლის სამედიცინო ინფორმაციის მისი დამსაქმებლისთვის გამჟღავნების თაობაზე. მომჩივანი პოლიციის აკადემიის ლექტორი იყო და 2003 წლის აგვისტოში, ტყუპებზე ორსული, მშობიარობამდე ორი კვირით ადრე მოათავსეს საავადმყოფოში, მუცლის მოშლის რისკის გამო. განმცხადებელმა ბიულეტენი წარადგინა, რომელიც ადასტურებდა მისი სამსახურში არყოფნის მიზეზს. თუმცა, პოლიციის აკადემიამ მოითხოვა დამატებითი ინფორმაცია საავადმყოფოდან მისი ბიულეტენის შესახებ და ჰოსპიტალმა მიაწოდა ამომწურავი ინფორმაცია მომჩივნის ორსულობის, ჯანმრთელობის მდგომარეობისა და გაწეული მკურნალობის შესახებ. აღნიშნული ინფორმაცია ფართოდ გავრცელდა განმცხადებლის სამსახურში და ცოტა ხნის შემდეგ, მომჩივანს მუცელი მოეშალა გადატანილი სტრესის გამო. მისი სარჩელი წარუმატებელი აღმოჩნდა საავადმყოფოსა და პოლიციის აკადემიის წინააღმდეგ. აპლიკანტი კომპენსაციას ითხოვდა პირადი ცხოვრების უფლების დარღვევის გამო.

სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლი (პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლება). ევროსასამართლომ მიიჩნია, რომ აპლიკანტის პირად ცხოვრებაში ჩარევა „არ შეესაბამებოდა კანონს“ კონვენციის მე-8 მუხლის ფარგლებში.

Barbulescu v. Romania

(განაცხადი N61496/08; 12/01/2016)

წინამდებარე საქმე ეხებოდა დამსაქმებლის (კერძო კომპანია) მიერ აპლიკანტის სამსახურიდან გათავისუფლებას, კომპანიის ინტერნეტის სამუშაო საათებში პირადი მიზნებისთვის გამოყენების გამო, რითაც დაირღვა კომპანიის შიდა რეგულაციები. განმცხადებელი დავობდა, რომ დამსაქმებლის გადაწყვეტილება - შეეწყვიტა აპლიკანტისთვის შრომითი ხელშეკრულება - არღვევდა მისი პირადი ცხოვრების უფლებას.

ევროსასამართლომ დაადგინა, რომ არ დარღვეულა კონვენციის მე-8 მუხლი (პირადი და ოჯახური ცხოვრების, საცხოვრისისა და კორესპონდენციის პატივისცემის უფლება). კერძოდ, დაასკვნა, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა დაიცვეს სამართლიანი ბალანსი კონვენციის მე-8 მუხლით გათვალისწინებული მომჩივნის პირადი ცხოვრების, კორესპონდენციის უფლებასა და მისი დამსაქმებლის ინტერესებს შორის. სტრასბურგის სასამართლომ მიიჩნია, რომ აღნიშნული საქმე ეხებოდა აპლიკანტის პირადი ცხოვრებისა და კორესპონდენციის უფლებას. თუმცა, მომჩივნის დამსაქმებლის მიერ აპლიკანტის კომუნიკაციის მონიტორინგი გონივრული იყო დისციპლინარული სამართალწარმოების პროცესის ფარგლებში.

მონობა და იძულებითი შრომა

Chitos v. Greece

(განაცხადი N51637/12; 04/06/2015)

წინამდებარე საქმე ეხებოდა არმიის ოფიცერს, რომელიც იძულებული გახდა სახელმწიფოსთვის გადაეხადა გადასახადი, რათა თავისი სამსახურის დასრულებამდე გადამდგარიყო თანამდებობიდან. ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა ევროსასამართლომ გადაწყვეტილება მიიღო ამ საკითხთან დაკავშირებით.

სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-4 მუხლის მე-2 პარაგრაფი (იძულებითი შრომის აკრძალვა). კერძოდ, ევროსასამართლომ მიიჩნია, რომ სახელმწიფოს სურვილი - დაებრუნებინა არმიისა და სამხედრო სამედიცინო ოფიცრების სწავლებაზე ჩადებული ინვესტიციები და უზრუნველყო თანამშრომელთა ადეკვატური რაოდენობა, ამართლებდა აღნიშნული პირების მიერ შეიარაღებული ძალებიდან გადადგომის სახელმწიფოს მიერ მითითებულ პერიოდში აკრძალვას. ასევე, ასეთი პირების

მიმართ გადასახადის დაკისრებას, რათა დაფარულიყო საარსებო და სასწავლო ხარჯები, რომელიც გამოწვეული იყო თანამშრომელთა რამდენიმეწლიანი სწავლებით, სახელფასო და სოციალური დახმარებების ხარჯებზე დამატებით. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დასძინა, რომ სამხედრო სამედიცინო ოფიცრებს ჰქონდათ ის პრივილეგიები, რომელიც არ იყო ხელმისაწვდომი სამოქალაქო სამედიცინო პირებისთვის, მათი სწავლისა და სპეციალური ტრენინგების დროს. აპლიკანტისთვის სავალდებულო გადასახადის დაწესება, რათა მისი სამსახურის დარჩენილი ვადა „გამოესყიდათ“ 109,527 ევროს ოდენობით, განვადებით გადახდის ყოველგვარი შესაძლებლობის გარეშე, ასევე ის ფაქტი, რომ მას ჰქონდა სააპელაციო საჩივარი წარდგენილი აუდიტორული სამსახურის წინაშე, მიუთითებდა იმას, რომ ხელისუფლებამ ვერ დაიცვა სამართლიანი ბალანსი - განმცხადებლის ინდივიდუალურ უფლებასა და საზოგადოების ინტერესებს შორის.

L.E. v. Greece

(განაცხადი N71545/12; 21/01/2016)

აღნიშნული საქმე ეხებოდა ნიგერიელი მოქალაქის საჩივარს, რომელიც იძულებით იყო პროსტიტუციაში ჩაბმული, საბერძნეთში. ტრეფიკინგის ოფიციალურად აღიარებულ მსხვერპლს, განმცხადებელს, ხელისუფლებისადმი თავისი მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის მიწოდებიდან მაინც დასჭირდა ცხრა თვეზე მეტი, სანამ მართლმსაჯულების სისტემა მიანიჭებდა დაზარალებულის სტატუსს. კერძოდ, მომჩივანმა განაცხადა, რომ საბერძნეთი ვერ ასრულებდა რა კონვენციის მე-4 მუხლიდან (მონობისა და იძულებითი შრომის აკრძალვა) გამომდინარე დაკისრებულ პოზიტიურ ვალდებულებებს, იწვევდა აღნიშნული დებულების დარღვევას.

ევროსასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-4 მუხლი (მონობისა და იძულებითი შრომის აკრძალვა). კერძოდ, სტრასბურგის სასამართლომ დაასკვნა, რომ საქმეზე წინასწარი და შემდგომი გამოძიების ეფექტურობა გარკვეულ ხარვეზებს დაექვემდებარა. ადმინისტრაციულ და სასამართლო წარმოებასთან დაკავშირებით, ევროსასამართლომ ასევე აღნიშნა საბერძნეთის მიერ მისი პროცედურული ვალდებულებების შესრულების მრავალი გადავადება და ნაკლოვანება. ამ შემთხვევაში, სტრასბურგის სასამართლომ ასევე დაასკვნა, რომ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფი (სამართლიანი სასამართლოს უფლება გონივრულ ვადაში), დაადგინა რა, რომ წინამდებარე პროცესების ხანგრძლივობა გაჭიანურებული იყო ერთი ინსტანციის იურისდიქციისთვის და არ აკმაყოფილებდა „გონივრული ვადის“ მოთხოვნას. და

ბოლოს, ევროსასამართლომ მიიჩნია, რომ დაირღვა კონვენციის მე-13 მუხლი (სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალების უფლება) ეროვნულ კანონმდებლობაში სამართლებრივი დაცვის საშუალების არარსებობის გამო, რომლითაც განმცხადებელს შეეძლო აღესრულებინა საკუთარი უფლება - სასამართლო პროცესის გონივრულ ვადაში ჩატარების შესახებ.

Meier v. Switzerland

(განაცხადი N10109/14; 09/02/2016)

წინამდებარე საქმე ეხებოდა პატიმრის მიმართ არსებულ მოთხოვნას, ემუშავა საპენსიო ასაკის მიუხედავად. კერძოდ, განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ დაირღვა მისი უფლება - არ დაქვემდებარებოდა იძულებით ან სავალდებულო შრომას.

ევროსასამართლომ დაადგინა, რომ არ დარღვეულა კონვენციის მე-4 მუხლის მე-2 პარაგრაფი (იძულებითი შრომის აკრძალვა). კერძოდ, სტრასბურგის სასამართლომ აღნიშნა, რომ არ არსებობდა კონსენსუსი ევროპის საბჭოს წევრ ქვეყნებს შორის პატიმრების სავალდებულო სამუშაოს შესახებ, მათი საპენსიო ასაკის მიღწევის შემდეგ. შესაბამისად, ხაზგასმით აღინიშნა, რომ ერთი მხრივ, შვეიცარიის ხელისუფლება სარგებლობდა შეფასების ფართო ზღვრით და, მეორე მხრივ, არ არსებობდა კონვენციის მე-4 მუხლიდან გამომდინარე აბსოლუტური აკრძალვა. განმცხადებლის მიერ პატიმრობის პერიოდში განხორციელებული იძულებითი შრომა შეიძლებოდა მიხნეულიყო „საპატიმროში ყოფნის დროს შესასრულებელ ჩვეულებრივ სამუშაოდ“ კონვენციის მე-4 მუხლის მიზნებიდან გამომდინარე. შესაბამისად, აღნიშნული ფაქტი არ წარმოადგენდა „იძულებით ან სავალდებულო შრომას“ წინამდებარე მუხლის ფარგლებში.

დაბეგვრა

Bernh Larsen Holding As and Others v. Norway

(განაცხადი N24117/08; 14/03/2013)

წინამდებარე საქმე ეხებოდა სამი ნორვეგიული კომპანიის საჩივარს საგადასახადო ორგანოების გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, რომელიც საგადასახადო აუდიტორებს ავალდებულებდა უზრუნველყოთ სამივე კომპანიის მიერ ერთობლივად გამოყენებული კომპიუტერული სერვერი მონაცემთა ასლებით.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ არ დარღვეულა კონვენციის მე-8 მუხლი (პირადი და ოჯახური ცხოვრების, საცხოვრისისა და მიმოწერის პატივისცემის უფლება). კერძოდ, სტრასბურგის სასამართლომ აღნიშნა, რომ მიუხედავად წინასწარი სასამართლო ნებართვის არარსებობისა, უფლების ბოროტად გამოყენებისგან დაცვის ეფექტური და ადეკვატური გარანტიები იყო უზრუნველყოფილი. ამასთან, სამართლიანი ბალანსი არსებობდა, ერთი მხრივ, აპლიკანტი კომპანიისა და მისი თანამშრომლების პირადულობის დაცვის ინტერესსა და მეორე მხრივ, საგადასახადო შეფასების საჯარო ინტერესიდან გამომდინარე, ეფექტური შემოწმების უზრუნველყოფას შორის. მოცემულ საქმეში, ევროსასამართლო დაეთანხმა ნორვეგიის სასამართლოების არგუმენტს. კერძოდ, ეფექტიანობიდან გამომდინარე, საგადასახადო ორგანოების მოქმედებები არ უნდა შემოფარგლულიყო იმ ფაქტით, რომ გადასახადის გადამხდელი იყენებდა „შერეულ არქივს“, მაშინაც კი, თუ ეს არქივი სხვა გადამხდელის მონაცემებს მოიცავდა.

N.K.M. v. Hungary

(განაცხადი N66529/11; 14/05/2013)

საქმე ეხებოდა საჯარო მოხელეს, რომელიც ჩიოდა თავისი ხელფასის გარკვეულ ნაწილზე 98%-იანი გადასახადის დაწესების შესახებ, რაც გამომდინარეობდა იმ კანონიდან, რომელიც ძალაში შევიდა მისი სამსახურიდან გათავისუფლებამდე ათი კვირით ადრე. აღნიშნული ფაქტი კი მისი საკუთრების დაუსაბუთებელ ჩამორთმევას წარმოადგენდა.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლი: უნგრეთის ხელისუფლების მიერ გადასახადების სფეროში არსებული ფართო დისკრეციის მიუხედავად, ევროსასამართლომ აღნიშნა, რომ გამოყენებული ზომები იყო არაპროპორციული ლეგიტიმურ მიზანთან მიმართებით. წინამდებარე გარემოება გულისხმობდა სახელმწიფო ფულადი ფონდის დაცვას გადაჭარბებული ხელფასებისგან. პლიკანტს ასევე არ უსარგებლია გარდამავალი პერიოდით, რომლის დროსაც იგი შეძლებდა ახალ სახელფასო სქემაზე მორგებას. გარდა ამისა, მომჩივნისთვის შექმნილი უფლების ჩამორთმევით, რომელიც ემსახურებოდა შრომითი ბაზრის რეინტეგრაციის სპეციფიკურ სოციალურ ინტერესს, უნგრეთის ხელისუფლების წარმომადგენლებმა აპლიკანტი დააყენეს გადაჭარბებული ინდივიდუალური ტვირთის ქვეშ.

სხვა თემატიკა

შეიარაღებული კონფლიქტები

Janowiec and Others v. Russia

(განაცხადი N55508/07, 29520/09; 21/10/2013)

წინამდებარე საქმე ეხებოდა 1940 წლის კატინის ტრაგედიის მსხვერპლთა ნათესავების მიერ წარდგენილ საჩივარს იმასთან დაკავშირებით, რომ რუსეთის ხელისუფლების მიერ განხორციელებული გამოძიება არაადეკვატური იყო. აღსანიშნავია, რომ 1940 წელს რამდენიმე ათასი პოლონელი ტყვე საბჭოთა კავშირის საიდუმლო პოლიციამ („ნკვდ“) სიცოცხლეს გამოასალმა. ევრონობოლდენ რა კონვენციის მე-2 (სიცოცხლის უფლება) და მე-3 (არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვა) მუხლებს, მომჩივნები დავობდნენ, რომ მათი ნათესავების გარდაცვალებასთან დაკავშირებით რუსეთის ხელისუფლებამ არ წარმართა ეფექტური გამოძიება. გარდა ამისა, ნათესავების ბედის შესახებ ინფორმაციის მიწოდების თაობაზე, მათ მოთხოვნასთან მიმართებით, რუსეთის ხელისუფლებამ უყურადღებობა გამოავლინა.

ევროსასამართლომ აღნიშნა, რომ მას არ ჰქონდა მე-2 მუხლის (სიცოცხლის უფლება) საფუძველზე წარდგენილი საჩივრის განხილვის კომპეტენცია. ხოლო მე-3 მუხლთან (არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვა) დაკავშირებით, დარღვევა არ დაადგინა. ევროპულმა სასამართლომ დაასკვნა, რომ იგი არ იყო უფლებამოსილი განეხილა გამოძიების არაადეკვატურობა იმ მოვლენებთან დაკავშირებით, რომელიც კონვენციის მიღებამდე მოხდა. უფრო მეტიც, იმ დროისთვის, როდესაც ევროკონვენცია რუსეთთან მიმართებით ძალაში შევიდა, პოლონელი ტყვეების გარდაცვალება დადგენილი ისტორიული ფაქტი იყო და მათ ბედთან დაკავშირებით გაურკვეველი ვითარება, რასაც შეეძლო მომჩივნებთან მიმართებით კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევის საკითხი წამოეჭრა, არ არსებობდა.

ევროსასამართლომ დაადგინა, რომ რუსეთმა არ შეასრულა კონვენციის 38-ე მუხლიდან (საქმის განხილვისათვის საჭირო მასალის წარდგენის ვალდებულება) გამომდინარე ვალდებულებები. ევროპულმა სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ კონვენციის ხელშემკრელ სახელმწიფოებს ეკისრებოდათ მოთხოვნილი მტკიცებულებების წარდგენის ვალდებულება. სტრასბურგის სასამართლომ მიიჩნია, რომ ძირითადი პროცედურული გადაწყვეტილების საიდუმლოდ

დატოვებით და წარუდგენლობით, რუსეთმა არ შეასრულა ზემოთ აღნიშნული ვალდებულება. რუსეთის სასამართლოებმა დოკუმენტის სახელმწიფო საიდუმლოებად მიჩნევის საკითხი ძირეულად არ გაანალიზეს.

Hassan v. the United Kingdom

დიდი პალატის გადაწყვეტილება

(განაცხადი N 29750/09; 16/09/2014)

წინამდებარე საქმე ეხებოდა ბრიტანეთის შეიარაღებული ძალების მიერ მომჩივნის ძმის შეპყრობასა და ერაყში – ბუჩას ბანაკში დაკავებას. შემდგომში აპლიკანტის ძმის გვამი, რომელსაც წამებისა და სიკვდილით დასჯის კვალი აღენიშნებოდა, დაუდგენელ გარემოებებში იქნა აღმოჩენილი. მომჩივანი აგრეთვე ასახივრებდა, რომ მისი ძმის დაკავება და დაპატიმრება თვითნებური და უკანონო იყო. ასევე, არ იქნა დაცული პროცედურული გარანტიები. დამატებით, მომჩივანი დავობდა, რომ ბრიტანეთის ხელისუფლებამ ვერ უზრუნველყო გამოძიების წარმოება მისი ძმის დაკავებასთან, არასათანადო მოპყრობასა და გარდაცვალებასთან დაკავშირებით.

აღნიშნული საქმე ეხებოდა ბრიტანეთის შეიარაღებული ძალების ქმედებებს ერაყში, ექსტრატერიტორიული იურისდიქციისა და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის გამოყენების კონტექსტში. კერძოდ, ეს გახლდათ პირველი საქმე, სადაც ხელშემკვრელმა სახელმწიფომ ევროსასამართლოს მე-5 მუხლით (თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლება) გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებაზე უარის თქმა მოსთხოვა ან საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლით სახელმწიფოსთვის მინიჭებული დაკავების უფლებამოსილების ფარგლებში სხვაგვარად განემარტა იგი.

მოცემულ საქმეში ევროსასამართლომ დაადგინა, რომ მომჩივნის ძმა გაერთიანებული სამეფოს იურისდიქციას ექვემდებარებოდა 2003 წლის აპრილში ბრიტანეთის ჯარების მიერ მისი დაკავებიდან 2003 წლის მაისში მის გათავისუფლებამდე იმ ავტობუსიდან, რომლის მეშვეობითაც იგი ბუჩას ბანაკიდან სამხედრო ესკორტით გაჩერების ადგილზე მიჰყავდათ.

ევროსასამართლომ, მომჩივნის ძმის დაკავებასა და დაპატიმრებასთან დაკავშირებით, კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი, მე-2, მე-3, მე-4 პარაგრაფების (თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლება) დარღვევა არ დაადგინა. ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ შეიარაღებული კონფლიქტის დროს

საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი და ევროკონვენცია თვითნებური დაკავებისათვის საკმარის გარანტიებს უზრუნველყოფდა. სტრასბურგის სასამართლომ განაცხადა, რომ კონვენციის მე-5 მუხლით გათვალისწინებული თავისუფლების აღკვეთის საფუძვლები მაქსიმალურად გამოყენებული უნდა ყოფილიყო იმ ტყვეებისა და სამოქალაქო პირების დაკავებასთან მიმართებით, რომლებიც ჟენევის მესამე და მეოთხე კონვენციების თანახმად უსაფრთხოებისთვის რისკს წარმოადგენდნენ. წინამდებარე საქმეზე ევროსასამართლომ დაადგინა, რომ საერთაშორისო სამართლის თანახმად, აპლიკანტის ძმის დასაკავებლად არსებობდა ლეგიტიმური საფუძვლები, ვინაიდან აღნიშნული პირი ბრიტანეთის სამხედრო ძალებმა სახლის სახურავზე იპოვეს შეიარაღებული. სახლის სახურავიდან ამოღებულ იქნა სამხედრო დაზვერვის მნიშვნელობის მქონე დოკუმენტები და სხვა იარაღები. უფრო მეტიც, ბუჩას ბანაკში აპლიკანტის ძმა შეამოწმეს, რის შედეგადაც დადგინდა, რომ იგი სამოქალაქო პირი იყო და უსაფრთხოებისთვის რისკს არ წარმოადგენდა. ამრიგად, იგი უნდა გათავისუფლებულიყო. აქედან გამომდინარე, მომჩივნის ძმის დაკავება თვითნებური არ იყო.

საბოლოოდ, ევროსასამართლომ მტკიცებულებების არარსებობის გამო, დაუშვებლად ცნო მომჩივნის ძმის გარდაცვალებასა და არაადამიანურ მოპყრობასთან დაკავშირებით წარდგენილი საჩივრები კონვენციის მე-2 (სიცოცხლის უფლება) და მე-3 (არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვა) მუხლებთან მიმართებით.

Jaloud v. the Netherlands

დიდი პალატის გადაწყვეტილება

(განაცხადი N47708; 20/11/2014)

წინამდებარე საქმე ეხებოდა ჰოლანდიის ხელისუფლების მიერ ერაყის მოქალაქის (მომჩივნის შვილი) გარდაცვალების გარემოებების გამოძიებას. აღნიშნული პირი 2004 წლის აპრილში ცეცხლსასროლი იარაღით მიყენებული ჭრილობების შედეგად გარდაიცვალა. ინციდენტში ჩართულნი იყვნენ ნიდერლანდების სამეფო არმიის ჯარისკაცები. მომჩივანი დავობდა, რომ მისი შვილის გარდაცვალებასთან დაკავშირებული გამოძიება არც საკმარისად დამოუკიდებელი და არც ეფექტური იყო.

ევროსასამართლომ დაადგინა, რომ ინციდენტის გამოძიებასთან დაკავშირებული საჩივარი კონვენციის 1-ლი მუხლის მნიშვნელობის ფარგლებში ჰოლანდიის

იურისდიქციას ექვემდებარებოდა. აღსანიშნავია, რომ შემთხვევა მოხდა გაერთიანებული სამეფოს შეიარაღებული ძალების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე. ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ ჰოლანდიამ ერაყში საკუთარ სამხედრო პერსონალთან მიმართებით კონტროლი შეინარჩუნა.

ჰოლანდიის ხელისუფლების მიერ მომჩივნის შვილის გარდაცვალების გამოძიების არაეფექტურობასთან დაკავშირებით, ევროსასამართლომ კონვენციის მე-2 მუხლის (სიცოცხლის უფლება) პროცედურული ასპექტის დარღვევა დაადგინა.

ევროპული სასამართლო მივიდა დასკვნამდე, რომ გამოძიებას ჰქონდა სერიოზული ხარვეზები, რაც განაპირობებდა მის არაეფექტურობას. კერძოდ: მთავარი მოწმეების ჩვენებები არ ყოფილა წარდგენილი სასამართლო ხელისუფლებისთვის; ჰოლანდიის არმიის ოფიცრის დაკითხვამდე შეთქმულების საწინააღმდეგოდ არ ყოფილა გატარებული ღონისძიებები; გასათვალისწინებელია, რომ აღნიშნულმა ოფიცერმა ესროლა იმ მანქანას, სადაც მომჩივნის შვილი იჯდა; აგრეთვე, მსხვერპლის სხეულზე ჩატარებული გაკვეთა არასრულყოფილი იყო. ევროსასამართლომ აღიარა, რომ ჰოლანდიის სამხედროები და გამოძიებლები, რომლებიც ჩართულნი იყვნენ უცხო ქვეყნის საომარი მოქმედებების შემდგომ პროცესში, რთულ პირობებში მუშაობდნენ. მიუხედავად ამისა, გამოძიების ხარვეზები, რომლებიც სერიოზულად აფერხებდნენ მის ეფექტურობას, თუნდაც აღნიშნულ პირობებში, არ შეიძლებოდა მიჩნეულიყო გარდაუვლად.

Margus v. Croatia

დიდი პალატის გადაწყვეტილება

(განაცხადი N4455/10; 27/05/2014)

აღნიშნული საქმე ეხებოდა 2007 წელს ხორვატიის არმიის ყოფილი მეთაურის დამნაშავედ ცნობას 1991 წელს მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ ომის დანაშაულის განხორციელების გამო. აპლიკანტი ჩიოდა, რომ დაირღვა მისი უფლება - გასამართლებულიყო მიუკერძოებელი ტრიბუნალის მიერ, აგრეთვე, დაეცვა საკუთარი თავი. მან შემდგომში განაცხადა, რომ იგი დამნაშავედ იქნა ცნობილი იმავე დანაშაულებისთვის, რომლის საფუძველზეც მის წინააღმდეგ მიმდინარე სამართალწარმოება 1997 წელს ზოგადი ამნისტიის შესახებ კანონის გამოყენების გამო შეწყდა.

ევროსასამართლომ დაადგინა, რომ იმ დანაშაულებზე, რომლებზეც მიმდინარე სამართალწარმოება 1997 წელს ზოგადი ამნისტიის შესახებ კანონის გამოყენების შედეგად შეწყდა, არ გამოიყენებოდა ევროკონვენციის მე-7 დამატებითი ოქმის მე-4 მუხლი (ხელმეორედ გასამართლების ან დასჯის აკრძალვა). იმავედროულად, ევროპულმა სასამართლომ დაუშვებლად ცნო მე-7 დამატებითი ოქმის მე-4 მუხლთან მიმართებით წარდგენილი საჩივარი, რომელიც შეეხებოდა მომჩივნის უფლებას, არ ყოფილიყო ხელმეორედ გასამართლებული ან დასჯილი იმ ბრალდების საფუძველზე, რომელზეც პროკურატურამ 1996 წლის იანვარში უარი თქვა. ევროსასამართლომ დაადგინა, რომ საერთაშორისო სამართალში ადამიანის უფლებათა მიმე დარღვევებთან დაკავშირებით ამნისტიის გამოყენების დაუშვებლობის მზარდი ტენდენცია შეინიშნებოდა. სტრასბურგის სასამართლო მივიდა დასკვნამდე, რომ აპლიკანტის წინააღმდეგ ახალი ბრალის წაყენებისა და მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ ომის დანაშაულის განხორციელებაში დამნაშავედ ცნობის დროს, ხორვატიის ხელისუფლება კონვენციის მე-2 (სიცოცხლის უფლება) და მე-3 (წამების, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვა) მუხლის მოთხოვნათა დაცვით მოქმედებდა. აგრეთვე, ხორვატიის ხელისუფლების ქმედებები შესაბამისობაში იყო სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გაცემულ რეკომენდაციებთან.

გადახვევა საგანგებო მდგომარეობის დროს

Del Rio Prada v. Spain

დიდი პალატის გადაწყვეტილება

(განაცხადი N42750/09; 21/10/2013)

წინამდებარე საქმე ეხებოდა უზენაესი სასამართლოს მიერ შემუშავებული ახალი მიდგომის საფუძველზე, ტერორისტულ დანაშაულში მსჯავრდებული პირის საბოლოო გათავისუფლების გაჭიანურებას. აღნიშნული მიდგომა „პაროტის დოქტრინის“ სახელით იყო ცნობილი და იგი მსჯავრდებულისთვის სასჯელის მისჯის შემდგომ შემუშავდა. აპლიკანტი დავობდა, რომ უზენაესი სასამართლოს მიერ სასჯელის შემცირებასთან დაკავშირებით დადგენილი პრაქტიკისგან გადახვევა მასთან მიმართებით რეტროაქტიულად იქნა გამოყენებული, რამაც მისი პატიმრობა თითქმის ცხრა წლით გაახანგრძლივა.

ევროსასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-7 მუხლის დარღვევა, ვინაიდან მომჩივანმა სასჯელი იმაზე მეტი ვადით მოიხადა, ვიდრე ეს გათვალისწინებული იყო მისი მსჯავრდების დროს გამოყენებადი ესპანური კანონმდებლობის

მიხედვით. ევროსასამართლომ შენიშნა, რომ: „მე-7 მუხლით უზრუნველყოფილ გარანტიას, რომელიც კანონის უზენაესობის ძირითად ნაწილს წარმოადგენს, განსაკუთრებული ადგილი უჭირავს კონვენციის დაცვით სისტემაში. აღნიშნული გარემოება დასტურდება აგრეთვე იმ ფაქტით, რომ წინამდებარე მუხლისგან გადახვევა, მე-15 მუხლის თანახმად, დაუშვებელია ომის ან სხვა საგანგებო მდგომარეობის დროსაც კი (გადაწყვეტილების 77-ე პარაგრაფი)“.

ხანდაზმული ადამიანები და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია

Senchishak v. Finland

(განაცხადი N5049/12; 18/11/2014)

წინამდებარე საქმე ეხებოდა 72 წლის რუსეთის მოქალაქის მიმართ განხორციელებულ მუქარას ფინეთიდან გაძევების თაობაზე. აპლიკანტი აცხადებდა, რომ მას რუსეთში არ ექნებოდა სამედიცინო მომსახურება, ასევე, შეუძლებელი იყო მოეპოვებინა ადგილი მოხუცთა თავშესაფარში და განცალკევებით ეცხოვრა ქალიშვილისგან, რომელიც ფინეთის მოქალაქე იყო.

ევროსასამართლომ დაადგინა, რომ აპლიკანტის რუსეთში გაძევებით კონვენციის მე-3 მუხლი (არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვა) არ დარღვეულა. სტრასბურგის სასამართლომ მიიჩნია, რომ არც რუსეთში არსებული ზოგადი სიტუაცია და არც მომჩივნის პირადი გარემოებები არ აყენებდა მას არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის დაქვემდებარების რისკის წინაშე. კერძოდ, მომჩივანმა ვერ უზრუნველყო, წარმოედგინა იმის დამადასტურებელი მტკიცებულებები, რომ რუსეთში მისთვის ხელმისაწვდომი არ იყო სამედიცინო მომსახურება, მაშინ, როდესაც იქ არსებობდა სამედიცინო მომსახურების როგორც კერძო, ასევე საჯარო დაწესებულებები, ასევე შესაძლებელი იყო მომვლელის დაქირავება. ევროსასამართლო დარწმუნდა, რომ აპლიკანტის გაძევების დროს მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა მხედველობაში იქნებოდა მიღებული და სათანადო ტრანსპორტით, მაგალითად, სასწრაფო სამედიცინო დახმარების მანქანით, იქნებოდა უზრუნველყოფილი. სტრასბურგის სასამართლომ დამატებით დაადგინა, რომ კონვენციის მე-8 მუხლი (პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება) აპლიკანტის საქმეზე არ გამოიყენებოდა და საჩივრის ეს ნაწილი დაუშვებლად ცნო. საბოლოოდ, ევროსასამართლომ ფინეთის მთავრობას მიუთითა, რომ სასამართლოს რეგლამენტის 39-ე წესის (დროებითი ღონისძიება)

თანახმად, არ უნდა გაეძევებინა აპლიკანტი მანამ, სანამ წინამდებარე გადაწყვეტილება საბოლოო არ გახდებოდა.

Contrada (no. 2) v. Italy

(განაცხადი N7509/08; 11/02/2014)

83 წელს მიღწეული აპლიკანტი დავობდა, რომ მისი ასაკისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით, ხელისუფლების მიერ მის მოთხოვნაზე განმეორებითი უარი წარმოადგენდა არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობას. კერძოდ, მომჩივანი ითხოვდა, რომ მთავრობას დროებით შეეჩერებინა მისი სასჯელის აღსრულება ან სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ყოფნა შინა პატიმრობით შეეცვალა.

ევროსასამართლომ კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა (არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვა) დაადგინა. სტრასბურგის სასამართლოს მოსაზრებით უდავოა, რომ მომჩივანი იტანჯებოდა მძიმე დაავადებებით. გარდა ამისა, საქმის წარმოების დროს, კომპეტენტური ხელისუფლების ორგანოსთვის წარდგენილი ყველა სამედიცინო დასკვნა და ცნობა თანმიმდევრულად და ერთმნიშვნელოვნად აცხადებდა, რომ მომჩივნის ჯანმრთელობის მდგომარეობა შეუთავსებელი იყო ციხის რეჟიმთან, რომელსაც იგი ექვემდებარებოდა. ევროსასამართლომ დამატებით აღნიშნა, რომ აპლიკანტის მოთხოვნა შინა პატიმრობაში მოთავსების თაობაზე 2008 წლამდე არ დაკმაყოფილდა, რა დროისთვისაც პირველი მოთხოვნის წარდგენიდან ცხრა თვე იყო გასული. ხელისუფლებისთვის ხელმისაწვდომი სამედიცინო ცნობების, შინა პატიმრობაში მომჩივნის მოთავსებამდე გასული დროისა და აპლიკანტის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის საფუძვლად მითითებული მიზეზების ფონზე, სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ მომჩივნის გახანგრძლივებული დაკავება შეუთავსებელი იყო კონვენციის მე-3 მუხლით დადგენილ არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვასთან.

Gross v. Switzerland

(განაცხადი N67810/10; 30/09/2014)¹⁶

¹⁶ აღნიშნული საქმე იხილეთ გვ. 72.

McDonald v. the United Kingdom

(განაცხადი N4241/12; 20/05/2014)

აღნიშნული საქმე ეხებოდა 71 წლის მოხუცი ქალბატონის საჩივარს, ადგილობრივი ხელისუფლების მიერ მისი მზრუნველობისთვის განკუთვნილი ყოველკვირეული თანხის შემცირებასთან დაკავშირებით. აპლიკანტი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი იყო. თანხის შემცირება ეფუძნებოდა ადგილობრივი ხელისუფლების გადაწყვეტილებას, რომ ღამის საათებში მომჩივნის მიერ ბუნებრივი მოთხოვნილების დაკმაყოფილების უზრუნველსაყოფად მომვლელის დახმარება ღამის საფენების გამოყენებით ჩანაცვლებულიყო. აპლიკანტი დავობდა, რომ შემწეობის შემცირების შესახებ გადაწყვეტილების მიღების საფუძველად ღამის საფენების გამოყენების მითითება, მიუხედავად იმისა, რომ მის პრობლემას შეუკავებლობა არ წარმოადგენდა, იყო მისი ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლებაში გაუმართლებელი და არაპროპორციული ჩარევა და მას დიდ შეურაცხყოფას აყენებდა.

ევროსასამართლომ მიიჩნია, რომ მომჩივნის ზრუნვისთვის გამოყოფილი თანხის შემცირების შესახებ გადაწყვეტილება არღვევდა მისი პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლებას, იმდენად, რამდენადაც აღნიშნული გადაწყვეტილება მისგან მოითხოვდა ღამის საფენების გამოყენებას, მაშინ, როდესაც მას ამის საჭიროება არ ჰქონდა. სტრასბურგის სასამართლომ 2008 წლის 21 ნოემბრიდან 2009 წლის 4 ნოემბრამდე პერიოდში კონვენციის მე-8 მუხლის (პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება) დარღვევა დაადგინა, ვინაიდან მოცემულ პერიოდში მომჩივნის უფლებაში ჩარევა არ შეესაბამებოდა იმ დროს მოქმედ კანონმდებლობას. სტრასბურგის სასამართლომ 2009 წლის 4 ნოემბრის შემდეგ პერიოდთან დაკავშირებული საჩივარი დაუშვებლად ცნო, რადგან სახელმწიფოს ჰქონდა ფართო დისკრეცია ისეთი საკითხების გადაწყვეტისას, რომელიც შეეხებოდა მწირი რესურსების განაწილებას; აგრეთვე, აპლიკანტის უფლებებში ჩარევა „აუცილებელი იყო დემოკრატიულ საზოგადოებაში“.

Tesic v. Serbia

(განაცხადი N4678/07, 50591/12; 11/02/2014)

2006 წელს მომჩივანი, სხვადასხვა დაავადებებით დასნეულებული პენსიონერი, დამნაშავედ იქნა ცნობილი მისი ადვოკატის ცილისწამებისთვის. მას უბრძანეს კომპენსაციის სახით 300,000 დინარის გადახდა, ამასთანავე, ჯარიმისა და ხარჯების ანაზღაურება 94,120 დინარის ოდენობით (ჯამში დაახლოებით 4,900

ევროს ექვივალენტი). 2009 წლის ივლისში მუნიციპალურმა სასამართლომ გასცა ბრძანება აღსრულების შესახებ, რომელიც მოითხოვდა, რომ მომჩივნის პენსიის ორი მესამედი ყოველ თვე ადვოკატის საბანკო ანგარიშზე გადარიცხულიყო, მანამ, სანამ მიკუთვნებული თანხის ოდენობა სრულად არ ამოიწურებოდა. აღნიშნული გამოქვეითვის შემდეგ მომჩივანს საცხოვრებლად თვეში დაახლოებით 60 ევრო დარჩა.

ევროსასამართლომ კონვენციის მე-10 მუხლის (გამოხატვის თავისუფლება) დარღვევა დაადგინა. სტრასბურგის სასამართლომ აღნიშნა, რომ მომჩივნისთვის დაკისრებული ზიანისა და ხარჯების ანაზღაურების ოდენობა მისი თვიური პენსიის 60%-ზე მეტს უტოლდებოდა. გარდა ამისა, ადვოკატთან დაკავშირებით გაკეთებული აპლიკანტის განცხადება მხოლოდ პირად თავდასხმად არ შეიძლება მიჩნეულიყო. უფრო მეტიც, მუნიციპალურმა სასამართლომ გამოსცა აღსრულების შესახებ ბრძანება, რომელიც მოითხოვდა მომჩივნის პენსიის ორი მესამედის ადვოკატის ანგარიშზე გადარიცხვას, მიუხედავად იმისა, რომ მოქმედი სამართლის მიხედვით ეს იყო მაქსიმალური ზღვარი, რომლის დაკისრებაც შეიძლებოდა. ამდენად, კანონმდებლობა ითვალისწინებდა შესაძლებლობას გამოყენებული ყოფილიყო უფრო დეტალური მიდგომა. 2013 წლის 30 ივნისისთვის აპლიკანტს გადახდილი ჰქონდა დაახლოებით 4500 ევრო, თუმცა დარიცხვების გათვალისწინებით, მას თანხის გადახდა დაახლოებით შემდგომი ორი წელი უნდა გაეგრძელებინა. 2012 წლის მაისში მისი თვიური პენსია 170 ევროს შეადგენდა, თუმცა გამოქვეითვის შემდეგ მას 60 ევრო რჩებოდა, რაც საცხოვრებლად და ყოველთვიურად დაახლოებით 44 ევროს ოდენობის მედიკამენტების შესაძენად საკმარისი არ იყო. ევროსასამართლომ დაადგინა, რომ აღნიშნული გადაწყვეტილება განსაკუთრებით დაუსაბუთებელი იყო რამდენიმე სერიოზული ავადმყოფობით დაავადებულ ასაკოვან პირთან მიმართებით. შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ გასაჩივრებული ღონისძიება გათვალისწინებული იყო კანონით და მიღებულ იქნა ლეგიტიმური მიზნის, კერძოდ, სხვების რეპუტაციის დაცვის მისაღწევად, მომჩივნის გამოხატვის თავისუფლების უფლებაში ჩარევა არ იყო „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“.

ექსტრა-ტერიტორიული იურისდიქციის საკითხები

Pisari v. the Republic of Moldova and Russia

(განაცხადი N42139/12; 20/04/2015)

წინამდებარე საქმე ეხებოდა სახელმწიფოს პასუხისმგებლობის საკითხს მოლდავეთში მშვიდობისმყოფელთა საგუშაგოზე რუსი ჯარისკაცის ქმედებებთან მიმართებით, რამაც ახალგაზრდა მამაკაცის გარდაცვალება გამოიწვია. აღნიშნული საგუშაგო განლაგებული იყო უსაფრთხოების ზონაში, რომელიც გამოიყო მას შემდეგ, რაც მიღებულ იქნა შეთანხმება მოლდოვის დნესტრისპირეთის რეგიონში 1992 წელს სამხედრო კონფლიქტის დასრულების შემდეგ. საგუშაგოს რუსი ჯარისკაცები განაგებდნენ.

ევროსასამართლომ აღნიშნა, რომ არც რუსეთის ფედერაცია და არც მოლდოვის რესპუბლიკა მოცემულ საქმეში თავიანთ იურისდიქციას სადავოდ არ ხდიდნენ. ევროპული სასამართლოს განცხადებით, როდესაც სახელმწიფო მოსამსახურეები მივლენილები არიან სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე, მათ მიერ გამოყენებულმა ექსტრა-ტერიტორიულმა ძალამ შესაძლოა, გააფართოვოს სახელმწიფოს იურისდიქცია, რათა დაცულნი იყვნენ საჯარო მოხელის ქმედებებით დაზარალებული პირები. წინამდებარე საქმეზე ევროსასამართლომ აღნიშნა, რომ უსაფრთხოების ზონაში განლაგებულ საგუშაგოზე რუსმა ჯარისკაცმა მოკლა ახალგაზრდა მამაკაცი. საგუშაგოს, მოლდოვის დნესტრისპირეთის რეგიონში სამხედრო კონფლიქტის დასრულების თაობაზე შეთანხმების თანახმად, რუსი ჯარისკაცები განაგებდნენ. შესაბამისად, სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ ახალგაზრდა მამაკაცი გარდაცვალების მომენტში რუსეთის ფედერაციის იურისდიქციის ქვეშ იმყოფებოდა. ასევე, მომჩივნები, გარდაცვლილის მშობლები, მიიჩნევდნენ, რომ მოლდოვის ხელისუფლება არ იყო მათი შვილის სიკვდილზე პასუხისმგებელი. მათ გარდაცვალების ფაქტის გამოძიების მიზნით ყველაფერი გააკეთეს. ევროსასამართლო დარწმუნდა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციითა და მისი დამატებითი ოქმებით განმარტებული ადამიანის უფლებათა დაცვა არ მოითხოვდა აპლიკანტების საჩივრის აღნიშნული ნაწილის განხილვის გაგრძელებას. ამრიგად, სტრასბურგის სასამართლომ გაითვალისწინა მომჩივნების სურვილი და მოლდოვის რესპუბლიკის წინააღმდეგ მიმართული საჩივრების ნუსხიდან აღნიშნული საქმე ამორიცხა.

Chiragov and Others v. Armenia

დიდი პალატის გადაწყვეტილება

(განაცხადი N13216/05; 16/06/2015)

საქმე ეხებოდა ექვსი აზერბაიჯანელი ლტოლვილის საჩივარს იმასთან დაკავშირებით, რომ მათ არ შეეძლოთ აზერბაიჯანში, ლაჩინის რაიონში მდებარე საკუთარ სახლებში დაბრუნება. 1992 წელს, ყარაბაღთან დაკავშირებით სომხეთ-აზერბაიჯანის ომის დროს, აპლიკანტები იძულებულნი გახდნენ აღნიშნული ტერიტორიიდან წამოსულიყვნენ.

მომჩინების საქმეზე ევროსასამართლომ დაადასტურა, რომ სომხეთი მთიან ყარაბაღსა და მიმდებარე ტერიტორიებზე ეფექტურ კონტროლს ახორციელებდა. ამრიგად, ლაჩინის რაიონზე სომხეთის იურისდიქცია ვრცელდებოდა. ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ მრავალი ანგარიში და საჯარო განცხადება, მათ შორის, სომხეთის მთავრობის მოქმედი და ყოფილი წევრების განცხადებები, ცხადყოფდა სომხეთის ჩართულობას მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის ადრეულ ეტაპზე. აღნიშნული ჩართულობა გამოიხატებოდა კონფლიქტის რეგიონში სამხედროების განთავსებითა და სამხედრო აღჭურვილობისა და ექსპერტიზის უზრუნველყოფით. სომხეთის სამხედრო მხარდაჭერა გადამწყვეტ როლს თამაშობდა დავის ქვეშ მყოფი ტერიტორიების კონტროლზე. უფრო მეტიც, საქმეზე დადგენილი ფაქტები მიუთითებდა, რომ სომხეთი „მთიან ყარაბაღს“ მნიშვნელოვანი პოლიტიკური და ფინანსური მხარდაჭერით აღჭურავდა. გარდა ამისა, ყარაბაღის მოქალაქეებს უცხოეთში სამოგზაუროდ სომხური პასპორტების აღებას სთხოვდნენ, ვინაიდან მათი პასპორტები არ იყო აღიარებული არც ერთი სახელმწიფოს ან საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ. დასკვნის სახით, სომხეთი და მთიანი ყარაბაღი ერთსულოვნად მოქმედებდნენ ყველა მნიშვნელოვან საკითხთან მიმართებით. ყარაბაღი და მისი ადმინისტრაცია სომხეთის მიერ მიწოდებული სამხედრო, პოლიტიკური, ფინანსური და სხვა სახის დახმარების მეშვეობით გადარჩა. შესაბამისად, სომხეთი მთიან ყარაბაღსა და მიმდებარე ტერიტორიებზე ეფექტურ კონტროლს ახორციელებდა.

Mozer v. the Republic of Moldova and Russia

დიდი პალატის გადაწყვეტილება

(განაცხადი N11138/10; 16/06/2015)

აღნიშნული საქმე ეხებოდა თაღლითობაში ეჭვმიტანილი პირის დაკავებას. დაკავების თაობაზე ბრძანება თვითაღიარებული „დნესტრისპირეთის მოლდავეური

რესპუბლიკის” სასამართლოებმა გასცეს. აპლიკანტი დავობდა, რომ იგი უკანონოდ იქნა დაკავებული და დაპატიმრებული „დნესტრისპირეთის მოლდავური რესპუბლიკის ხელისუფლების” მიერ. განმცხადებელი ასევე ასაჩივრებდა იმ ფაქტს, რომ მის დაკავებასთან დაკავშირებით მიმდინარე სამართალწარმოების ფარგლებში რამდენიმე სასამართლო სხდომას არ დასწრებია. აპლიკანტმა აღნიშნა, რომ ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე, საჭირო სამედიცინო დახმარება არ აღმოუჩენიათ და მისი დაკავების პირობები არაადამიანური იყო. უფრო მეტიც, აპლიკანტი ჩიოდა, რომ მას არ მისცეს მშობლებისა და მოძღვრის ნახვის უფლება. საბოლოოდ, იგი ასაჩივრებდა, რომ აღნიშნულ საკითხებთან მიმართებით მას არ ჰქონდა ეფექტიანი შიდასახელმწიფოებრივი სამართლებრივი დაცვის საშუალება. აპლიკანტი აცხადებდა, რომ მისი საჩივრები ექვემდებარებოდა როგორც მოლდოვის რესპუბლიკის, აგრეთვე რუსეთის ფედერაციის იურისდიქციას.

ევროსასამართლო მივიდა დასკვნამდე, რომ კონვენციის 1-ლი მუხლის თანახმად (ადამიანის უფლებათა პატივისცემის ვალდებულება), გასაჩივრებული ფაქტები ხვდებოდა როგორც მოლდოვის, აგრეთვე რუსეთის იურისდიქციის ფარგლებში. ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, მიუხედავად იმისა, რომ მოლდოვა დნესტრისპირეთში განხორციელებულ ქმედებებზე ეფექტურ კონტროლს არ ახორციელებდა, ის ფაქტი, რომ აღნიშნული რეგიონი საერთაშორისო საჯარო სამართლის მიხედვით აღიარებული იყო მოლდოვის ტერიტორიის ნაწილად, წარმოშობდა აღნიშნული სახელმწიფოს ვალდებულებას. კერძოდ, კონვენციის 1-ლი მუხლის თანახმად, მოლდავეთს უნდა გამოეყენებინა მის ხელთ არსებული ყველა სამართლებრივი და დიპლომატიური საშუალებები, რათა უზრუნველყო იქ მცხოვრებ პირთა მიერ კონვენციით გარანტირებული უფლებებით სარგებლობა. რაც შეეხება რუსეთს, ევროსასამართლომ გაიმეორა წინა საქმეებში გაკეთებული დასკვნები, რომ დნესტრისპირეთის მოლდავური რესპუბლიკა რუსეთის სამხედრო, პოლიტიკური და ეკონომიკური მხარდაჭერის მეშვეობით არსებობდა. აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, რეგიონის მაღალი ხარისხით დამოკიდებულება რუსეთის მხარდაჭერაზე მიუთითებდა იმ გარემოებაზე, რომ რუსეთი დნესტრისპირეთის ხელისუფლებაზე ახორციელებდა ეფექტურ კონტროლსა და მასზე გადამწყვეტი გავლენა ჰქონდა. წინამდებარე საქმეზე ევროსასამართლომ დაადგინა, რომ მოლდოვის რესპუბლიკას კონვენციით გათვალისწინებული უფლებები არ დაურღვევია, ვინაიდან მან მომჩივნის მხარდასაჭერად მნიშვნელოვანი სამართლებრივი და დიპლომატიური ძალისხმევის გაწევით საკუთარი ვალდებულებები შეასრულა. იმავედროულად, მხედველობაში მიიღო რა თავისი დასკვნა იმასთან დაკავშირებით, რომ სადავო პერიოდში დნესტრისპირეთში ეფექტურ კონტროლს რუსეთი ახორციელებდა, სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ კონვენციის დარღვევებზე რუსეთი იყო პასუხისმგებელი.

რეპუტაციის დაცვა და ევროკონვენცია

„ამ თავისუფლებათა განხორციელება, (პირის თავისუფლება, ჰქონდეს შეხედულებები, მიიღოს ან გაავრცელოს ინფორმაცია თუ მოსაზრებები) რამდენადაც ის განუყოფელია შესაბამისი ვალდებულებისა და პასუხისმგებლობისაგან, შეიძლება დაექვემდებაროს ისეთ წესებს, პირობებს, შეზღუდვებს ან სანქციებს, რომლებიც გათვალისწინებულია კანონით და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების, ტერიტორიული მთლიანობის ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებისათვის, უწესრიგობისა თუ დანაშაულის აღსაკვეთად, ჯანმრთელობის ან მორალის დაცვის მიზნით, სხვათა რეპუტაციის ან უფლებების დასაცავად, საიდუმლოდ მიღებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად ან სასამართლო ხელისუფლების ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად” (ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლის მე-2 პარაგრაფი).

„რეპუტაციის დაცვას, როგორც პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლების შემადგენელ ნაწილს, მოიცავს კონვენციის მე-8 მუხლი. იმისათვის, რომ კონვენციის მე-8 მუხლი იქნეს გამოყენებული, პირის რეპუტაციაზე თავდასხმამ უნდა მიადწიოს სიმძიმის გარკვეულ ხარისხს და იმგვარად უნდა განხორციელდეს, რომ ხელი შეეშალოს პირის მიერ ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლებით სარგებლობას. ევროსასამართლომ დაადგინა, რომ მე-8 მუხლი არ გამოიყენებოდა ისეთ შემთხვევებზე, როდესაც რეპუტაციის დაკარგვა წინასწარ განჭვრეტადი იყო, პირის მიერ განხორციელებული ქმედებების შედეგად, მაგალითად, როგორიცაა სისხლისსამართლებრივი დანაშაულის ჩადენა.

როდესაც სტრასბურგის სასამართლო განიხილავს ჩარევის აუცილებლობას დემოკრატიულ საზოგადოებაში, სხვათა უფლებების ან რეპუტაციის დაცვის მიზნით, ევროპულ სასამართლოს შეიძლება მოეთხოვოს, დაადგინოს რამდენად დაიცვა ეროვნულმა ხელისუფლებამ სამართლიანი ბალანსი კონვენციით უზრუნველყოფილ ორ ღირებულებას შორის, რომლებიც კონკრეტულ საქმეებში ერთმანეთთან წინააღმდეგობაში მოვიდნენ. კერძოდ, ერთი მხრივ, მე-10 მუხლით გარანტირებულ გამოხატვის თავისუფლებასა და, მეორე მხრივ, მე-8 მუხლით დაცულ პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლებას შორის” (Axel Springer AG v. Germany, 2012 წლის 7 თებერვლის გადაწყვეტილება (დიდი პალატა), §§ 83-84).

Ojala and Etukeno Oy v. Finland da Ruusunen v. Finland

(განაცხადი N69939/10; 14/01/2014; N73579/10; 14/01/2014)

წინამდებარე საქმეებში სისხლის სამართლის სასამართლომ მსჯავრდებულად ცნო გამომცემელი და ავტორი იმ ავტობიოგრაფიისა, რომელიც შეეხებოდა ავტორისა და ფინეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრის ურთიერთობას. მომჩივნები დავობდნენ, რომ აღნიშნული მსჯავრდება არღვევდა მათი გამოხატვის თავისუფლებას.

სტრასბურგის სასამართლომ, მიიჩნია რა, რომ ფინეთის სასამართლოებმა შეპირისპირებულ ინტერესებს შორის სამართლიანი ბალანსი დაიცვეს, ორივე საქმეზე დაადგინა, რომ გამოხატვის თავისუფლების დარღვევას ადგილი არ ჰქონია. ევროსასამართლომ აღნიშნა, რომ პრემიერ-მინისტრი წარმოადგენდა საჯარო პირს და წიგნი შეიცავდა საჯარო ინტერესის მქონე ცნობებს, თუმცა რეპუტაციისადმი მიყენებული ზიანის შეფასებისას მხედველობაში მიღებულ იქნა მხოლოდ წიგნის ინტიმურ ცხოვრებასთან დაკავშირებული ნაწილები.

Almeida Leita Bento Fernandes v. Portugal

(განაცხადი N25790/11; 12/03/2015)

წინამდებარე საქმე ეხებოდა მომჩივნისთვის მსჯავრის დადებას, მისი ოჯახის წევრების მიმართ გამოთქმული ცილისწამების საფუძველზე, მას შემდეგ რაც მან ამერიკის შეერთებულ შტატებში პორტუგალიური დიასპორისა და კოლონიური ომის კონტექსტში ოჯახურ ცხოვრებასთან დაკავშირებული რომანი გამოაქვეყნა. მომჩივანი დავობდა, რომ მეუღლის ოჯახის წევრების ცილისწამებისა და მათი პატივის შელახვის საფუძველზე მსჯავრის დადება არღვევდა მისი გამოხატვის თავისუფლების უფლებას.

ევროსასამართლომ დაადგინა, რომ კონვენციის მე-10 მუხლი (გამოხატვის თავისუფლება) არ დარღვეულა, მიიჩნია რა, რომ მომჩივნის გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევა მისაღწევი ლეგიტიმური მიზნის, კერძოდ, სხვების უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის პროპორციული იყო. სტრასბურგის სასამართლო დაეთანხმა პორტუგალიის სასამართლოებს, რომ მომჩივანმა, მეუღლის ოჯახის წევრების პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლების უგულებელყოფით, გადააბიჯა მისთვის მიკუთვნებული მხატვრული შემოქმედების თავისუფლების ფარგლებს. ევროსასამართლომ მიიჩნია, რომ ხელისუფლებისთვის მინიჭებული შეფასების ზღვარი, რომლითაც უნდა დადგენილიყო თუ რამდენად აუცილებელი იყო დემოკრატიულ საზოგადოებაში

მომჩივნისთვის დაკისრებული სასჯელი, წინამდებარე საქმეში ფართო იყო, ვინაიდან აღნიშნული პიროვნებები არ წარმოადგენდნენ საჯარო პირებს.

Braun v. Poland

(განაცხადი N30162/10; 04/11/2014)

წინამდებარე საქმე ეხებოდა კინორეჟისორისა და ისტორიკოსის საჩივარს. იგი ასაჩივრებდა იმ ფაქტს, რომ მას დაევალა ჯარიმის გადახდა, აგრეთვე, რეპუტაციის შელახვის გამო საჯარო ბოლიშის მოხდა ცნობილი პროფესორისთვის, რომელიც მან რადიო დებატებში მოიხსენია, როგორც საიდუმლო სამხედრო პოლიციის ინფორმატორი, კომუნისტური რეჟიმის დროს. მომჩივანი დავობდა, რომ პოლონეთის სასამართლოების გადაწყვეტილებებმა დაარღვია მისი გამოხატვის თავისუფლება, კერძოდ, იგი ამტკიცებდა, რომ მრავალი წლის განმავლობაში ის იყო აქტიური ჟურნალისტი და რადიო დებატები, რომელშიც მან მონაწილეობა მიიღო, ეხებოდა საჯარო პირთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან საკითხს.

ევროსასამართლომ დაადგინა, რომ კონვენციის მე-10 მუხლი (გამოხატვის თავისუფლება) არ დარღვეულა. სტრასბურგის სასამართლომ აღნიშნა, რომ მომჩივანმა სერიოზული ბრალი წაუყენა პროფესორს, რაც წარმოადგენდა მის რეპუტაციის შელახვას. მიუხედავად ამისა, როდესაც უნდა დაედგინათ ბალანსი მომჩივნის გამოხატვის თავისუფლებასა და პროფესორის რეპუტაციის პატივისცემის უფლებას შორის, პოლონეთის სასამართლოებმა განასხვავეს ჟურნალისტებსა და საჯარო დებატებში მონაწილე სხვა პირებთან მიმართებით გამოყენებადი სტანდარტები. პოლონეთის უზენაესი სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, გულისხმიერებისა და კეთილსინდისიერების მოთხოვნა მხოლოდ ჟურნალისტებზე ვრცელდებოდა, ხოლო სხვას, როგორც ამ შემთხვევაში აპლიკანტს, ბრალდების დამტკიცება მოეთხოვებოდა. იქიდან გამომდინარე, რომ მომჩივანმა ვერ შეძლო მის მიერ გაკეთებული განაცხადის დადასტურება, ეროვნულმა სასამართლოებმა მიიჩნიეს, რომ მან დაარღვია პროფესორის პიროვნული უფლებები. ევროსასამართლოსთვის მიუღებელი იყო პოლონეთის სასამართლოების მიდგომა, რომელიც მომჩივნისგან ბრალდების დამტკიცებას და ჟურნალისტებთან შედარებით უფრო მაღალი სტანდარტის შესრულებას მოითხოვდა.

Axel Springer AG v. Germany

დიდი პალატის გადაწყვეტილება

(განაცხადი N39954/08; 07/02/2012)

მომჩივანი კომპანია ყოველდღიური ეროვნული გაზეთის გამომცემელია, რომელიც დიდი ტირაჟით იბეჭდება. 2004 წლის სექტემბერში აღნიშნული გაზეთის პირველ გვერდზე დაიბეჭდა სტატია პოპულარული ტელესერიალის ვარსკვლავზე, რომელიც მიუნხენის ლუდის ფესტივალზე დააკავეს კოკაინის ფლობის გამო. სტატია მეორე გვერდზე შევსებული იყო უფრო დეტალური ინფორმაციით. ინფორმაციის დაბეჭდისთანავე მსახიობმა მოიპოვა სასამართლო ორდერი, რომელიც კრძალავდა სტატიის დამატებით გამოქვეყნებას. მომჩივანი კომპანია ასაჩივრებდა მსახიობის დაკავებისა და მსჯავრდების თაობაზე ინფორმაციის ამსახველი სტატიის გამოქვეყნების აკრძალვას.

ევროსასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-10 მუხლი (გამოხატვის თავისუფლება), მიიჩნია რა, რომ მომჩივან კომპანიაზე დაკისრებული შეზღუდვა არ იყო მისაღწევი ლეგიტიმური მიზნის, კერძოდ, სხვების უფლებებისა და რეპუტაციის დაცვის პროპორციული. სტრასბურგის სასამართლომ აღნიშნა, რომ სადავო სტატია ეხებოდა საჯარო სასამართლო ფაქტებს, რომლებიც შეიძლება მიჩნეულიყო საზოგადოებრივი ინტერესის მქონედ. დამატებით, მსახიობი საკმარისად ცნობილი იყო, ამრიგად, წარმოადგენდა საჯარო პირს. ის ფაქტი, რომ იგი საჯაროდ დააკავეს და არაერთი ინტერვიუს დროს ცდილობდა პირადი ცხოვრების დეტალების გამჟღავნებას, ნიშნავდა იმას, რომ მისი ლეგიტიმური მოლოდინი პირადი ცხოვრების ეფექტიანად დაცვის თაობაზე შეზღუდული იყო. უფრო მეტიც, არ არსებობდა რაიმე გარემოება, რომელიც მიუთითებდა, რომ მომჩივანმა კომპანიამ არ დაიცვა სამართლიანი ბალანსი სტატიის გამოქვეყნების ინტერესსა და მსახიობის პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლებას შორის. რაც შეეხება პუბლიკაციის შინაარსს, ფორმასა და შედეგს, სტატია არ ამჟღავნებდა მსახიობის პირად ცხოვრებას, არამედ ეხებოდა მხოლოდ მისი დაპატიმრების გარემოებებსა და სისხლისსამართლებრივი სამართალწარმოების შედეგს.

Axel Springer AG v. Germany (no.2)

(განაცხადი N48311/10; 18/07/2014)

წინამდებარე საქმე ეხებოდა ყოველდღიურ გაზეთ „Bild-ში“, გამოქვეყნებულ სტატიას, რომელიც იმეორებდა საპარლამენტო ჯგუფის, ლიბერალ-

დემოკრატიული პარტიის პრეზიდენტის მოადგილის ეჭვებს გერმანია-რუსეთის კონსორციუმის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარედ ყოფილი კანცლერის - შრიოდერის დანიშვნის პირობებთან დაკავშირებით. მომჩივანი კომპანია დავობდა გამოხატვის თავისუფლების დარღვევის თაობაზე.

ევროსასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-10 მუხლი (გამოხატვის თავისუფლება), მიიჩნია რა, რომ „Bild-ს“, სადავო საკითხის გამოქვეყნებით არ გადაუჭარბებია ჟურნალისტის მიკუთვნებული გამოხატვის თავისუფლებისთვის. სტრასბურგის სასამართლოს მოსაზრებით, გერმანიის სასამართლოებმა ვერ უზრუნველყვეს იმის დასაბუთება, რომ არსებობდა მწვავე საზოგადოებრივი საჭიროება, ყოფილი ფედერალური კანცლერის - გერჰარდ შრიოდერის რეპუტაციის უფლება პრესის გამოხატვის თავისუფლებაზე უფრო მაღლა დაეყენებინა. სტრასბურგის სასამართლომ აღნიშნა, რომ საქმე ეხებოდა საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საკითხებს. გარდა ამისა, ყოფილ კანცლერს, გერმანიის ფედერალურ რესპუბლიკაში იკავებდა რა ერთ-ერთ ყველაზე მაღალ პოლიტიკურ თანამდებობას, თმენის უფრო მეტი ვალდებულება ჰქონდა, ვიდრე უბრალო მოქალაქეს.

Reznik v. Russia

(განაცხადი N4977/05; 04/04/2013)

აღნიშნული საქმე ეხებოდა მოსკოვის ადვოკატთა ასოციაციის პრეზიდენტის წინააღმდეგ მიმართულ სამართალწარმოებას. მას ბრალი ედებოდა ცილისწამებაში, კერძოდ, სატელევიზიო გადაცემის პირდაპირ ეთერში მან განცხადებები გააკეთა ციხის დარაჯის ქმედებასთან დაკავშირებით, რომელმაც განხორცა ცნობილი ბიზნესმენის – მიხეილ ხადარკოვსკის ადვოკატი. მომჩივანი დავობდა, რომ გამოხატვის თავისუფლება არაპროპორციულად შეეზღუდა.

ევროსასამართლომ კონვენციის მე-10 მუხლის (გამოხატვის თავისუფლება) დარღვევა დაადგინა. სტრასბურგის სასამართლომ მიიჩნია, რომ აპლიკანტს დასაშვები კრიტიკის ზღვრისთვის არ გადაუჭარბებია და მისი განცხადება ეყრდნობოდა საკმარის ფაქტობრივ საფუძვლებს. ხოლო, მოსკოვის საქალაქო სასამართლომ, რომელმაც მას ცილისწამებისთვის პასუხისმგებლობა დააკისრა, გადაწყვეტილება არ დააფუძნა შესაბამისი ფაქტების შეფასებას. სახელდობრ, საქალაქო სასამართლომ ვერ დაიცვა ბალანსი მომჩივნების რეპუტაციის დაცვის საჭიროებასა და საჯარო ინტერესს შორის. მიუხედავად იმისა, რომ მომჩივანს კომპენსაციისთვის მხოლოდ უმნიშვნელო თანხა უნდა გადაეხადა, მის

წინააღმდეგ ცილისწამების საქმის წარმოების დაწყებას გამოსატვის თავისუფლებაზე შეიძლება შემაკავებელი ეფექტი ჰქონოდა.

Morice v. France

დიდი პალატის გადაწყვეტილება

(განაცხადი N29369/10; 23/04/2015)

წინამდებარე საქმე ეხებოდა ადვოკატის მსჯავრდებას პრესაში გამოქვეყნებული განცხადების გამო, რომელიც მიჩნეულ იქნა გამომძიებელი მოსამართლეების ცილისწამებაში თანამონაწილეობად. აღნიშნული მოსამართლეები ჩამოაშორეს მოსამართლე ბერნარდ ბორელის გარდაცვალებასთან დაკავშირებით მიმდინარე გამოძიებას. მომჩივანი დავობდა, რომ ცილისწამებაში თანამონაწილეობისთვის დამნაშავედ ცნობა არღვევდა კონვენციის მე-10 მუხლით უზრუნველყოფილ მის გამოსატვის თავისუფლებას.

მოცემულ საქმეში სადავო არ იყო ის გარემოება, რომ მომჩივნის მსჯავრდება წარმოადგენდა გამოსატვის თავისუფლებაში ჩარევას, რაც გათვალისწინებული იყო კანონით და ემსახურებოდა სხვების უფლებებისა და რეპუტაციის დაცვის ლეგიტიმურ მიზანს. ევროსასამართლომ კონვენციის მე-10 მუხლის (გამოსატვის თავისუფლება) დარღვევა დაადგინა. სტრასბურგის სასამართლომ აღნიშნა, რომ მომჩივნისთვის დაკისრებული მსჯავრდება მისი გამოსატვის თავისუფლების არაპროპორციულ ჩარევად შეიძლება ყოფილიყო მიჩნეული. შესაბამისად, უფლებაში ჩარევა კონვენციის მე-10 მუხლის მნიშვნელობის ფარგლებში „არ იყო დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი“.

Tesic v. Serbia

(განაცხადი N4678/07, N50591/12; 11/02/2014)¹⁷

¹⁷ აღნიშნული საქმე იხილეთ გვ. 114.

Mustafa Erdogan and Others v. Turkey

(განაცხადი N346/04; 27/05/2014)

წინამდებარე საქმე ეხებოდა სამართლის დოქტორის, რედაქტორისა და გამომცემლის საჩივარს. ისინი ასაჩივრებდნენ იმ ფაქტს, რომ თურქეთის სასამართლოებმა მათ საკონსტიტუციო სასამართლოს სამი მოსამართლისათვის ზიანის ანაზღაურება დაავალა იმ შეურაცხყოფისათვის, რაც მათ ჟურნალში სტატიის დაბეჭდვით მიადგათ. აღნიშნული სტატია 2001 წელს დაიბეჭდა სამართლის ჟურნალში, რომელიც კვარტალში ერთხელ გამოიცემებოდა. იგი განიხილავდა საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას პოლიტიკური პარტიის გაუქმების თაობაზე. მომჩივნები დავობდნენ, რომ მათ წინააღმდეგ მიღებული ეროვნული სასამართლოების გადაწყვეტილება არღვევდა გამოსატვის თავისუფლებას, ვინაიდან ისინი მოსამართლეების კრიტიკას ფაქტებზე აფუძნებდნენ. გარდა ამისა, კრიტიკა კანონმდებლობასთან შესაბამისობაში იყო, აგრეთვე, ჯდებოდა დემოკრატიულ საზოგადოებაში მოსამართლეთა მიმართ დასაშვები კრიტიკის ფარგლებში.

ევროსასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-10 მუხლი (გამოსატვის თავისუფლება). სტრასბურგის სასამართლომ აღნიშნა, რომ სამოსამართლო უფლებამოსილების განმხორციელებელ მოსამართლეებს მოლოდინი უნდა ჰქონოდათ, რომ ისინი, უბრალო მოქალაქეებთან შედარებით, უფრო ფართო დასაშვები კრიტიკის ფარგლებს დაექვემდებარებოდნენ. ეროვნულმა სასამართლოებმა მომჩივნების წინააღმდეგ ცილისწამებასთან დაკავშირებით საქმის წარმოებისას არ გაითვალისწინეს სტატიის დაწერის კონტექსტი (საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებების თაობაზე მწვავე საჯარო დებატები) და ფორმა (კვაზი-აკადემიური ჟურნალი და არაპოპულარული გაზეთი). ევროსასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა აკადემიური თავისუფლების მნიშვნელობა, კერძოდ, აკადემიკოსების უფლება თავისუფლად გამოსატონ, თუნდაც საკამათო ან არაპოპულარული მოსაზრებები მათი კვლევის, პროფესიული გამოცდილებისა და კომპეტენციის სფეროებში. რაც შეეხება სტატიის შინაარსს, მიუხედავად ზოგიერთი მწვავე შენიშვნისა, ის ძირითადად გადაწყვეტილების შესახებ მსჯელობას წარმოადგენდა და გამოთქმული იყო ზოგადი თვალსაზრისი, საკმარის ფაქტობრივ საფუძველზე დაყრდნობით. აღნიშნული კრიტიკა ვერ მიიჩნეოდა მოსამართლეებზე პირად თავდასხმად. შესაბამისად, ევროსასამართლომ დაადგინა, რომ მომჩივანთა საზოგადოებრივ საკითხებზე კრიტიკის გამოთქმის უფლებაში ჩარევის გასამართლებლად მითითებული მიზეზები, კერძოდ, მოსამართლეთა უფლება დაცულნი ყოფილიყვნენ შეურაცხყოფისგან, არ იყო საკმარისი, რათა დადგენილიყო, რომ ჩარევა აუცილებელი იყო დემოკრატიულ საზოგადოებაში.

Kharlamov v. Russia

(განაცხადი N27447/07; 08/10/2015)

აღნიშნული საქმე ეხებოდა ცილისწამებასთან დაკავშირებულ სამართალწარმოებას. მომჩივნის - უნივერსიტეტის პროფესორის წინააღმდეგ დამსაქმებელმა - ორელის სახელმწიფო ტექნიკურმა უნივერსიტეტმა სამოქალაქო სარჩელი აღძრა მას შემდეგ, რაც აპლიკანტმა გამოთქვა მოსაზრება, რომ საარჩევნო პროცედურის დროს გამოვლენილი ხარვეზების გამო უნივერსიტეტის მმართველი ორგანო ვერ მიიხნეოდა ლეგიტიმურად. მომჩივანი დავობდა, რომ ცილისწამების თაობაზე მის წინააღმდეგ საქმის აღძვრა არღვევდა მისი გამოსატვის თავისუფლების უფლებას.

ევროსასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-10 მუხლის (გამოსატვის თავისუფლება) დარღვევა. სტრასბურგის სასამართლომ მიიჩნია, რომ რუსეთის სასამართლოებმა მომჩივნის წინააღმდეგ გადაწყვეტილების გამოტანისას მხედველობაში არ მიიღო აკადემიური ურთიერთობების სპეციფიკური მახასიათებლები. კერძოდ, კონვენციის თანახმად, უნივერსიტეტის რეპუტაციის დაცვა არ შეიძლება გათანაბრებულ იქნეს ინდივიდის რეპუტაციის დაცვასთან. ყურადღება გაამახვილა რა არჩეული სენატის არალეგიტიმურობის თაობაზე მომჩივნის მიერ გაკეთებულ განცხადებებზე, რუსეთის სასამართლოებმა ვერ უზრუნველყვეს დაეცვათ სამართლიანი ბალანსი უნივერსიტეტის რეპუტაციის დაცვის საჭიროებასა და აპლიკანტის გამოსატვის თავისუფლებას შორის.

Soro v. Estonia(განაცხადი N22588/08; 03/09/2015)¹⁸**Ion Carstea v. Romania**

(განაცხადი N20531/06; 28/10/2014)

წინამდებარე საქმე ეხებოდა ადგილობრივ გაზეთში აპლიკანტის - უნივერსიტეტის პროფესორის შესახებ სტატიის გამოქვეყნებას. სტატია დეტალურად აღწერდა პროფესორის სექსუალურ ცხოვრებაში 19 წლის წინ მომხდარ ინციდენტს. სტატიაში მოცემული ინფორმაციით, მას ბრალი ედებოდა კორუფციაში, შანტაჟში, ბავშვის მიმართ განხორციელებულ სექსუალურ

¹⁸ აღნიშნული საქმე იხილეთ გვ. 55.

ძალადობასა და სექსუალურ გადახრაში. მომჩივანი დავობდა, რომ სტატიის სურათებთან ერთად გამოქვეყნებით ეროვნულმა სასამართლოებმა ვერ დაიცვეს მისი რეპუტაცია. კერძოდ, იგი აცხადებდა, რომ სასამართლოებმა მისი სარჩელის განხილვისას ვერ უზრუნველყვეს სტატიაში მითითებულ ფაქტებზე ჭეშმარიტების დადგენა.

ევროსასამართლომ კონვენციის მე-8 მუხლის (პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება) დარღვევა დაადგინა, მიიჩნია რა, რომ რუმინეთის სასამართლოებმა ვერ დაიცვეს ბალანსი ჟურნალისტის გამოხატვის თავისუფლების უფლებასა და მომჩივნის პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლებას შორის. კერძოდ, აშკარა იყო, რომ გასაჩივრებულმა სტატიამ სურათებთან ერთად სერიოზულად შელახა მომჩივნის პატივი და რეპუტაცია. ამასთანავე, აღნიშნულმა ფაქტმა უარყოფითი გავლენა იქონია აპლიკანტის ფსიქოლოგიურ მდგომარეობასა და ოჯახურ ცხოვრებაზე. სტრასბურგის სასამართლო ვერ დარწმუნდა, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა საჭირო მნიშვნელობა მიანიჭეს იმ საკითხს, თუ რამდენად იყო სტატია საზოგადოებრივი ინტერესის მქონე და უნდა მიჩნეულიყო თუ არა აპლიკანტი საჯარო პირად.

Oleksandr Volkov v. Ukraine

(განაცხადი N21722/11; 09/01/2013)

წინამდებარე საქმე ეხებოდა უზენაესი სასამართლოს მოსამართლისთვის უფლებამოსილების შეწყვეტას. მომჩივანი დავობდა, რომ მოსამართლის თანამდებობიდან მისი გათავისუფლება წარმოადგენდა მის პირად და პროფესიულ ცხოვრებაში ჩარევას.

ევროსასამართლო აღნიშნავს, რომ მომჩივნის მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლებამ გავლენა იქონია სხვა ადამიანებთან მის პირად და პროფესიულ ურთიერთობაზე. ანალოგიურად, აღნიშნულმა ფაქტმა იმოქმედა აპლიკანტის „შიდა წრეზე“, ვინაიდან სამსახურის დაკარგვას მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდა მომჩივნისა და მისი ოჯახის მატერიალურ კეთილდღეობაზე. უფრო მეტიც, აპლიკანტის გათავისუფლების მიზეზი, კერძოდ, მოსამართლის ფიცის დარღვევა, გავლენა იქონია მის პროფესიულ რეპუტაციაზე. სტრასბურგის სასამართლომ აღნიშნა, რომ მომჩივნისთვის უფლებამოსილების შეწყვეტა წარმოადგენდა მისი ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლებაში ჩარევას, კონვენციის მე-8 მუხლის (პირადი ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება) მიზნებისთვის. აპლიკანტის საქმეში ევროსასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლი, მიიჩნია რა, რომ პირად ცხოვრების პატივისცემის

უფლებაში ჩარევა არ იყო ლეგიტიმური და არ შეესაბამებოდა ეროვნულ კანონმდებლობას. გარდა ამისა, გამოყენებადი ეროვნული სამართალი არ აკმაყოფილებდა განჭვრეტადობისა და უკანონობისაგან სათანადო დაცვის მოთხოვნებს.

სპორტი და ევროკონვენცია

Ostendorf v. Germany

(განაცხადი N15598/08; 07/03/2013)

მომჩივანი - ფეხბურთის მხარდამჭერი ჩიოდა პოლიციის შენობაში ოთხსაათიანი დაკავების თაობაზე, რაც განპირობებული იყო ფეხბურთის ხულიგნებს შორის ძალადობრივი ჩხუბის ორგანიზებისა და მონაწილეობისაგან მისი ჩამოშორების მიზნით.

ევროსასამართლომ არ დაადგინა კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი პარაგრაფის (თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება) დარღვევა, მიიჩნია რა, რომ მომჩივნის დაკავება აღნიშნული მუხლის თანახმად გამართლებული იყო, როგორც თავისუფლების შეზღუდვა, რომელიც „მიზნად ისახავდა კანონით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფას“. სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ მომჩივნის დაკავება ემსახურებოდა განსაზღვრული და კონკრეტული ვალდებულების შესრულებას, კერძოდ, აპლიკანტის მიერ ფეხბურთის მატჩზე მოწინააღმდეგე ფეხბურთის მხარდამჭერებთან ჩხუბის მოწყობის თავიდან აცილებას.

Ressiot and Others v. France

(განაცხადი N15054/07; 12/06/2012)

წინამდებარე საქმე ეხებოდა „L'Equipe-ისა“ და „Le Point-ის“ გაზეთების შენობასა და ჟურნალისტების სახლებში ჩატარებულ გამოძიებას. ჟურნალისტებს ბრალი ედებოდათ სასამართლო გამოძიების კონფიდენციალურობის დარღვევაში. ხელისუფლებას სურდა მოეხდინა წყაროს იდენტიფიცირება, რომელმაც ველოსპორტში სავარაუდოდ დოპინგის გამოყენების შესახებ მიმდინარე გამოძიების თაობაზე ინფორმაცია გაამჟღავნა. აპლიკანტები ჩიოდნენ, რომ მათ წინააღმდეგ განხორციელებული გამოძიება არღვევდა მათი გამოსატყვის თავისუფლების უფლებას.

ევროსასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-10 მუხლის (გამოხატვის თავისუფლება) დარღვევა, მიიჩნია რა, რომ საფრანგეთის მთავრობამ არ დაიცვა სამართლიანი ბალანსი საქმეში არსებულ სხვადასხვა ინტერესებს შორის. სტრასბურგის სასამართლოს მოსაზრებით, გამოყენებული ღონისძიება კანონიერ მიზანთან მიმართებით არ იყო გონივრულად პროპორციული, იმის გათვალისწინებით, რომ დემოკრატიულ საზოგადოებაში პრესის თავისუფლების შენარჩუნებისა და უზრუნველყოფის დიდი ინტერესი არსებობდა. ევროსასამართლომ აღნიშნა, რომ სტატიები შეეხებოდა პროფესიულ სპორტში, კერძოდ, ველოსპორტში დოპინგის გამოყენებასა და მსგავს პრობლემებს, რაც წარმოადგენდა საჯარო ინტერესის მქონე საგანს. უფრო მეტიც, სტატიებში მოცემულმა ინფორმაციამ უპასუხა საზოგადოების მზარდ მოთხოვნას, მიეღოთ ცნობები სპორტში - განსაკუთრებით ველოსპორტში დოპინგის გამოყენების თაობაზე.

საძიებელი

ბავშვები და მშობლები

ბავშვთა საერთაშორისო მოტაცება.....	8
მშობლის უფლებები.....	14
არასრულწლოვანთა დაცვა.....	19
რეპროდუქციული უფლებები.....	23
სისხლის სამართალი	
ოჯახში ძალადობა.....	25
პოლიციის მიერ დაკავება და ადვოკატის დახმარება.....	26
ტერორიზმი.....	31
ადამიანთ ვაჭრობა (ტრეფიკინგი)	40
ქალთა მიმართ ძალადობა.....	41
მონაცემები	
ახალი ტექნოლოგიები.....	45
პერსონალურ მონაცემთა დაცვა.....	53
პირის საკუთარი გამოსახულების დაცვის უფლება.....	56
დისკრიმინაციის აკრძალვა	
გენდერული თანასწორობა.....	58
ბოშები და მოგზაურები.....	60
დაკავება და დაპატიმრება	
დაკავება და ფსიქიკური ჯანმრთელობა.....	65
ექსტრადიცია და სამუდამო პატიმრობა.....	67
შიმშილობა საპატიმროებში.....	69
მიგრანტები თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში.....	71

უგადო პატიმრობა.....	74
ჯანმრთელობის დაცვა	
გარემო და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია.....	78
ჯანმრთელობის დაცვა.....	80
პატიმართა ჯანმრთელობის დაცვის უფლება.....	85
სიცოცხლის უფლება და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია	
სიცოცხლის უფლება.....	89
მოსაზრებები და ინფორმაცია	
პოლიტიკური პარტიები და გაერთიანებები.....	94
რელიგიური სიმბოლოები და ჩაცმულობა.....	95
თავისუფალი არჩევნების უფლება.....	98
პროფკავშირების უფლებები.....	99
შრომითი დაგები	
სამსახურთან დაკავშირებული უფლებები.....	100
მონობა და იძულებითი შრომა.....	104
დაბეგვრა.....	106
სხვა თემატიკა	
შეიარაღებული კონფლიქტები.....	108
გადახვევა საგანგებო მდგომარეობის დროს.....	112
ხანდაზმული ადამიანები და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია.....	113
ექსტრა-ტერიტორიული იურისდიქციის საკითხები.....	117
რეპუტაციის დაცვა და ევროკონვენცია.....	120
სპორტი და ევროკონვენცია.....	129

